

საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ
(E-60) მაგისტრალის განახლებისა და
რეკონსტრუქციის პროექტი

ქუთაისის შემოვლითი გზის
განსახლების სამოქმედო გეგმა
(პროექტი)

მომზადდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საავტომობილო გზების
დეპარტამენტისთვის

&

JICA-სთვის

მომზადდა

PADECO-მ

2011 წლის მარტი

სარჩევი

აბრევიატურები

ტერმინოლოგიური ლექსიკონი

მოკლე მიმოხილვა

1. შესავალი.....	18
1.1 პროექტის მოკლე მიმოხილვა.....	18
1.2 მიწის შეძენის და განსახლების განხილვა.....	20
1.3 განსახლების სამოქმედო გეგმის მიზნები.....	20
1.4 განსახლების გეგმის შინაარსი.....	22
2. პროექტის აღწერა.....	24
2.1 პროექტის ტერიტორია და ადგილმდებარეობა.....	24
2.2 ალტერნატიული შემოვლითი მიმართულებების განხილვა.....	26
2.3 შემოვლითი გზის პროექტი და განხილვა.....	28
3. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები.....	33
3.1 პროექტის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები.....	33
3.2 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების მახასიათებლები.....	34
3.2.1 ოჯახის მოცულობა და შემადგენლობა.....	34
3.2.2 ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და რელიგიური მრწამსი.....	36
3.2.3 საცხოვრებელი სტატუსი, საცხოვრებლის ტიპი და მშენებლობა.....	38
3.2.4 განათლება და წერა-კითხვის ცოდნის დონე.....	39
3.3 საარსებო საშუალებები, სიღარიბე და სოციალურად დაუცველობა.....	40
3.3.1 საარსებო საშუალებები.....	40
3.3.2 შემოსავლის დონე და სიღარიბე.....	43
3.3.3. სოციალურად დაუცველი ოჯახები.....	46
3.4 გენდერული საკითხები.....	48
3.4.1. გენდერული საკითხების მნიშვნელობა.....	48
3.4.2 გენდერული საკითხები განსახლების სფეროში.....	48
4. ზემოქმედება და დანაკარგები.....	51
4.1 მიწის დანაკარგი.....	51
4.1.1 მიწის დამკარგავი ოჯახები სახეობების მიხედვით.....	51
4.1.2. დანაკარგების სიმწვავე.....	52
4.1.3. თავიდანვე სადავო მიწის ნაკვეთები.....	52
4.1.4 ზემოქმედება ბიზნესზე (შპს “ჭიათურმანგანუმი” და შპს “თინი-7”).....	53

4.2 ხეების და მარცვლეული კულტურების დანაკარგი.....	55
4.2.1 ხეების დანაკარგი.....	55
4.2.2 მარცვლეულის დანაკარგი.....	55
4.3 შენობა-ნაგებობების დანაკარგი.....	56
5. სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლები.....	57
5.1 საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკა მიწის შექმნის შესახებ.....	57
5.2 JICA-ს მოთხოვნები განსახლებასთან დაკავშირებით.....	59
5.3 მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების ზომები და არანებაყოფლობითი განსახლება	60
5.4 LAR-ის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შედარება JICA/მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკასთან.....	61
5.5 პროექტის განხორციელებისათვის მიღებული პრინციპები.....	64
5.6 კომპენსაციის მიღების და სხვა უფლებამოსილების მოპოვების უფლება.....	66
5.6.1 უფლებამოსილება.....	66
5.6.2 ძირითადი უფლებები.....	67
5.6.3 ზემოქმედებისა და დანაკარგების კომპენსაციაზე უფლებამოსილება.....	68
5.6.4 მხარდაჭერა, დახმარება და ფულადი შემწეობები.....	70
6. ინსტიტუციონალური მოწყობა და პასუხისმგებლობები.....	1
6.1 შესავალი.....	1
6.2 მიწის სარეგისტრაციო ორგანიზაციები.....	2
6.2.1 სოფლის დონის გამგეობა.....	2
6.2.2 საკრებულო.....	3
6.2.3 საკუთრების უფლების აღიარების კომისია.....	3
6.2.4 რაიონის სარეგისტრაციო სამსახური.....	3
6.3 მიწის შესყიდვისა და განსახლების ორგანიზაციები.....	4
6.3.1 საავტომობილო გზების დეპარტამენტი.....	4
6.3.2 რაიონის LAR გუნდი.....	5
6.3.3 ადგილობრივი მმართველობა.....	6
6.4. სხვა ორგანიზაციები და სააგენტოები.....	6
6.4.1. საამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი.....	6
6.4.2 ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები.....	6
6.4.3. კონსულტანტები და აუდიტორები.....	7
6.4.4. საქართველოს სასამართლოები.....	7
6.4.5. JICA.....	8
6.4.6. გარე მონიტორინგის სააგენტო.....	8
6.5. LAR-ის ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება.....	8

7. კონსულტაციები გაწევა ოჯახებისთვის და პრეტენზიების დაკმაყოფილება	10
7.1 კონსულტაციების გაწევა.....	10
7.2 განსახლებასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები	11
7.3 ინფორმაციის გამოქვეყნება	14
7.4 პრეტენზიების დაკმაყოფილების მექანიზმები.....	14
7.4.1 მიზნები.....	14
7.4.2 პრეტენზიების დაკმაყოფილების კომისიის შექმნა.....	15
7.5 პრეტენზიების დაკმაყოფილების პროცესი	16
7.5.1 პრეტენზიების დაკმაყოფილების კომისიის ოქმები და დოკუმენტები.....	17
8. ხარჯების შეფასება და ბიუჯეტი.....	19
8.1. საკომპენსაციო განაკვეთების დადგენა.....	19
8.2 ხარჯების შეფასება დ -თვის.....	20
8.2.1 მიწის ხარჯები.....	21
8.2.2.მარცვლეული კულტურის, ხეებისა და ნაგებობების ღირებულება.....	22
8.2.3.შემწეობაზე გაწეული ხარჯები და საარსებო საშუალებების ხელშემწყობი ღონისძიებები.....	22
8.3 ხარჯების შეჯამება.....	23
9. განხორციელების გრაფიკი.....	24
9.1 ზოგადი.....	24
9.2 RAP-ის დამტკიცება და თავდაპირველი ამოცანები.....	25
9.3 RAP-ის განხორციელება	26
9.4 RAP-ის განხორციელების შემდგომი შეფასება.....	26
9.5 RAP-ის განხორციელების გრაფიკი.....	27
10. მონიტორინგი	30
10.1 მონიტორინგის მიზნები.....	30
10.2 შიდა მონიტორინგი.....	30
10.3 გარე მონიტორინგი	31

დანართები:

დანართი 1 – ინფორმაცია თავიდანვე სადავო მიწის ნაკვეთებზე.

დანართი 2 – დეტალური ცხრილები IOL-დან.

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი:
ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

დანართი 3 – კონსულტაციების ოქმები და ჩანაწერები.

დანართი 4 – საკომპენსაციო განაკვეთის დეტალური დაანგარიშების მეთოდი.

აბრევიატურები

ACS	- მიწის შესყიდვის და კომპენსაციის სქემა
ADB	- აზიის განვითარების ბანკი
AH	- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახი / დაზარალებული ოჯახი
AP	- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირ(ები) / დაზარალებული ადამიან(ები)
CSO	- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
DMS	- დეტალური აზომვითი აღწერა
EA	- აღმასრულებელი სააგენტო
EMA	- გარე მონიტორინგის სააგენტო – ავტორიტეტული დამოუკიდებელი ადგილობრივი უწყება ან კონსულტანტი, რომელსაც გააჩნია სათანადო გამოცდილება და კომპეტენცია RAP-ის საკითხების ირგვლივ და რომელიც დაქირავებულია გარე მონიტორინგის განსახორციელებლად
GRC	- პრეტენზიების დაკმაყოფილების კომიტეტი
Government	- საქართველოს მთავრობა
FS	- პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანალიზი
IDP	- ადგილობრივად გადაადგილებული ადამიანები, ანუ ლტოლვილები
IMA	- დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო
IOL	- ზარალის/დანაკარგების ინვენტარიზაცია
JBIC	- იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკი
JICA	- იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო
“LAR”	- მიწის შეძენა და განსახლება (შემდგომში “LAR”)
MNREP	- ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო
MRDI	- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი:
ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

- NAPR** – საჯარი რეესტრის ეროვნული სააგენტო
- NGO** – არა-სამთავრობო ორგანიზაცია
- OP** – საოპერაციო პოლიტიკა
- PIB** – საჯარო ინფორმირების ბუკლეტი
- Project** – E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი
- PRRC** – საკუთრების უფლების აღიარების კომისია
- RDRD** – გზების განვითარებისა და განსახლების განყოფილება
(საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში)
- RDMRDI** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
- RAP** – განსახლების სამოქმედო გეგმა
- ROW** – განთვისების ზოლი
- RPF** – განსახლების პოლიტიკის მიმართულებები
- RU** – განსახლების განყოფილება
- TA** – ტექნიკური დახმარება
- TOR** – ტექნიკური დავალება
- WB** – მსოფლიო ბანკი

ტერმინოლოგიური ლექსიკონი

**ზემოქმედების ქვეშ
მოქცეული პირი
(AP)ან ოჯახი (AH)**

ნებისმიერი ადამიანი, ოჯახი, კომპანია ან კერძო დაწესებულება, რომლებიც განიცდიან ზემოქმედებას პროექტის მიერ მიწის მუდმივი ან დროებითი დაკავების გამო, რის შედეგადაც (i) მათ ცხოვრების ღონეს მიაღებია ზიანი, ან (ii) მათ უფლებებს, მათ შორის საკუთრების და ქონებრივ უფლებებს, ან ინტერესებს, რომლებიც უკავშირდება მიწას (მათ შორის საცხოვრებელ, კომერციულ, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებს, ტყეს, და/ან საძოვრებად გამოყენებულ ფართობებს), წყლის რესურსებს, ან ნებისმიერს სხვა მოძრავ ქონებას ან ძირითად (მატერიალურ) აქტივებს მიაღებია მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანი; და/ან (iii) მათ საწარმოს, დასაქმებას, სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილს, ადგილსამყოფელს მიაღებია ზიანი, გადაადგილების/ადგილმონაცვლების გამო ან მის გარეშე.

**უფლებამოსილების
დადგენის ბოლო
ვადა**

კომპენსაციაზე უფლებამოსილების დადგენის ბოლო ვადა, რაც განისაზღვრება განსახლების სამოქმედო გეგმის (შემდგომში RAP) მომზადების პროცესში დანაკარგების ინვენტარიზაციის დაწყების თარიღით. მიწა დაკავებული ამ თარიღის შემდეგ ან მასზე განთავსებული ქონება არ ექვემდებარება კომპენსაციას. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და აბორიგენულ მოსახლეობას უნდა აცნობონ პროექტის თითოეული კომპონენტის მოქმედების საბოლოო ვადის შესახებ და იმაზეც, რომ ამ თარიღის შემდეგ პროექტის განხორციელების რაიონში მიწის დაკავება ან ქონების გადაადგილება არ დაექვემდებარება პროექტის ფარგლებში რაიმე სახის კომპენსაციას და დახმარებას.

**ადგილმონაცვლე
პირი**

მსოფლიო ბანკის პოლიტიკის 4.12 დებულების თანახმად, ადამიანები, რომლებზეც პირდაპირ/უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რომელსაც იწვევს მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელებული საინვესტიციო პროექტები, აგრეთვე (ა) მიწის არანებაყოფლობითი დაუფლება, რაც იწვევს (i) ფიზიკურ ადგილმონაცველობას ან გადაადგილებას ან თავშესაფრის დაკარგვას; (ii) აქტივების ან აქტივებზე

ხელმისაწვდომობის დაკარგვას; ან (iii) შემოსავლის წყაროს ან საარსებო საშუალებების დაკარგვას, იმის მიუხედავად, მოუწევთ თუ არა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს სხვა ადგილებზე გადასვლა; ან (ბ) სამართლებრივად/იურიდიულად დადგენილ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე ხელმისაწვდომობის არანებაყოფლობითი შეზღუდვა, რაც უარყოფითად მოქმედებს ადგილმონაცვლე პირების საარსებო საშუალებებზე.

კომპენსაციაზე უფლებამოსილება

კომპენსაციაზე უფლებამოსილება ნებისმიერი იმ პირ(ებ)ის, რომელიც უფლებამოსილების დადგენის ბოლო ვადით განსაზღვრულ თარიღამდე იმყოფება/განლაგებულია პროექტის, მისი რომელიმე ქვე-კომპონენტის ან პროექტის სხვა დამხმარე ნაწილის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ რაიონში და დაზიანდა პროექტის გამო. ზემოქმედების ქვეშ მოქცემული ადამიანების კომპენსაციაზე უფლებამოსილება არ არის დამოკიდებული მათი საკუთრების უფლებრივ სტატუსზე და ძალაშია: (ა) მიწაზე ოფიციალური იურიდიული უფლების ქონის ან (ბ) მიწაზე ან ქონებაზე ტრადიციული უფლების პრეტენზიის, ან (გ) დაკავებულ მიწაზე უფლების აღიარებისათვის რაიმე იურიდიული საფუძველის ან პრეტენზიის არ არსებობის მიუხედავად.

მიწის თვითნებურად მიმტაცებელი პირები

კანონიერი მიწის მფლობელი პირები, რომლებმაც თვითნებურად/უკანონოდ დაიკავეს მათ მფლობელობაში არსებული მიწის მიმდებარე სახელმწიფო მიწა (და ამგვარად დაეუფლნენ მას). მიწის თვითნებურად მიმტაცებელ პირებში იგულისხმება ის სახელმწიფო მიწა, რომელიც ამ პირებმა უკანონოდ დაიკავეს. მსოფლიო ბანკის პოლიტიკის თანახმად, თუ მიწაზე მესაკუთრის უფლების მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანები დამატებით მიიტაცებენ ისეთ მიწებს, რომლებიც მათ კანონით არ ეკუთვნის, მათ აუნაზღაურდებათ მხოლოდ კანონიერ მფლობელობაში არსებული მიწის და კანონიერი ქონების საფასური.

უფლებამოსილებათა ჩამონათვალი

იმ ზომების ჩამონათვალი, რომელიც გულისხმობს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ მიღებული ზარალის ნაღდი ფულით ან არაფულადი ფორმით კომპენსაციას, გადაადგილების ხარჯების დაფარვას, სარეაბილიტაციო ხელშეწყობას, გადაადგილების დროს დახმარებას, შემოსავლების აღდგენას და

ადგილმდებარეობის შეცვლას, მათი დანაკარგების ხასიათიდან, ეკონომიკური და სოციალური პირობებიდან გამომდინარე.

**აბორიგენული
მოსახლეობა**

მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკის (OP) 4.10 დებულების თანახმად, ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან განსაკუთრებულ, სოციალურად დაუცველ, სოციალურ და კულტურულ ჯგუფს, რომელსაც, სხვადასხვა ხარისხით, შემდეგი თავისებურებები ახასიათებს: (ა) თვით-დამკვიდრება, როგორც ძირძველი კულტურული ჯგუფის წევრების და სხვების მიერ ამ იდენტურობის აღიარება; (ბ) კოლექტიური თანაცხოვრება ტრადიციულ, წინაპრების მიერ ათვისებულ საცხოვრებელ ადგილზე, პროექტის განხორციელების ზონაში არსებულ განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია სპეციფიკური ეკოლოგიური გარემო და ბუნებრივი რესურსები ; (გ) დამახასიათებელი კულტურული, ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური ინსტიტუციები, რომლებიც განცალკევებული არიან ძირითადი საზოგადოებისა და კულტურისგან; და (დ) ძირძველი ენა, ხშირად განსხვავებული ქვეყნის ან რეგიონის ოფიციალური ენისგან.

მიწის შეძენა

პროცესი, სადაც სახელმწიფო შესაბამისი აღმასრულებელი სააგენტოს მეშვეობით, სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ, აიძულებს მიწის მესაკუთრე პირს, რომ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე დაუთმოს მის კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი სახელმწიფო სააგენტოს.

**მესაკუთრის
უფლების არმქონე
პირები**

პირები, რომლებსაც არანაირი კანონიერად აღიარებული უფლება ან პრეტენზია არ გააჩნიათ მიწაზე, რომელიც მათ დაკავებული აქვთ და/ან რომელსაც ისინი იყენებენ. აგრეთვე აბორიგენული ან ძირძველი ჯგუფები, ეთნიკური უმცირესობები, საძოვრების ტრადიციულად გამოყენებელი ფერმერები (მეცხვარეობა, სხვა მესაქონლეობა), ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი იურიდიული უფლების გარეშე აცხადებენ პრეტენზიას ასეთ მიწაზე და სხვები, რომელთაც აქვთ უზუფრუქტი ან ტრადიციული უფლება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწაზე ან სხვა რესურსებზე და ხშირად არ გააჩნიათ კანონიერი უფლება მათ მიერ დაკავებულ მიწაზე. ოფიციალური კანონიერი უფლების

არქონა არ წარმოადგენს უფლების ხელშემშლელ ფაქტორს.

ჩანაცვლების ღირებულება

ქონების შეფასების მეთოდი, რომელიც გამოიყენება, რათა მოხდეს ზარალის ანაზღაურება საბაზრო ღირებულებით, ან მისი მაქსიმალურად მიახლოებული ექვივალენტით, რასაც უნდა დაემატოს ნებისმიერი საოპერაციო ხარჯი, მაგალითად ადმინისტრაციული ხარჯები, აგრეთვე საგადასახადო, სარეგისტრაციო და საკუთრების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურების ხარჯები. თუ ქვეყნის კანონმდებლობა არ შეესაბამება აღნიშნულ სტანდარტს, ჩანაცვლების ღირებულება უნდა დაემატოს როგორც აუცილებელი მოთხოვნა. ჩანაცვლების ღირებულება ეფუძნება პროექტამდე ან განსახლებამდე არსებულ საბაზრო ღირებულებას, ამ ორიდან უფრო მაღალს. ფუნქციონირებადი ბაზრის არარსებობისას, საჭირო იქნება შეიქმნას კომპენსაციის ისეთი სისტემა, რომელიც დაეხმარება დაზარალებულ ადამიანებს აღადგინონ თავიანთი საცხოვრისი ისეთ დონემდე, რომელიც მინიმუმ განსახლებამდე, გადაადგილებამდე ან მისვლის შეზღუდვამდე არსებულის მდგომარეობის ექვივალენტური იქნება. ისეთი ზარალის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მისი მარტივად შეფასება ან კომპენსირება მონეტარული სახით (მაგალითად კომუნალური მომსახურების ხელმსაწვდომობა, მომხმარებლებისა, და მიმწოდებლების ხელმისაწვდომობა; ან სათევზაო, სათიბ-სახნავ ან სატყეო მეურნეობებთან მოხერხებული მისასვლელი), ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ მათთვის ხელმისაწვდომი შეიქმნეს ექვივალენტური და კულტურულად მისაღები რესურსები და შემოსავლის წყარო.

რეაბილიტაცია

ზომები, რომლებიც აუცილებელია (i) სახელმწიფო საშუალებებზე, ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის აღსადგენად; (ii) კულტურული მნიშვნელობის მატერიალური ქონებისა და საერთო საკუთრებაში არსებული ქონებისა და რესურსების აღსადგენად; (iii) კულტურულად მნიშვნელოვან ადგილების, კომუნალური მომსახურების, წყლის რესურსების, სათიბ-სახნავ ან სატყეო რესურსების ხელმისაწვდომობის დაკარგვის შესამსუბუქებლად; და (iv) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული იმ ადამიანების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის აღსადგენად, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობაც მნიშვნელოვნად იყო შერყეული ქონების,

შემოსავლის და დასაქმების დაკარგვით; ყველა ასეთ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სარეაბილიტაციო დახმარება, რათა აღადგინოს შემოსავლები და ცხოვრების დონე. ასეთი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს დაზარალებულ ადამიანებთან კონსულტაციების საფუძველზე, მათ შორის იმ ადამიანებთანაც, რომელთა უფლებებიც ოფიციალურად არ იყო აღიარებული.

განსახლება

სრული ან ნაწილობრივი, მუდმივი ან დროებითი ფიზიკური ადგილმონაცვლეობა (გადაადგილება, საცხოვრებელი მიწის (საკარმიდამო მიწის ნაკვეთის) /ან საცხოვრებელის/თავშესაფრის დაკარგვა) და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა (მიწის, ქონების, ქონების ხელმისაწვდომობის დაკარგვა), რაც გამოწვეულია (i) მიწის იძულების წესით შექენით, ან (ii) მიწის გამოყენების ან პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე თავისუფლად შესვლის იძულებითი წესით შეზღუდვით. ეს განმარტება ეხება ზემოქმედებათა განხილულ სპექტრს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ადგილი ფაქტიურ (ფიზიკურ) გადაადგილებას.

**განსახლების
სამოქმედო გეგმა**

დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელიც მომზადდა განსახლებით გამოწვეული ზემოქმედების საკომპენსაციოდ და/ან შესარბილებლად. პროექტისა და ქვეპროექტებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ, აუცილებელია არსებობდეს **სრულმასშტაბიანი** განსახლების გეგმა (იხ. ქვევით მოცემული განმარტება), ხოლო **შემოკლებული** განსახლების გეგმა აუცილებელია ისეთი პროექტებისა და ქვეპროექტებისთვის, რომლებიც არ ახდენენ მნიშვნელოვან ზემოქმედებას. , რომლებიც არ ახდენენ სერიოზულ ზემოქმედებას.

გადაადგილება

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების ფიზიკური გადაადგილება მათი პროექტამდე არსებულისა ცხოვრებელი ადგილიდან, სამუშაო ადგილიდან, ბიზნესის ან კომერციული საქმიანობისათვის გამოყენებული შენობა-ნაგებობებიდან.

საკრებულო

ადგილობრივი თვით-მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო რეგიონალურ დონეებზე, რომელიც შედგება 67 რაიონისგან და ექვსი ქალაქისგან (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ბათუმი და სოხუმი). რაიონულ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანო არის ადგილობრივი საბჭო,

რომელიც ცნობილია, როგორც რაიონული საკრებულო და მუნიციპალური დონის აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც რაიონული გამგეობა წარმოადგენს (და რომელსაც რწმუნებული ხელმძღვანელობს). ადგილობრივი თვითმმართველობის დონე შედგება დასახლებებისგან (თვითმმართველი ქალაქებისგან) ან დასახლებული ჯგუფებისგან (მუნიციპალიტეტებისგან). ასეთი დასახლება შეიძლება იყოს სოფელი, დაბა (მინიმუმ 3,000 მოსახლით) და ქალაქი (მინიმუმ 5,000 მოსახლით). თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს მიწის გამოყენება და ტერიტორიული დაგეგმარება, ზონებად დაყოფა, მშენებლობის ნებართვის გაცემა და ზედამხედველობა, დასახლება და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

სკრინინგი

წინასწარი შეფასების, პროცესი რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება თუ რა სიძლიერის და ტიპის ზემოქმედება არის მოსალოდნელი, გამომდინარე პროექტის ტიპის, მასშტაბის, ადგილმდებარეობის და სენსიტიურობისგან/მგრძობელობის გათვალისწინებით. სკრინინგის დროს ხდება პროექტის ან ქვეპროექტის კატეგორიებად დაყოფა და აქედან გამომდინარე, იმის დადგენა, თუ რა ტიპის შეფასებები და დაგეგმვა არის საჭირო მომავალში.

მნიშვნელოვანი ზემოქმედება

როდესაც განსახლების პროცესი ზემოქმედებას ახდენს 200-ზე მეტ ადამიანზე, რაც გამოწვეულია (1) პროდუქტიული (შემოსავლიანი) აქტივების 10 ან მეტი პროცენტის დაკარგვით, ან (2) ფიზიკური ადგილმონაცვლეობით/გადაადგილებით (საცხოვრისის დაკარგვით).

მარტივი ნაგებობები

პატარა (1-1.5მ²) გზისპირა ბაგა-ფარდულები ან ქოხები, რომლებიც აგებულია არასწორი ხის ძელებისგან, ბამბუკისგან, ფინისისგან, ჩალისგან, მიწისგან/თიხისგან და შეიძლება მისი ერთ დღე-ღამეში გადაადგილება და აღდგენა.

მეორადი მესაკუთრე ოჯახები

ოჯახი, რომელიც არის თავდაპირველი (წარმოშობის) ჯგუფის ნაწილი, რომელსაც მიწა გამოუყო ამ ჯგუფის წევრებმა (ე.ი. მემკვიდრეობით მიიღო ოჯახის მიწა ან მისი ქვედანაყოფი); მათ აქვთ იგივე უფლებები მიწის გამოყენებაზე, მაგრამ ამისთვის მათ სჭირდებათ

თავდაპირველი ჯგუფის წევრების ნებართვა, გარკვეული საქმიანობის განხორციელებისთვის.

**მიწის თვითნებურად
დამკავებელი პირი
(სკოტერი)**

პირი, რომელსაც დაკავებული აქვს ან რომელიც იყენებს სახელმწიფო მიწის გამოყენებულ ნაწილს და რომელსაც არა აქვს საკუთრების უფლება ან მფლობელის ოფიციალური თანხმობა ამ მიწის გამოყენების თაობაზე.

**სოციალურად
დაუცველი
ადამიანი/ოჯახი**

ყველა ის ადამიანი, რომელიც შეიძლება მოექცეს დისპროპორციულად ძლიერი ზემოქმედების ქვეშ განსახლების პროცესებთან დაკავშირებით ან რომელსაც შეიძლება დაემუქროს განსახლების ზემოქმედებით გამოწვეული მარგინალიზების რისკი. ესენი შეიძლება იყვნენ (1) ოჯახები, რომლებსაც უძრავებიან მარტოხელა, მარჩენალის გარეშე დარჩენილი ქალები ; (2) ოჯახები, რომელთა უფროსები ინვალიდები/უუნაროები არიან; (3) ღარიბი/უმწეო ოჯახები, ოფიციალურად დადგენილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები; (4) ლტოლვილები ან ადგილობრივად გადაადგილებული/ადგილმონაცვლე პირები.

რეზიუმე

პროექტი

2004 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობის (შემდგომში “მთავრობა”) პრიორიტეტად იქცა ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რისთვისაც, სხვადასხვა პარტნიორის მეშვეობით, მათ შორის იაპონიის სართაშორისო თანამშრომლობის ბანკის (JBIC), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA), აზიის განვითარების ბანკის (ADB) და მსოფლიო ბანკის (WB) დახმარებით, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინვესტიციები ამ სექტორში. ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, კონკურენტუნარიანობის განვითარება აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში, აღმოსავლეთ-დასავლეთ სატრანსპორტო კორიდორის (E-60 მაგისტრალის) გაუმჯობესების მეშვეობით.

2007 წელს იაპონიის მთავრობამ აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო კორიდორის გამოსაკვლევად გაგზავნა კონსულტანტთა ჯგუფი კონსორციუმის სახით, რომელშიც შედიოდნენ: EXE-Idea Ltd., PADECO Co. Ltd., და Construction Project Consultant Inc, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის (ფიზიბილითი) კვლევა, რათა დაედგინა მაგისტრალის პრიორიტეტული მონაკვეთი და მოემზადებინა პროექტი სესხის გასაცემად. 2008 წელს ტექნიკური განხორციელებადობის ანგარიშში შევიდა რეკომენდაციები ხსენებული E-60 მაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიას შორის არსებული დაახლოებით 59-კილომეტრიანი მონაკვეთის იაპონური მთავრობის მიერ დაფინანსების შესახებ.

პრიორიტეტული მონაკვეთი დადგინდა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანალიზის საფუძველზე; ამ ანალიზმა მოიცვა არსებული აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის სამი ახალი მონაკვეთი: (1) ზესტაფონი - ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის 22 კმ-იანი მონაკვეთის განახლება/გაუმჯობესება; (2) ქუთაისის შემოვლითი გზის 17 კმ-იანი მონაკვეთი და (3) ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა-სამტრედიის 20 კმ-იანი მონაკვეთი.

სესხი დამტკიცდა და 2008 წლიდან მოყოლებული ჩატარდა არაერთი უფრო დეტალური შესწავლა, რათა გაანალიზებულიყო ამ მაგისტრალის ალტერნატიული მიმართულებები. გზის დაპროექტება და განხორციელების პროექტი დაიყო სამ მონაკვეთად. მაგისტრალის ცენტრალური მონაკვეთი, რომელიც გვერდს უქცევს ქ. ქუთაისს და ითვლება მთელი პროექტის პრიორიტეტულ მონაკვეთად; მთავარ ამოცანას წარმოადგენს ზემოთ ხსენებულ სხვა ორ მონაკვეთამდე ამ პრიორიტეტული მონაკვეთის პროექტის მომზადება და საჭირო თანხმობების მიღება მის ასაშენებლად.

ამ პროექტის განხორციელებას, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) დახმარებით, უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონული

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (RDMRDI).

საინჟინრო და ეკონომიკურ-ფინანსური ანალიზის გარდა, განხორციელდა უსაფრთხოების შეფასებაც. ქუთაისის შემოვლითი გზის უსაფრთხოების ანალიზის მიზანია დადგინდეს შესაძლო სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედება და რისკები, გაიცეს რეკომენდაციები რისკების შემსუბუქებასთან დაკავშირებით და შემუშავდეს მშენებლობის პროცესში სტანდარტების დაცვის (გეგმის განხორციელების) და პროექტის მუშაობის მართვისა და მონიტორინგის გეგმა.

განსახლების სამოქმედო გეგმა

2008 წელს ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის მეშვეობით შედარდა ალტერნატიული მიმართულებების სარგებელი და ხარჯები, შერჩეული მარშრუტის წინასწარ დადგენილ მონაკვეთებში. მიწის შეძენის და განსახლების (შემდგომში „LAR“) ზემოქმედება იყო ალტერნატივების შედარების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი. კერძოდ, ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთისთვის საუკეთესო გზად ჩაითვალა სამხრეთი მე-3 ვარიანტის შერჩევა, რადგან ამის შედეგად მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი ფიზიკური გადაადგილებით და განსახლებით გამოწვეული სხვა გავლენები.

მაგისტრალის განახლება ან მშენებლობა მოითხოვს მიწის შეძენას 26მ-30მ სიგანის განთვისების ზოლისთვის. მაგისტრალის არსებული მონაკვეთების განსახლება მოითხოვს გზის გაფართოვებას დაახლოებით 15მ-20მ, რათა დაკმაყოფილებული იყოს მაგისტრალის ზომები. გარდა ამისა, მიწის გამოყენებაზე შეიძლება დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, რაც ასევე წარმოადგენს განსახლების გავლენას.

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი დაამტკიცა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და JICA-მ, ხოლო მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმა პროექტისათვის მომზადდა დამტკიცებული განსახლების პოლიტიკის, საქართველოში მოქმედი კანონების და მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკის OP 4.12 დებულების – „არანებაყოფლობითი განსახლება“ - მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გამოიყენება, როგორც საუკეთესო მოდელი JICA-ს მიერ დაფინანსებულ ყველა პროექტში.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები

მთლიანობაში პროექტი გავლენას იმოქმედებს ორ რაიონზე – წყალტუბოსა და თერჯოლაზე და ამ რაიონების ფარგლებში არსებულ ექვს სოფელზე, აგრეთვე ათ კომპანიაზე/საწარმოზე და ერთ მიწის მფლობელზე, რომელიც სახლგარეთ ცხოვრობს (და რომელზეც ვერ მოვიძიეთ რაიმე სახის სოციო-ეკონომიკური ინფორმაცია). პროექტი პირდაპირ ზემოქმედებას მოახდენს 340 ოჯახზე, რაც 1 ცხრილში არის ნაჩვენები:

ცხრილი 1 – ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები, რაიონებისა და სოფლების მიხედვით

სოფელი	დაზარალებულები რაიონების მიხედვით	სულ
--------	-----------------------------------	-----

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

	წყალტუბო	თერჯოლა	
გეგუთი	53		53
უკანეთი	22		22
ჭოგნარი		125	125
კვახჭირი		65	65
ნახშირდელე		73	73
ქვედა სიმონეთი		2	2
სულ	75	265	340

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზა, ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

კომპანიებისა და მიუწვდომელი (სახლგარეთ მცხოვრები) მიწის მფლობელების გარეშე სულ სახეზეა 329 დაზარალებული ოჯახი, რომელმაც მოგვაწოდა ამ ანგარიშში გამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაცია. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია 746 ქალი და 737 – კაცი, რაც ჯამში გვაძლევს 1,483 დაზარალებულ ოჯახს. LAR-ის მიზნით ჩატარებული ანალიზის თანახმად, 221 დაზარალებული ითვლება სოციალურად დაუცველად და უფლებამოსილად, რომ მიიღოს დამატებითი დახმარება და ხელშეწყობა.

ზემოქმედება და ზარალი

340 დაზარალებული ოჯახი დაკარგავს სამი ტიპის ან კატეგორიის მიწას. დაზარალებული ოჯახების უმეტესობა (328) დაკარგავს სასოფლო სამეურნეო მიწას (რომელიც შედგება 393 სხვადასხვა მიწის ნაკვეთისგან) და 55..54 ჰექტარ ფართობს. შვიდი დაზარალებული ოჯახი დაკარგავს საცხოვრებელ მიწას, რომელიც შედგება 5,084მ² ფართობისგან, ხოლო 23 დაზარალებული ოჯახი (მათ შორის კომპანიები) დაკარგავენ 52,162მ² კომერციულ მიწას. სულ, ჯამში, ქუთაისის შემოვლითი გზის კომპონენტის შედგენად ზემოქმედებაში მოექცევა 423 მიწის ნაკვეთი და 61.24 ჰექტარი მიწის ფართობი. სოფლების მიხედვით, გეგუთი+უკანეთის შემთხვევაში დაიკარგება ყველაზე დიდი მიწა (სულ 29.3 ჰექტარი). ჭოგნარში, ზემოქმედების ქვეშ მოექცევა მხოლოდ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა.

განსახლების პოლიტიკა (და მსოფლიო ბანკის პოლიტიკა) ადგენს მნიშვნელოვანი დანაკარგების ზღვრულ ოდენობას, როდესაც ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახი კარგავს თავისი შემოსავლის მომტანი აქტივების 20% ან მეტს; ეს მოიცავს ნაყოფიერ (კომერციულ და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების) მიწას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პროექტი არ ახდენს ზემოქმედებას რაიმე სხვა ტიპის შემოსავალზე, სასოფლო სამეურნეოს გარდა. ამიტომ ნაყოფიერი მიწების 20% ან მეტის დაკარგვა მიხნეული იქნა მწვავე ზემოქმედებად.

დადგინდა 227 დაზარალებული ოჯახი (67%), რომელიც დაკარგავს თავისი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის 20%-ზე მეტს; 82 დაზარალებული ოჯახი დაკარგავს თავის მიწის ნახევარზე მეტს, ხოლო 20 ოჯახი მთლიან დაკარგავს თავის საკუთრებაში არსებულ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწას. სოფელ ჭოგნარში ცხოვრობს სერიოზული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების უდიდესი ნაწილი, ხოლო გეგუთს+უკანეთში ცხოვრობენ დაზარალებული ოჯახები (19%), რომლებიც მთლიანად დაკარგავენ თავიანთ შემოსავლიან მიწის ფართობებს.

24 დაზარალებული ოჯახი დაკარგავს 135 ნერვს და/ან 159 ასაკოვან ხეს ან თხილის ხეებს; სულ ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 294 ნერვი და ასაკოვანი ხე. ყველაზე დიდი დანაკარგები იქნება გეგუთში და უკანეთში, სადაც 239 ნერვის და ასაკოვანი ხის აღება იქნება საჭირო.

დაახლოებით 170 დაზარალებული ოჯახი დაკარგავს მარცვლელ კულტურებს, ხოლო ინვენტარიზაციის დროს ჩატარებული ჩანაწერების თანახმად, 22 ჰექტარი სიმინდის ყანა მოექცევა ზემოქმედების ქვეშ.

ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა 49 დაზარალებული ოჯახი, რომელიც დაკარგავს 60 ნაგებობას, შემოვლითი გზის მშენებლობის გამო. აქ არ შედის სახლები. ზემოქმედების ქვეშ არ მოექცევიან კომერციული შენობები ან პატარა კიოსკები ან მაღაზიები; დაზარალებული შენობები არ ახდენენ გავლენას საარსებო საშუალებებზე ან ოჯახების კეთილდღეობაზე. ზემოქმედების ქვეშ უმეტესად მოექცა გასამიჯნი კედლები და ღობეები, რასაც თითქმის ყველა სოფელში ექნება ადგილი. სულ აღებული იქნება 4,822 მ კედელი ან ღობე. კვახტირში ზემოქმედების ქვეშ მოექცევიან დამხმარე შენობები და პატარა ქოხურები.

ხარჯების შეფასება

კომპენსაციის და შემწეობების ხარჯების ჯამი, შეფასების თანახმად, შეადგენს 2.07 მილიონ ლარს, რაც მე-2 ცხრილში არის ნაჩვენები.

ცხრილი 2 – ხარჯების შეფასება

სოფელი	მიწის კომპენსაცია ()	ქონების კომპენსაცია ()	შემწეობის ღირებულება ()	მთლიანი კომპენსაცია+შემწეობა ()
სიმონეთი+ნახშირღელე	265391	148099	67488	480978
ჭოგნარი	273,814	29,599	93024	396437
კვახტირი	198,376	57971	41040	297387
გეგუთი+უკანეთი	494,543	238,563	53808	786914
ჯამი	1,232,124	474232	255360	1961716
No.	საკითხი	ფასი ლარებში		ფასი აშშ დოლარებში
A	კომპენსაცია მიწისა და ქონებისათვის			
	სულ A	1,706,356		
B	სარეაბილიტაციო დახმარებები			
	სულ B	255360		
C	განსახლების გეგმის ადმინისტრირების ხარჯები			
2	გარე მონიტორინგის სააგენტოს ღირებულება	10,000		
3	სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯები	16,000		
	სულ C	26,000		
	სულ გეგმის განხორციელების ხარჯები (A+B+C)	1,987,716		
	გაუთვალისწინებელი ხარჯები (A+B+C) -s10 %)	198771,6		
	განსახლების საბოლოო სრული ხარჯები	2,186,488		1,341,404

წყარო: შეძენისა და კომპენსაციის სქემა (თებერვალი/მარტი 2011)

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

1. შესავალი

1.1 პროექტის მოკლე მიმოხილვა

საქართველო მდებარეობს შავ ზღვაზე, რუსეთის ფედერაციის სამხრეთით და თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩრდილოეთით; იხ. გამოსახულება 1.1.

გამოსახულება 1.1 – საქართველოს ადგილმდებარეობა



2004 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობის (შემდგომში “მთავრობა”) პრიორიტეტად იქცა ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რისთვისაც, სხვადასხვა პარტნიორის მეშვეობით, მათ შორის იაპონიის სართაშორისო თანამშრომლობის ბანკის (JBIC), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA), აზიის განვითარების ბანკის (ADB) და მსოფლიო ბანკის (WB) დახმარებით, მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინვესტიციები ამ სექტორში.

ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, კონკურენტუნარიანობის განვითარება აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში, აღმოსავლეთ-დასავლეთ სატრანსპორტო კორიდორის (E-60 მაგისტრალის) გაუმჯობესების/მოდერნიზების გზით. შესაბამისად, შემუშავებული იქნა გაუმჯობესების სტრატეგია, თავისი დაგეგმილი შემოვლითი გზებით, ქალაქური ტიპის რაიონებში ტრანსპორტის მოძრაობის გაადვილების და გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად, იქ, სადაც E-60 მაგისტრალი გადის. განზრახვა არის, რომ შავ-ზღვასა და აზერბაიჯანის საზღვარს შორის დასრულდეს საავტომობილო გზის მშენებლობა, ყველა სტანდარტის დაცვით. მთავრობამ გამოიყენა ადგილობრივი ფონდები (თანხები) მაგისტრალის გარკვეული მონაკვეთების ასაშენებლად, მაგრამ

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

ასევე მიმართა განვითარების სფეროში მის პარტნიორებს, როგორცაა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკი და მსოფლიო ბანკი, რათა დაეფინანსებინა ამ მაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთის მშენებლობა. 2007 წელს იაპონიის მთავრობამ აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო კორიდორის გამოსაკვლევად გაგზავნა კონსულტანტთა ჯგუფი კონსორციუმის სახით, რომელშიც შედიოდნენ: EXE-Idea Ltd., PADECO Co. Ltd., და Construction Project Consultant Inc, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის (ფიზიბილითი) კვლევა, რათა დაედგინა მაგისტრალის პრიორიტეტული მონაკვეთი და მოემზადებინა პროექტი სესხის გასაცემად. 2008 წელს განხორციელებადობის ანგარიშში შევიდა რეკომენდაციები ხსენებული E-60 მაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიას შორის დაახლოებით 59-კილომეტრიანი მონაკვეთის იაპონური მთავრობის მიერ დაფინანსების შესახებ.

პრიორიტეტული მონაკვეთი დადგინდა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანალიზის საფუძველზე; ამ ანალიზმა მოიცვა არსებული აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის სამი ახალი მონაკვეთი: (1) ზესტაფონი - ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის 22 კმ-იანი მონაკვეთის განახლება/გაუმჯობესება; (2) ქუთაისის შემოვლითი გზის 17 კმ-იანი მონაკვეთი და (3) ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა-სამტრედიის 20 კმ-იანი მონაკვეთი.

2008 წლიდან მოყოლებული, სესხის დამტკიცების შემდგომ, ჩატარდა არაერთი უფრო დეტალური შესწავლა, რათა გაანალიზებულიყო ამ მაგისტრალის ალტერნატიული მიმართულებები. გზის დაპროექტება და განხორციელების პროექტი დაიყო სამ მონაკვეთად. მაგისტრალის ცენტრალური მონაკვეთი, რომელიც გვერდს უქცევს ქ. ქუთაისს, ითვლება მთელი პროექტის პრიორიტეტულ მონაკვეთად და მთავარ ამოცანას წარმოადგენს, ზემოთ ხსენებულ სხვა ორ მონაკვეთამდე, ამ პრიორიტეტული მონაკვეთის პროექტის მომზადება და საჭირო თანხმობების მიღება მის ასაშენებლად.

ამ პროექტის განხორციელებას, JICA-ს დახმარებით, განხორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

საინჟინრო და ეკონომიკურ-ფინანსური ანალიზის გარდა, განხორციელდა უსაფრთხოების შეფასებაც. ქუთაისის შემოვლითი გზის უსაფრთხოების ანალიზის მიზანია დადგინდეს შესაძლო სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედება და რისკები, გაიცეს რეკომენდაციები რისკების შემსუბუქებასთან დაკავშირებით და შემუშავდეს მშენებლობის პროცესში სტანდარტების დაცვის (გეგმის განხორციელების) და პროექტის მუშაობის მართვისა და მონიტორინგის გეგმა. მაგისტრალის დარჩენილი ორი მონაკვეთი მოგვიანებით იქნება შეფასებული. პროექტისთვის უკვე დასრულდა ცალკე გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA), მათ შორის ეკოლოგიური მართვის გეგმა (EMP).

1.2 მიწის შეძენის და განსახლების განხილვა

2008 წელს ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის მეშვეობით შედარდა ალტერნატიული მიმართულებების სარგებელი და ხარჯები, შერჩეული მარშრუტის წინასწარ დადგენილ მონაკვეთებში. მიწის შეძენის და განსახლების (შემდგომში „მშგ“) ზემოქმედება იყო ალტერნატივების შედარების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი. კერძოდ, სამხრეთ 3 ვარიანტის შერჩევა ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთისთვის ჩაითვალა საუკეთესო გზად, რადგან მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი ფიზიკური გადაადგილებით და განსახლებით გამოწვეული სხვა გავლენები.

მაგისტრალის განახლება ან მშენებლობა მოითხოვს მიწის შეძენას 26მ-30მ სიგანის განთვისების ზოლისთვის. მაგისტრალის არსებული მონაკვეთების განახლება მოითხოვს გზის გაფართოვებას დაახლოებით 15მ-20მ, რათა დაკმაყოფილებული იყოს მაგისტრალის ზომები. გარდა ამისა, მიწის გამოყენებაზე შეიძლება დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, რაც ასევე წარმოადგენს განსახლების გავლენას.

განსახლების პოლიტიკის სისტემა დამტკიცა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და JICA-მ, ხოლო მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა პროექტის განსახლების პოლიტიკის, საქართველოში მოქმედი კანონების და, მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკის (OP) 4.12 დებულების – „არანებაყოფლობითი განსახლება“ - მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გამოიყენება, როგორც საუკეთესო მოდელი JICA-ს მიერ დაფინანსებულ ყველა პროექტში.

1.3 განსახლების სამოქმედო გეგმის მიზნები

RAP-ის უმთავრესი მიზანია უზრუნველყოს, რომ პროექტის მიერ დაზარალებულმა ყველა პირმა მიიღოს კომპენსაცია განსახლების დროს მათ მიერ მიღებული ზარალისთვის და ჩაუტარდეთ რეაბილიტაციის ღონისძიებები მათ დასახმარებლად, რათა მათ შეძლონ გაიუმჯობესონ ან მინიმუმ შეინარჩუნონ მაინც პროექტის განხორციელებამდე არსებული ცხოვრების დონე, საცხოვრისი და შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. განსახლების პოლიტიკის და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის თანახმად, RAP-ის მიზნებს წარმოადგენს, რომ (1) შესაძლებლობის შემთხვევაში, თავიდან იქნას აცილებული არანებაყოფლობითი განსახლება; (2) განსახლება განხორციელდეს მინიმუმ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა გარდაუვალია და მათთვის შერჩეული იქნას პროექტისთვის ფიზიკურად განხორციელებადი ალტერნატიული ვარიანტები; და (3) თუ არანებაყოფლობითი განსახლება გარდაუვალია, უზრუნველყოფილი იქნას, რომ ზქმოქმედების ქვეშ მოქცეულმა ადამიანებმა მიიღონ საჭირო დახმარება, სასურველია პროექტის ფარგლებში, რათა შეძლონ მინიმუმ ისეთი პირობების შექმნა მაინც, რომელიც პროექტის არარსებობის შემთხვევაში შეიძლებოდა ჰქონოდათ.

წარმოდგენილი RAP მომზადდა პროექტის ქუთაისის შემოვლითი გზის მონაკვეთთან დაკავშირებით და მასში საზოგადოებრივი განსახლების პრინციპები და პროცედურები, რათა უზრუნველყოფილი იქნას განსახლების აუცილებლობის დადგენა. აღმასრულებელმა/განმახორციელებელმა უწყებამ უნდა დაიცვას არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული შემოსხმებული პროცედურები, საქართველოს მთავრობის შესაბამისი კანონებისა და ნორმატიული აქტების, აგრეთვე JICA/მსოფლიო ბანკის პოლიტიკის სრული გათვალისწინებით.

გეგმაში ჩამოყალიბებულია მიზნები, ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა უფლებამოსილებები/დაშვებადობის კრიტერიუმები, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემები, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის მეთოდები, მონაწილეობის მიღებისა და კონსულტაციების პროცედურები, საჩივრების/პრეტენზიების დაკმაყოფილების მექანიზმები, რომლებიც გამოყენებული იქნება დაზარალებული ადამიანების კომპენსირების, განსახლებისა და რეაბილიტირების საფუძვლად, აგრეთვე საარსებო საშუალებებისა და ცხოვრების დონის აღსადგენად.

RAP-ი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადამიანებს დროულად შეატყობინონ მათ განსახლებასთან დაკავშირებული ვარიანტებისა და უფლებების შესახებ; გაუწიონ კონსულტაციები, შესთავაზონ ვარიანტები/არჩევანი განსახლების სხვადასხვა ალტერნატივას შორის; და სწრაფად და ეფექტურად დაუფარონ განსახლებით გამოწვეული დაკარგული აქტივების სრული საკომპენსაციო ოდენობა.
- ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადამიანებს გადაადგილების პროცესში გაუწიონ დახმარება; მისცენ საცხოვრებელი ადგილი ან საცხოვრებელი ფართობი, ან მოთხოვნის შემთხვევაში, სასოფლო სამეურნეო ფართობი, რომლის ნაყოფიერება, ადგილმდებარეობა, უპირატესობები და სხვა ფაქტორები მინიმუმ თანაბარი მაინც იქნება იმ უპირატესობებისა და ხელსაყრელი პირობების, რომლებიც ძველ ადგილს ჰქონდა; და
- ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ადგილმონაცვლეობის შემდეგ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადამიანებს შესთავაზონ დახმარება, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რომელიც ლოგიკურ/გონივრულ ვადას დაეფუძნება, მაგალითად დროს, რომელიც აუცილებელია მათი საცხოვრისის და ცხოვრების დონის აღსადგენად; და, კომპენსაციის ღონისძიებების გარდა, დაეხმარონ, რომ განვითარდნენ (მაგ. დაამუშაონ მიწა, მიიღონ საკრედიტო საშუალებები, გაიარონ ტრენინგები ან მიიღონ რაიმე სახის სამუშაო და სხვა).

ამ ღონისძიებების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებებს იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არიან, არ გააჩნიათ მიწა, არიან ასაკოვანები, აგრეთვე ქალებს და ბავშვებს, აბორიგენულ მოსახლეობას ან ადამიანებს, რომლებიც განსახლებას

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

დაექვემდებარენ, მაგრამ არექვემდებარებიან სახელმწიფო მიწის კომპენსირების სქემას (იხ. ტავი 5).

მოცემული RAP-ი მომზადდა მაგისტრალის პირველი მონაკვეთის – ქუთაისის შემოვლითი გზის – განახლებასთან დაკავშირებით; ასევე მომზადდა დანართი (იხ. დანართი 1), რომელიც მოიცავს მიწის შეძენის გეგმას და ინდივიდუალური პირების/ოჯახების კომპენსაციისა და უფლებამოსილებების/დაშვებადობის პროფილს, რელიეფ „შეძენისა და კომპენსაციის სქემაში“ შედის. ეს სქემა მოიცავს შესაძენი მიწის ნაკვეთების რუკებს, თავისი გეომეტრიული დეტალებით, ნაკვეთების ინდექსებით, შეძენილი მიწის ნაკვეთების მფლობელთა სიას, კომპენსაციის შეფასებას, აგრეთვე შემწობებს, თითოეულ შეძენასთან დაკავშირებით, აგრეთვე, მიწისა და აქტივების დადგენილ ჩანაცვლებით ღირებულებას. აქვე შედის ლეგალიზებული (მესაკუთრის უფლებების მქონე და არმქონე) მფლობელების ჩამონათვალი. ინდივიდუალური ნაკვეთების რუკები, მათ შორის დეტალები ამ მიწის ნაკვეთების შესახებ, უნდა მიეწოდოს შესაბამის ლეგალიზებულ მფლობელებს, რეგისტრაციის განხორციელების მიზნით.

დანართი 1 გამოყენებული იქნება RAP-ის გასახორციელებლად და განახლება ლეგალიზებული მფლობელების დაკანონების დასრულების შემდეგ. ასევე მოხდება დაკავშირება სახლგარეთ მყოფი მესაკუთრეებთან და ყველა შესაძლო გზით მოხდება მათი ადგილზე მოყვანა (ლოკალიზება), ზემოხსენებული შეძენისა და კომპენსაციის სქემის შესრულების მიზნით. სქემის განახლებული და საბოლოო ვარიანტის შემუშავების შემდეგ მოხდება მოლაპარაკებების წარმოება შეძენილი მიწის ნაკვეთებისა და მათთან დაკავშირებული აქტივების მფლობელებთან და არაოფიციალურ მომხმარებლებთან და მოხდება კომპენსაციის და შემწობების გადახდა თითოეული განსახლების ფაქტის გათვალისწინებით და RAP-ის შესაბამისად.

1.4 განსახლების გეგმის შინაარსი

მოცემული RAP-ი მომზადდა E-60 მაგისტრალის ქუთაისის შემოვლითი გზის მონაკვეთისთვის. RAP-ი მოიცავს შემდეგ სფეროებს:

თავი 1 – მოკლედ მიმოიხილავს პროექტს (მათ შორის, მაგისტრალის დღეს არსებულ განსახლებულ მონაკვეთს), აღმასრულებელ უწყებას და მიწის შეძენასა და მოთხოვნას განსახლებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების შეფასებასთან დაკავშირებით.

თავი 2: აღწერს პროექტს და ადგენს ქუთაისის შემოვლითი გზასთან დაკავშირებულ პროექტს, სტანდარტებსა და ტექნიკურ მოთხოვნებს;

თავი 3: აღწერს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების და ოჯახების სოციო-ეკონომიკურ მახასიათებლებს, მდგომარეობის სოციო-ეკონომიკური ანალიზიდან გამომდინარე, რომელიც დანაკარგების ინვენტარიზაციის დროს განხორციელდა (IOL);

აღმოსაველეთ-დასაველეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი:
ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

თავი 4: წარმოადგენს ქუთაისის შემოვლითი გზისთვის ფიზიკურ სამუშაოებთან დაკავშირებული ზემოქმედებისა და დანაკარგების სიას, რომელიც ეფუძნება ინვენტარიზაციას (IOL), რომელიც დაზარალებული ოჯახების უფროსების მონაწილეობით ჩატარდა;

თავი 5: ადგენს პროექტის სამართლებრივ და პოლიტიკურ სტრუქტურას და აღწერს საქართველოში მომქედ კანონმდებლობასა და JICA-ს სახელმძღვანელო მითითებებს გარემოსა და სოციალურ პირობებთან დაკავშირებით, რომელიც საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტად იყენებს მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების პოლიტიკას.

თავი 6: განიხილავს ინსტიტუციონალურ მოწყობას და პასუხისმგებლობებს, როგორც RAP-ის შესრულების, ისე შექმნისა და კომპენსაციის სქემის დაცვისა და განხორციელების მიზნით;

თავი 7: აღწერს კონსულტაციებს, რომლებიც მოცემულ დღემდე გაიცემოდა და ხაზს უსვამს პროექტის მიერ შემოღებულ პრეტენზიების დაკმაყოფილებისა და დავების განხილვის მექანიზმს;

თავი 8: აღწერს საკომპენსაციო განაკვეთების დადგენის მეთოდს, რომელიც RAP-ის ბიუჯეტის მოსამზადებლად იყო გამოყენებული და საკომპენსაციო სქემაში შემავალი ცხრილების საფუძველზე ახდენს ხარჯების შეფასებასა და RAP-ის ბიუჯეტის შედგენას;

თავი 9: მოიცავს განხორციელების გრაფიკს RAP-ის მომზადების (მათ შორის მისი დასრულების) მიზნით, აგრეთვე RAP-ის და კომპენსაციის სქემის ფაქტიური განხორციელების გრაფიკს; განხორციელების განრიგი ითვალისწინებს ეტაპობრივ მიდგომას და იყოფა მიმართულების ოთხ ნაწილად (სოფლებიდან და თითოეულ მონაკვეთზე - დაახლოებით 100 მიწის ნაკვეთიდან გამომდინარე); და

თავი 10: ადგენს მონიტორინგის აუცილებლობას პროექტის განხორციელების მიზნებისთვის და მოიცავს საწყისი მონიტორინგის, მათ შორის შიდა და გარე მონიტორინგის რამდენიმე პარამეტრს.

2. პროექტის აღწერა

2.1 პროექტის ტერიტორია და ადგილმდებარეობა

როგორც 1 თავში აღვნიშნეთ, მთელი პროექტი იყოფა სამ ნაწილად, რაც მოცემულია 2.2.1 ცხრილში, ხოლო თავად პროექტის ფარგლებში, პრიორიტეტად განისაზღვრა ქუთაისის შემოვლითი გზა, რომელიც პირველი განხორციელდება და აიგება. RAP მოიცავს ცენტრალურ მონაკვეთს (ქუთაისის შემოვლით გზას), ხოლო დანარჩენი ორი მონაკვეთი მომავალში ჩატარებული უსაფრთხოების შეფასების საგანი იქნება.


ცხრილი 2.2.1 – აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის მონაკვეთები, რომლებიც პროექტში შედიან

მონაკვეთი	მშენებლობის ტიპი	აღწერა
ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზა	არსებული გზის განახლება	მიუყვება არსებული მაგისტრალის მიმართულებას
ქუთაისის შემოვლითი გზა	ახლის აშენება	ქალაქ ქუთაისის შემოვლითი გზა, ქალაქის სამხრეთი გზის გამოყენებით სრულიად ახალ მიმართულებაზე
ქუთაისის შემოვლითი გზა - სამტრედია	ახლის აშენება (სამხრეთით მიმავალი გზა)	ახალი გზა, რომელიც ქუთაისის შემოვლით გზას სამტრედიასთან აკავშირებს

წყარო: კონსულტანტი

პროექტის ძირითად ფართობი არის მაგისტრალის 59 კმ-იანი მონაკვეთი, რომელიც JICA-ს დაფინანსებით უნდა გაუმჯობესდეს (იხ. გამოსახულება 2.1).


Kutaisi Bypass Road
Scale 1: 50 000



2.2 ალტერნატიული შემოვლითი მიმართულებების განხილვა

2007-დან 2010 წლის მანძილზე ჩატარდა პროექტის ტექნიკურ-მატერიალური განხორციელებადობის შესწავლა, რომლის დროსაც განიხილეს ქუთაისის შემოვლითი გზის მრავალი ალტერნატიული მიმართულება. როგორც წესი, ერთმანეთს შედარდა ქალაქის სამხრეთით მიმავალი სხვადასხვა მიმართულება. ეს ალტერნატივები ეფუძნებოდა არსებული გზების აღმოსვლეთ მონაკვეთის განახლებას (რომელიც 1980-იან წლებში აიგო), ნახშირდღეღან ბაღდადის გზამდე. დასავლეთ მონაკვეთი არასოდეს აგებულა და ამიტომ აუცილებელი იქნება ამ მონაკვეთის აშენება ახალ მიმართულებაზე, რომელიც დაასრულებს ქალაქის ახალ შემოვლით გზას. ალტერნატიული ვარიანტები შედარდა და უპირატესობა მიენიჭა ჩრდილოეთის ალტერნატივას, რომელიც გზას უვლის ქალაქში საღორიას ტყესთან მუხის ხეებით გარშემორტყმულ მონაკვეთს და ნაკლებ პრობლემებს ქმნის განსახლების კუთხითაც. ვინაიდან ჩრდილოეთის გზა (ალტერნატივა 1), რომელიც 2.2 გამოსახულებაზეა მოცემული, მაინც მოითხოვს გარკვეულ განსახლებას, შესაბამისად 2009/2010 წლებში შეფასდა სამხრეთის მიმართულება (ალტერნატივა 2).

გამოსახულება 2.2 – ქუთაისის შემოვლითი გზის განხილული ალტერნატივები



წყარო: კონსულტანტი

ალტერნატივა 1 გაცილებით გრძელია, მოითხოვს ხიდის გაგრძელებას (დამატებით ხიდს) და დამატებით გადაკვეთას (კვანძს); ალტერნატივა 2-ს განსხვავებით, რომელიც მდინარე ყვირილას ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს და უფრო სწორ

დაბლობზე გადის, ალტერნატივა 1 კვეთს ციცაბო და ვიწრო ხეობას. ცხრილში 2.3.1 მოცემულია ამ ორ ალტერნატივას შორის არსებული ძირითადი განსხვავებები.

ცხრილი 2.3.1 – ალტერნატიული მიმართულებების შედარება

პარამეტრი	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
გზის სიგრძე (კმ)	19.9	17.0
ხიდების სიგრძე (მ)	2,800	1760
სატრანსპორტო კვანძები (რაოდენობა)	5	4
ღირებულება აშშ დოლარში (მილ.)	98.0	70.4

წყარო: სხვადასხვა ანგარიში და კონსულტანტი

ორივე მიმართულება მოითხოვს მდინარე რიონის გადაკვეთას. გარდა იმისა, რომ ალტერნატივა 2 ჯდება ნაკლები, მის შედეგად ასევე შემცირდება მგზავრობის დრო რეგიონში გამავალი ტრანსპორტისთვის; ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების თვალსაზრისით, მე-2 ალტერნატივას სხვა მკაფიო უპირატესობებიც გააჩნია (მშენებლობის პროცესში ბუნებრივ ლანდშაფტს და აბორიგენულ მოსახლეობას მიაღებდა ნაკლები ფიზიკური ზიანი). (იხ. ცხრილი 2.3.2).

ცხრილი 2.3. 2 – ალტერნატიული შემოვლითი მიმართულებების შედარებითი ზემოქმედება

საკითხები	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2
დაცული ტყეები მუხის ხეებით	მიმართულება, რომელიც უშუალოდ საღორიის ტყის დაცულ ზონასთან მდებარეობს	მდებარეობს დაცული ზონებიდან მოშორებით და უმეტესად გამოუყენებელი სახელმწიფო მიწებისგან შედგება
განსახლების ზემოქმედება	ქუთაისის ეს მიმართულება ესაზღვრება დასახლებულ მიწებს და საჯარისო ბანაკს	მოშორებულია ქალაქიდან და ნაკლები ზემოქმედება აქვს დასახლებულ მიწებზე (მინიმალური განსახლება)
მშენებლობის ზემოქმედება	ტრანსპორტის მოძრაობის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით ნახშირდღეღესთან. ფართო	არსებული სატრანსპორტო მოძრაობის ნაკლები დარღვევა. ნაკლები ზემოქმედება (სამუშაოების

	მასშტაბის საგზაო სამუშაოები (ხიდები და სატრანსპორტო კვანძები); არსებობს ადამიანებზე ზემოქმედების მზარდი შესაძლებლობა.	მოცულობისა და მიწის გამოყენებისა და ადამიანების თვალსაზრისით).
ტერიტორია და ფერდობი	ნახშირდელესა და ბაღდადის გზას შორის არსებული მონაკვეთი არის ფრიალო და მოითხოვს სერიოზულ საპროექტო ცვლილებებს, რათა დაკმაყოფილებული იქნას TEM-ის სტანდარტები; ეს გამოიწვევს ხეების განადგურებას/დაკარგვას, რადგან გზა ოთხ-ხოლიანად უნდა გაფართოვდეს.	გადაკვეთს დაბლობს და სწორად მიმავალ მიწას. სიფრთხილეა საჭირო საამშენებლო სამუშაოების დროს მდინარე ყივირილასთან ახლოს. შეიძლება დაიკარგოს მცირე ოდენობით მუხის ხეები, რომ გზის განაპირა მხარეს არიან დარგული.
გარემოს დაბინძურება და კლიმატური ცვლილებები	ახლოა კომუნიკაციებთან. მგზავრობას 2.1 წუთით მეტი სჭირდება 80 კმ/სთ-ზე; გამავალი ტრანსპორტი უფრო მეტად აბინძურებს ჰაერს და იწვევს სმაურს.	მოშორებულია ქალაქის ძირითადი კომუნიკაციებიდან. სამგზავრო დრო უფრო ნაკლებია; გარემოზე ზემოქმედებაც ნაკლებია (ნაკლები დაბინძურება).

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის EIA (2010 წლის დეკემბერი)

2.3 შემოვლითი გზის პროექტი და განხილვა


შერჩეული მიმართულება (ალტერნატივა 2) – ანუ შემოთავაზებული მიმართულება, რომელიც წითლად არის აღნიშნული გამოსახულებაზე 2.3 – 19 კმ-დან 17 კმ-მდე ამცირებს ახალი შემოვლითი გზის მანძილს. როდესაც მთელი პროექტის პირველი და მეორე მონაკვეთები დასრულდება, მანძილი ნახშირდელედან, ანუ შემოვლითი გზის ადმოსვლეთ ნაწილიდან სამტრედიამდე შემცირდება 49 კმ-დან 43 კმ-მდე; ადმოსავლეთ-დასავლეთით არსებული ამ ძალზე მნიშვნელოვანი ტრასის დამაკავშირებელი ეს 6 კილომეტრიანი შემცირება სერიოზულად დაზოგავს მგზავრობის დროს და შეამცირებს გზებზე არსებულ სატრანსპორტო საცობებს და გადატვირთულობას ქალაქ ქუთაისსა და მის მიდამოებში.

ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის გამოსახულება შედგება ორი, ერთ-მიმართულებიანი სავალი ნაწილისგან, რომელიც გამოყოფილია შუა ან

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა


ცენტრალური ზოლით/ხაზით. გაკეთდება ოთხ-ზოლიანი გზის პროექტი, მაგრამ თავდაპირველად აიგება მხოლოდ ორ-ზოლიანი გზა. აშენდება ოთხი სატრანსპორტო კვანძი (როგორც უკვე გაჩვენეთ გამოსახულებაზე 2.3) და ექვსი ხიდი. სატრანსპორტო კვანძებთან აშენდება ოთხ-ზოლიანი მაგისტრალი. მოცემული მაგისტრალის განივი კვეთი მოცემულია გამოსახულებაზე 2.4.

გამოსახულება 2.3 – შერჩეული მიმართულება ქუთაისის შემოვლითი გზისთვის



წყარო: კონსულტანტი

გამოსახულება 2.4 – ოთხ-ზოლიანი გზის ტიპური განივი კვეთა



წყარო: კონსულტანტი

ქუთაისის შემოვლითი გზის პროექტი გაკეთდება საავტომობილო გზების სტანდარტების სრული დაცვით, რომელიც შესაბამისობაშია ტრანს-ევროპული მაგისტრალის (TEM) საპროექტო სტანდარტებთან. ეს სტანდარტები ეხება მაგისტრალს, რომელიც:

- სპეციალურად არის დაპროექტებული და აგებული გამავალი ტრანსპორტისთვის და არ ეხება მომიჯნავე უბნებს (ანუ, არ უზრუნველყოფს ადგილობრივ წვდომას ან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას);
- სპეციალური ან დროებითი პუნქტების გარდა უზრუნველყოფილია ცალკე სავალი ნაწილით, ორი მიმართულების ტრანსპორტისთვის, რომელიც გაყოფილია ცენტრალური გამყოფი ხაზით ან ბარიერით;
- უზრუნველყოფილია გზით, რკინიგზის ხაზით, ან ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებით, როგორც ხიდს ქვევით, ისე ზევით (მაგ. არანაირი გადასასვლელი ერთსა და იმავე დონეზე); და
- ნიშნების დაყენება სპეციალურად საავტომობილო გზისთვის, ფუნქციონირებისა და სიჩქარის დასადგენად.

გარდა ამისა, გზების TEM-ის სტანდარტების მიხედვით დაპროექტება მოითხოვს: (1) ადეკვატრი სიგანის მაგარ გვერდულ ხაზებს, რომელზეც საგანგებო/ავარიული გაჩერების გარდა სხვა მანქანების გაჩერება აკრძალულია; (2) საკმარის მანძილს სატრანსპორტო კვანძებს შორის და (3) მის საკუთარ საპოლიციო მომსახურებას და დაცვის სამსახურს.

ცხრილი 2.4.1 – გზის საპროექტო სტანდარტი

მთავარი პარამეტრები	ერთეული	ღირებულება
საპროექტო სიჩქარე	Km/h	120
ზოლების რაოდენობა	No	4
ზოლების სიგანე	m	3.75
გვერდული ხაზების სიგანე	m	3
ცენტრალური ზოლის მინიმალური სიგანე	m	4
მაგარი გვერდული ზოლის სიგანე ავარიული გაჩერებებისთვის	m	3
გადახვევა ცენტრალური ზოლისგან	m	1
მაქსიმალური გრძივი გრადიენტი	%	4
მინიმალური ჰორიზონტალური მრუდი 4.7% განივ ფერდობზე/დახრაზე	m	1000
აქტარების და შენელების ზოლების სიგანე	m	3.5
სავალი ნაწილის ნორმალური განივი დახრა	%	2
ვირაჟის მაქსიმალური გრადიენტი	%	5
ხიდების და მიწისზედა გზაგამტარების ვერტიკალური საპროექტო გაბარიტი	m	5
კვანძების და საპროექტო სიჩქარე	Km/h	40-60

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

მიერთებების ტექნიკური პარამეტრები	ჰორიზონტალური მრუდის მინიმალური რადიუსი	m	50
გზის სამოსის სტრუქტურა		ცემენტი-ბეტონი	

წყარო: კონსულტანტი

მაგისტრალის გაყოლებაზე საჭირო ხიდები მოცემულია ცხრილში 2.4.2; მანძილის ათვლა იწყება შემოვლითი გზის მონაკვეთის აღმოსავლეთით არსებული დაბოლოებიდან.

ცხრილი 2.4.2 – ხიდები ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის მონაკვეთში

მანძილი (მეტრულად)	აღვიწმინდებარეობა
კმ 0+569 – 0+674	მდინარე ნახშირღელე
კმ 2+360 – 2+830	მდინარე ჭიშურა
კმ 6+340 – 6+839	მდინარე ეკლარა და რკინიგზა
კმ 8+401 – 8+508	მდინარე წყალწითელა
კმ 8+643 – 8+679	რიონის არხი
კმ 9+834 – 10+674	მდინარე რიონი

წყარო: კონსულტანტი

ხიდების გარდა, მაგისტრალზე განლაგდება ოთხი ძირითადი გადაკვეთა (როგორც ეს ადრე იყო მოცემული გამოსახულებაზე 2.3). ესენია:

- ქუთაისის შემოვლითი გზის აღმოსავლეთით არსებული დაბოლოება (დასაწყისი) - (კმ 15+800);
- სარბევის სამხრეთი (კმ 24+500);
- გეგუთის ჩრდილოეთი (კმ 28+500); და
- ქუთაისის შემოვლითი გზის დასავლეთით არსებული დაბოლოება (კმ 32+800).

ქვევით გთავაზობთ შემოვლითი გზის ამ მონაკვეთის ზოგადი აღწერას.

აღმოსავლეთით, შემოვლითი გზა განეშტოება არსებულ E-60 მაგისტრალს, ზუსტად არმისული ნახშირღელემდე და მიდის სამხრეთით, უვლის რა გვერდს თავად ნახშირღელეს, რაც თავიდან აგვაცილებს ინტენსიურ სამუშაოებს მიწაზე და გარემოს პოტენციურ დაზიანებებს ამ დაბლობზე; განსახლების ზეგავლენაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ამ მიმართულებისთვის აუცილებელი იქნება ერთი პატარა ხიდი, რომელიც მდინარე ნახშირღელეზე გაიდება (პირველ სატრანსპორტო კვანძამდე), იგი გადაკვეთს საძოვრებს და გაივლის ორ ძველ ქარხანას შორის მანამ, სანამ მდინარე ჭიშურას გადაკვეთდეს 460 მეტრიანი ხიდით, საიდანაც მიმართულება განლაგდება შედარებით

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი:
ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

მადლობზე (ეს არის ერთადერთი შემადღებული ადგილი მთელ შემოვლით ტრასაზე). მიმართულება გადაკვეთს მდინარე ყვირილას, დაახლოებით 500 მეტრით სამხრეთ მხარეს და გაუყვება ძველი სარკინიგზო ხაზის მარშრუტს, რომლის ლიანდაგები და შპალები უკვე აღებულია.

შემდეგ მარშრუტი გადაკვეთს არსებულ ძირითად სარკინიგზო ხაზს და მდინარე ეკრალას, ახალი ხიდით, რომლის სიგრძეც არის 480 მ. აქვე არის ორი მოკლე გადასასვლელი მდინარე წყალწითელასა და რიონის არხზე, მანამ, სანამ სოფელ სარბევის სამხრეთით არსებულ კვანძამდე მივიდოდეთ; ამ კვანძით ხდება მისვლა ბაღდადის გზამდე. ამ სატრანსპორტო კვანძის შემდეგ გზა გადაკვეთს უფრო მეტ მინდორს და აქვე იქნება მდინარე რიონზე გადასასვლელი 800 მტრიანი ხიდი. ამის შემდეგ გზა გადაკვეთს გამოუყენებელ საძოვრებს, თავისუფალ/ცარიელ მიწას და მივა ნახევრად დანგრეული ქარხნის შენობა-ნაგებობებამდე, სანამ მიადწევდეს სოფელ გეგუთის ჩრდილოეთით მის მესამე სატრანსპორტო კვანძამდე.

შემოვლითი გზის დასრულების შემდეგ, გეგუთის და ბაღდადის გზის სატრანსპორტო კვანძები იქნება ქალაქ ქუთაისის მთვარი მისასვლელები აღმოსავლეთ-დასავლეთი მაგისტრალიდან. ქვეყნის ამ დასავლეთ ნაწილში მიწების უმეტესობა გამოიყენება საძოვრებისთვის, აგრეთვე სიმინდის დასათესად. არის ასევე გამოუყენებელი მიწის ნაკვეთებიც. შემოვლითი გზა დასრულდება მეორე სატრანსპორტო კვანძთან, რომელიც, საბოლოო ჯამში, მაგისტრალის 20 კმ-იანი სიგრძის მესამე მონაკვეთის დასრულების შემდეგ მას სამტრედიასთან დააკავშირებს.

3. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები

3.1 პროექტის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები

მთლიანობაში პროექტი გავლენას იმოქმედებს ორ რაიონზე (რეგიონზე) – წყალტუბოსა და თერჯოლაზე და იმერეთის რეგიონის ქ. ქუთაისი მახლობლად არსებულ ექვს სოფელზე, აგრეთვე ათ კომპანიაზე/საწარმოზე და ერთ მიწის მფლობელზე, რომელიც სახლგარეთ ცხოვრობს (და რომელზეც ვერ მოვიძიეთ რაიმე სახის სოციო-ეკონომიკური ინფორმაცია). პროექტი პირდაპირ ზემოქმედებას იქონებს 340 ოჯახზე, რაც 3.1.1 ცხრილში არის ნაჩვენები:

ცხრილი 3.1.1 – დაზარალებული ოჯახები, რაიონებისა და სოფლების მიხედვით

სოფელი	დაზარალებულები რაიონების მიხედვით		სულ
	წყალტუბო	თერჯოლა	
გეგუთი	53		53
უკანეთი	22		22
ჭოგნარი		125	125
კვახჭირი		65	65
ნახშირღელე		73	73
ქვედა სიმონეთი		2	2
სულ	75	265	340

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზა, ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

კომპანიებისა და სახლგარეთ მცხოვრები მიწის მფლობელების გარეშე სულ სახეზეა 329 დაზარალებული ოჯახი, რომელმაც მოგვაწოდა ამ ანგარიშში გამოყენებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაცია. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია 746 ქალი და 737 – კაცი, რაც ჯამში გვაძლევს 1,483 დაზარალებულ ოჯახს. ამასთან დაკავშირებით იხ. ცხრილი 3.1.2.

ცხრილი 3.1.2 – დაზარალებული ოჯახები და ადამიანები

სოფელი	დ/ო ქალი უფროსებით	დ/ო კაცი უფროსებით	სულ დ/ო	დაზარ. ქალები	დაზარ. კაცები.	სულ დაზ. პირები
სიმონეთი	21	50	71	150	137	287
ჭოგნარი	24	101	125	287	298	585
კვახჭირი	9	55	64	152	152	304
გეგუთი+უკანეთი	15	54	69	157	150	307
სულ	69	260	329	746	737	1483

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების ეს მახასიათებლები ეფუძნებიან ზარალის ინვენტარიზაციის (IOL) დროს მოსახლეობის აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. ინფორმაციის შეგროვება მოხდა სოფლების დონეზე (ოთხი მონაკვეთის ანუ სოფლების ოთხი დაჯგუფების საფუძველზე, რომელიც ეტაპობრივი შესწავლისას იყო გამოყენებული), რომლის დროსაც გარკვეული ინფორმაცია მიეწოდა ოჯახის უფროსებს, მათი სქესიდან გამომდინარე, ან სოციალურად დაუცველობის ან სიღარიბის დონის მიხედვით, სადაც ამ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.


3.2 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების მახასიათებლები

3.2.1 ოჯახის მოცულობა და შემადგენლობა

თითქმის ნახევარზე მეტი (21%) ოჯახის უფროსი არის ქალი.

გრაფიკი 3.2.1 გვიჩვენებს, რომ სახლების უდიდესი ნაწილი (95%) არის ერთ-ოჯახიანი, თუმცა, სხვა სოფლებთან შედარებით, ჭოგნარში სახეზეა ოდნავ მეტი, ორ-ოჯახიანი სახლები. ორ-ოჯახიანი სახლების რაოდენობა შეადგენს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ოჯახის 5%, ხოლო სამი და მეტი ოჯახიანი სახლები შეადგენს 1%.

გრაფიკი 3.2.1 – სახლის შემადგენლობა ოჯახების მიხედვით



წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

ოჯახის საშუალო მოცულობა არის 4.5 სული; ყველაზე პატარა სახლები შედგებიან ერთ-სულიანი ოჯახებისგან, ხოლო ყველაზე დიდი ოჯახები – ათი სულისგან (ერთი ოჯახი კვანჭირში და ერთი ოჯახი სიმონეთი+ნახშირდელეში). თითქმის ყველა სოფელში მოიძებნება ერთ-სულიანი ოჯახი.

როგორც ცხრილი 3.2.1 გვიჩვენებს, დაზარალებული ოჯახები, სადაც უფროსები კაცები არიან, როგორც წესი, გაცილებით დიდია, ვიდრე ის ოჯახები, რომლებსაც ქალები მართავენ (კაცების მიერ მართული ოჯახების ერთი მესამედი ექვსი ან მეტი სულისგან შედგება, ქალების მიერ მართული ოჯახების 23%-თან შედარებით); მხოლოდ კაცების მიერ მართული ოჯახები შედგებიან რვა ან მეტი სულისგან. ქალის მიერ მართული ოჯახების თითქმის ნახევარი (45%) შედგება ოთხი სულისგან, განსხვავებით კაცების მიერ მართული ოჯახებისგან, რომელიც 24%-ს შეადგენს. ერთ-სულიანი ოჯახების რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია, მათგან ქალებისგან შემდგარი არის 17%, ხოლო კაცებისგან – 5%.

ცხრილი 3.2.1 – ოჯახის მოცულობა ოჯახის უფროსის სქესის მიხედვით

ოჯახის უფროსის სქესი	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების რაოდენობა									
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ქალი	17.4	8.7	11.6	13.0	26.1	7.2	13.0	2.9	0	0
კაცი	4.7	9.0	11.7	25.0	18.0	16.4	8.2	3.1	3.1	0.8
სულ	6.4	9.4	11.6	22.5	19.5	14.6	9.1	3.0	2.4	0.6


წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

სულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების საერთო ასაკობრივი განაწილება არის შემდეგი: 11% - 66 წლის ან მეტი; ორი მესამედი – 17-დან 65 წლამდე (აედან 65% - კაცები და 69% - ქალები), ხოლო 21% არის 16 წლის ან ნაკლების.

ერთადერთი ყველაზე დიდ ასაკობრივ ჯგუფს ქმნიან 26-დან 45 წლამდე ასაკის ადამიანები, რაც შეადგენს ყველა დაზარალებული ადამიანის 30%.

გრაფიკი 3.2.2 გვიჩვენებს გამოკვლეული ადამიანების ასაკობრივ დანაწილებას სქესის მიხედვით; ორ ასაკობრივ ჯგუფში უფრო მეტი რაოდენობის ქალი გვხვდება, ვიდრე მამაკაცი და ისინი ორივენი უფროსი ასაკის ჯგუფს განეკუთვნებიან (46-დან 65 წლამდე და 66 წლის და ზევით ასაკობრივი ჯგუფები); 0-დან 4 წლამდე და 5-დან 16 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში უფრო მეტი მამაკაცია, ვიდრე ქალი. მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თანაბარია 17-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში.

გრაფიკი 3.2.2 – ასაკობრივი დანაწილება სქესის მიხედვით



წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

3.2.2 ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და რელიგიური მრწამსი

როგორც ცხრილი 3.2.2 გვიჩვენებს, დაზარალებული ოჯახების 57%-ის უფროსი არის პირი, რომელიც არის 31-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანი (სადაც 22% არის 31-დან 45 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი, ხოლო 36% - 46-დან 60 წლამდე ასაკის). დაზარალებული ოჯახების უფროსების ერთი მეოთხედი არის 30 წლის ან ნაკლები ასაკის და მხოლოდ პატარა ნაწილი (11%) არის გაცილებით უფროსი (76 წლის ან მეტის). სახეზეა გაცილებით დიდი ნაწილი ახალგაზრდა მამაკაცებისა, რომლებიც დაზარალებული ოჯახების უფროსები არიან, სადაც 26% არიან მამაკაცები, ხოლო 17% - ქალები, რომლებიც ოჯახების უფროსები არიან და მათი ასაკი მერყეობს 20-დან 45 წლამდე; მხოლოდ ოჯახის უფროსი მამაკაცები არიან 30 წელზე ახალგაზრდა ასაკის. ოჯახის უფროსი მამაკაცების ნახევარზე მეტი (57%) არის 61 წლის ან მეტის, ხოლო ქალების გაცილებით დიდი ნაწილი 20%, ვიდრე კაცებისა (9%) არის 75 წელზე მეტი ასაკის.

ცხრილი 3.2.2 – დაზარალებული ოჯახის უფროსის ასაკი


ოჯახის უფროსის სქესი	ასაკობრივი ჯგუფები წლების მიხედვით (%)				
	20 დან 30	31 დან 45	46 დან 60	61 დან 75	76 და ზევით
ქალი	0	17.4	26.1	36.2	20.3
კაცი	3.1	23.1	38.1	27.3	8.5
სულ	2.4	21.9	35.6	29.2	10.9

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

დაზარალებული ოჯახების უმეტესი ნაწილის (71%) უფროსი არის ოჯახური (დაქორწინებული) წევრი, ხოლო დანარჩენი ნაწილის უფროსი არის მარტოხელა ადამიანი, საიდანაც დაუქორწინებელია 7%, ხოლო ქვრივი 31%. დანაკარგების ინვენტარიზაციის დროს არ დადგენილა ოჯახის უფროსი, რომელიც იქნებოდა განქორწინებული ან დაშორებული.

გრაფიკი 3.2.3 გვიჩვენებს, რომ ქალის მიერ მართული ოჯახების სამ-მეოთხედზე მეტი, შედარებით მამაკაცების მიერ მართული ოჯახების 16%-ისა, დაუქორწინებლები არიან. ქალების მიერ მართული ოჯახების უმეტესი ნაწილის (68%) უფროსი ქალი დაქვრივებულია, განსხვავებით კაცების მიერ მართული ოჯახების 10%-გან. ქალების მართული ოჯახების უფროსი ქალების 23% დაქორწინებულია, განსხვავებით კაცების მიერ მართული ოჯახების 84%-გან. მიუხედავად იმისა, რომ იგივე ნაწილი საერთოდ არ არის დაქორწინებული, ამ კატეგორიაში მაინც უფრო მეტი ქალი შედის, ვიდრე კაცი.

გრაფიკი 3.2.3 – ოჯახის უფროსის ოჯახური მდგომარეობა სქესის მიხედვით



წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

პროექტის მასშტაბით არ არსებობენ ეთნიკურად მრავალფეროვანი ოჯახები. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანები რეგისტრირებული არიან როგორც ქართველები.

რაც შეეხება რელიგიურ მრწამსს, ოჯახების უდიდესი ნაწილი (98%) არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, აქედან გეგუთი+უკანეთის და სიმონეთი+ნახშირდელეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების 100% არის მართლმადიდებელი ქრისტიანი. ჭოგნარში - 3% არის მუსლიმანი, ხოლო დანარჩენი 2% არის სომეხი-გრეგორიანელი; კვახჭირში - 2% არის კათოლიკე (იხ. ცხრილი 3.2.3).

ცხრილი 3.2.3 – დაზარალებული ოჯახების რელიგიური მრწამსი

სოფელი	რელიგიური მრწამსი (%)			
	ქრისტიანი	მუსლიმანი	სომეხი-გრეგორიანელი	კათოლიკე
ჭოგნარი	95.2	3.2	1.6	0
გეგუთი + უკანეთი	100.0	0	0	0
კვახჭირი	98.4	0	0	1.6
სიმონეთი + ნახშირდელე	100.0	0	0	0
სულ	97.9	1.2	0.6	0.3

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

პროექტის მასშტაბით ძირითადი სალაპარაკო ენა არის ქართული და მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილი, კერძოდ სოფელ კვახჭირში მცხოვრები ოჯახის უფროსები, საუბრობენ რუსულ ენაზე, რაც მათ ძირითად ენას წარმოადგენს.

3.2.3 საცხოვრებელი სტატუსი, საცხოვრებლის ტიპი და მშენებლობა

დაზარალებული ოჯახების 95% არის ადგილობრივი მაცხოვრებელი, მათი საცხოვრებელი სტატუსის თვალსაზრისით. დაზარალებული ოჯახების მხოლოდ მცირე რაოდენობა არის ლტოლვილი (სამი ანუ 1%), რომლებიც ცხოვრობენ სიმონეთი+ნახშირდელეში, ან მოხდა მათი ადგილობრივად ადგილმონაცვლეობა ან განსახლება, რაც ბუნებრივი საფრთხეებით ან სხვა გარემოებებით იყო განპირობებული (ცხრა ანუ 3%). ასეთი დაზარალებული ადამიანები ცხოვრობენ ჭოგნარში..

დაზარალებული ადამიანების 93% ცხოვრობს დაცარიელებულ სახლებში, ხოლო 6% - კორპუსებში (4% ცხოვრობს 40 ბინიან კორპუსებში, ხოლო 2% - უფრო დიდ მრავალსართულიან კორპუსებში). დაზარალებული ადამიანებიდან მხოლოდ სამი (1%) ცხოვრობდა დროებით თავშესაფარში; აქედან ორი განასახლეს, ხოლო მესამე იყო ადგილობრივი მაცხოვრებელი.

ცხრილი 3.2.4. გვიჩვენებს, რომ ოჯახების თითქმის სამი-მეოთხედი (78%) ცხოვრობს კრამიტის ფილებით გადაფარულ სახლებში, ხოლო დანარჩენი დაზარალებული ოჯახები ცხოვრობენ სახლებში, რომლებიც გადაფარულია: უხეშად დამუშავებული ხით - (9%), გოფირებული რკინით - 5%, აგურით/ბეტონით - 3%, დაქუცმაცებული

ხის მასალით – 2%, ან ცხოვრობენ სახლებში, რომლებიც გადაფარულია მხოლოდ უბრალო მასალებით, მაგალითად ბრეხენტით ან მიწით – 1%.

დაზარალებული ოჯახების ნახევარი ცხოვრობს ხის/აგურის კედლებიან სახლებში, ხოლო 45% ცხოვრობს ბეტონის კედლებიან სახლებში. იატაკად ძირითადად გამოიყენება უხეშად დამუშავებული ხე (დაზარალებული ოჯახების სამ-მეოთხედში), ხოლო 16% ცხოვრობს აგურის ან ბეტონის იატაკიან სახლებში.

ცხრილი 3.2.4 – სახლის ძირითადი საამშენებლო მასალები

სახლის ნაწილი	ძირითადი საამშენებლო მასალა (%)						
	მარტივი მასალები	ხის, დაკუმშავებული ისე	ხის, დაქუცმაცებული ხე	ხე/აგური	აგური/ბეტონი	გოფირებული რკინა	კრამიტი
სახურავი	1.3	9.4	1.8	1.2	2.6	5.4	78.3
კედლები		3.9	1.2	49.6	45.3		
იატაკი	1.6	76.6	2.6	0.4	15.9		2.9

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი)

3.2.4 განათლება და წერა-კითხვის ცოდნის დონე

გამოკვლევებით მოცულ არცერთ ადამიანს არ განუცხადებია, რომ ისინი არ დადიოდნენ სკოლებში ან არ მიუღიათ რაიმე სახის განათლება.

ცხრილი 3.2.5 გვიჩვენებს, რომ ქალები, როგორც წესი, ნაკლებად განათლებული არიან, ვიდრე კაცები. ოჯახის უფროსი ქალების 19 პროცენტს, განსხვავებით ოჯახის უფროსი კაცების 13%-გან, მიღებული აქვს მხოლოდ სრული დაწყებითი განათლება და არც ერთ ცოლს, განსხვავებით ქმრების 11%-ისა, არა აქვს მიღებული სრული დაწყებითი განათლება; ცოლების 88%-ს მიღებული აქვს მხოლოდ არასრული დაწყებითი განათლება (განსხვავებით ქმრების 71%-სა). როგორც ოჯახის უფროსი მამაკაცების (16%) ისე ქმრების 17%) დიდ ნაწილს მიღებული აქვს მესამე დონის განათლება, განსხვავებით (% და 6% ქალებისგან, შესაბამისად).

ცხრილი 3.2.5 – განათლების უმაღლესი დონე

ოჯახის უფროსი და მეუღლე	სქესი	განათლების დონე (%)			
		არასრული	სრული	არასრული	მესამე

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

		დაწყებითი	დაწყებითი	საშუალო	დონის
ოჯახის უფროსი	ქალი	69.6	18.8	2.9	8.7
	კაცი	70.4	12.7	0.8	16.2
	სულ	70.2	14.0	1.2	14.6
მეუღლე	ქალი	87.5	0	6.3	6.3
	კაცი	70.8	11.0	0.9	17.4
	სულ	71.9	10.2	1.3	16.6

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

რაც შეეხება მწიგნობრობის დონეს, თითქმის ყველა ოჯახის უფროსს შეუძლია კითხვა და წერა ქართულ ენაზე, ხოლო ოჯახის უფროსი ქალების 16% და ოჯახის უფროსი კაცების 27% შეუძლია წერა და კითხვა რუსულ ენაზე. ცოლების 2%-ს არ შეუძლია ქართულად წერა და კითხვა; ყველა ქმარს შეუძლია ქართულად წერა და კითხვა.

3.3 საარსებო საშუალებები, სიღარიბე და სოციალურად დაუცველობა

3.3.1 საარსებო საშუალებები

საარსებო საშუალებები ეს ისეთი უფლებამოსილება, აქტივები და საქმიანობაა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ინახავენ საკუთარ თავსა და ოჯახებს. საარსებო წყაროები უნდა აღვიქვათ, როგორც ერთგვარ სისტემათა ერობლიობა, მათი ყველა შემადგენელი კომპონენტისა და ამ კომპონენტებს შორის ურთიერთობების გათვალისწინებით. საარსებო საშუალებათა სისტემები მოიცავენ მთელ რიგ მექანიზმებს საკვების სიმწირის დასაძლევად ან ოჯახების სტრესული თუ შოკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

ცხრილი 3.3.1 გვაწვდის პროექტის ზონაში მოქცეული ოჯახების საარსებო დონეთა მაჩვენებლებს, რომლებიც სასოფლო დასახლებების მაჩვენებლებზე დაბალია, რადგან მეტწილად ქალაქის დასახლებებს ასახავენ. მოხმარებული საკვების სულ მცირე, სამ მეოთხედს ოჯახების 41% თავად აწარმოებს. ამასთან, ისეთი ოჯახების დიდ ნაწილი (43%), რომელთაც ქალები უძღვებიან საკვების სამ მეოთხედს თავად აწარმოებენ. ოჯახების დაახლოებით მესამედი საკვების მეოთხედს ან ნახევარს თავად აწარმოებს. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების მიერ მოხმარებული საკვების მეოთხედზე მეტი (26%) ან შეძენილია ან ნავაჭრი. აქედან

ოჯახები, რომლებსაც ქალები უძღვებიან მეტწილად იყენებენ საკვებს, რომელიც თავად არ უწარმოებიათ (შედარებით კაცების მიერ მართული ოჯახების 29%-სა).


ცხრილი 3.3.1. – ოჯახთა საარსებო დონეები

ოჯახის უფროსის სქესი	ოჯახში წარმოებული საკვების მოხმარების პროპორციები		
	სულ მცირე 75%	25%-სა და 50%-ს შორის	25%-ზე ნაკლები
მდედრობითი	43.4	27.5	29.1
მამრობითი	40.4	34.2	25.4
მთლიანად	41.1	32.8	26.1

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის დანაკარგების ინვენტარიზაცია (დეკემბერი 2010 – იანვარი 2011)

გრაფიკი 3.3.1 გვიჩვენებს, რომ ოჯახების დიდი ნაწილი (84%) იღებს ხელფასს, რომელიც მათი შემოსავლის სამ მეოთხედზე მეტს შეადგენს (77%), ხოლო ოჯახების დაახლოებით ორ მესამედს (63%) აქვს არასახელფასო შემოსავალი, რაც ძირითადად შედგება პენსიების, სამთავრობო სოციალური დახმარების, ფულადი გზავნილების ან საიჯარო გადასახადისგან და შეადგენს ამ ოჯახების შემოსავლის 16%. ოჯახების 18% ყიდის წარმოებულ საქონელს და აქედან მიღებული მოგება შეადგენს მათი მთლიანი შემოსავლის 10%-ზე ნაკლებს (41%).

გრაფიკი 3.3.1. – ოჯახების შემოსავლის წყაროები



წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის დანაკარგების ინვენტარიზაცია (დეკემბერი 2010 – იანვარი 2011)

ოჯახებს შემოსავლის ცვალებადი და სხვადასხვა/მრავალფეროვანი წყაროები აქვთ. ცხრილი 3.3.2 გვიჩვენებს, რომ ოჯახები ქალების ხელმძღვანელობით (68%) უფრო მეტად ეყრდნობიან არასახელფასო შემოსავალს, ვიდრე ის ოჯახები, რომლებსაც მამაკაცები უძღვებიან (56%). ასეთი ოჯახების დიდი ნაწილი (82%), ქალთა მიერ

მართულ ოჯახებთან შედარებით (64%), შემოსავალს ხელფასების სახით და წარმოებული საკვები პროდუქტის გაყიდვის შედეგად იღებს.

ცხრილი 3.3.2 – ოჯახების საშემოსავლო წყაროები

შემოსავლის წყარო	ქალების მიერ მართული ოჯახები	მამაკაცების მიერ მართული ოჯახები
ხელფასი	63.8	82.3
არასახელფასო შემოსავალი	68.1	56.2
საქონლის გაყიდვა	15.9	17.3

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის დანაკარგთა ინვენტარიზაცია (დეკემბერი 2010 – იანვარი 2011)

რაც შეეხება მოსახლეობისთვის შემოსავლის ფორმირებას, ოჯახების ნახევარზე მეტი (57%) აცხადებს, რომ ისინი რეგულარულად იღებენ შემოსავალს არასახელფასო წყაროებიდან. დაახლოებით ერთი მესამედი (31%) შემოსავალს იღებს დროებითი სამუშაოების გზით, ხოლო 27% იღებს სეზონურ შემოსავალს (მარცვლეულის და შინაური საქონლის გაყიდვის გზით).

ოჯახების მესამედში არიან მამაკაცები, რომლებსაც აქვთ რეგულარული სამუშაო და ხელფასი (აღრიცხულია 118 დასაქმებული მამაკაცი), ხოლო ოჯახების 15% არიან დასაქმებული ქალები, რომლებიც რეგულარულად იღებენ ხელფასს (აღრიცხულია 51 დასაქმებული ქალი). არც ერთ ოჯახში არ უხსენებიათ ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ოჯახის წევრების შესახებ.

ცხრილი 3.3.3. გვჩვენებს, რომ ოჯახების უმრავლესობის (36%) შემოსავლის ძირითადი წყარო არის სოფლის მეურნეობა და მეტყვეობა (ამ უკანასკნელით უფრო მეტად ისეთ ოჯახებში არიან დაკავებულები (37%), რომლებსაც მამაკაცები უძღვებიან, ვიდრე ოჯახებში ქალების ხელმძღვანელობით (29%). საჯარო ან სამთავრობო სექტორში დასაქმება შეადგენს შემოსავლის მეორე, ძირითად წყაროს (18%) და ამ შემთხვევაში მამაკაცებისა და ქალების მიერ მართული ოჯახების პროპორცია მსგავსია. ისეთი ოჯახების უმეტესობა (23%), რომლებსაც ქალები უძღვებიან არ იღებენ რეგულარულ შემოსავალს მამაკაცთა მიერ მართულ 12%-თან შედარებით.

ცხრილი 3.3.3 – შემოსავლის პირველადი წყაროები

ოჯახის უფროსის სქესი	შემოსავლის ძირითადი წყარო (%)							
	არ არსებობს	სამთავრობო სტრუქტურა	ვაჭრობა, მცირე ბიზნესი	მომსახურება, ტურიზმი, მასპინძლობა	მშენებლობა	სოფლის მეურნეობა & მეტყვეობა	ტრანსპორტი	სხვა
მამრობითი	23.2	14.5	4.3	1.4	7.2	29.0	4.3	15.9
მდედრობითი	11.5	18.5	6.5	0.8	8.8	37.3	2.3	14.2
მთლიანად	14.0	17.6	6.1	0.9	8.5	35.6	2.7	14.6

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის დანაკარგთა ინვენტარიზაცია (დეკემბერი 2010 – იანვარი 2011)

3.3.2 შემოსავლის დონე და სიღარიბე

ინფორმაცია ოჯახების შემოსავლის შესახებ მოპოვებულ იქნა შემდეგი მონაცემების შეგროვების საფუძველზე: (i) სხვადასხვა სექტორებიდან მიღებული ხელფასები (კერძო/საჯარო სექტორი, მშენებლობა, ტურიზმი); (ii) სასოფლო სამეურნეო ნაწარმის და ოჯახების მიერ ნაწარმოები სხვა საქონლის გაყიდვა; (iii) არასახელფასო შემოსავალი, როგორცაა ფულადი ჩარიცხვები, პენსიები, სახელმწიფო სოციალური დახმარებები.

ოჯახის მთლიანი შემოსავლის გამოთვლა ეყრდნობა IOL-ის (დანაკარგის ინვენტარიზაცია) შედეგად დადგენილ შემოსავლის წყაროებს. იგი არ ითვალისწინებს პირობით მნიშვნელობებს დამატებითი წარმოებისათვის ან ისეთი წარმოებისათვის, რომელსაც ოჯახი თავადაც მოიხმარს, შესაბამისად აღწერს მხოლოდ ფულად შემოსავალს.

ჯამური თვიური შემოსავალი დაზარალებული ოჯახებისათვის არის 145,713 ლარი, რაც საშუალოდ თითო ოჯახისთვის შეადგენს თვიურ 443 ლარს. მთლიანი საოჯახო შემოსავალი ყველა წყაროდან დაიყო საშემოსავლო ჯგუფებად, დაზარალებული ოჯახების თანაბარი რაოდენობით თითო ჯგუფში (კვარტილში), როგორც ნაჩვენებია ცხრილში 3.3.4.

ცხრილი 3.3.4. – საოჯახო თვიური შემოსავლის კვარტლები

შემოსავლის კვარტილი	ოჯახის თვიური შემოსავალი (ლარი)		
	მინიმუმ	მაქსიმუმი	საშუალო
პირველი	50	180	118
მეორე	184	300	248
მესამე	310	500	419

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

მეოთხე	510	7844	1022
--------	-----	------	------

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის დანაკარგის ინვენტარიზაცია (დეკემბერი 2010 – იანვარი 2011)

პირველი და მეორე კვარტილები მოიცავენ ისეთ ოჯახებს, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა არიან (უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ). მესამე კვარტილი, მართალია სიღარიბის ზღვარს ზემოთ არის, მაგრამ მაინც დაბალ შემოსავლიან ოჯახებს მოიცავს და აღნიშნავს “მარგინალური” ოჯახებს, რომლებიც ყველაზე სოციალურად დაუცველები არიან ეკონომიკური შოკის მიმართ, რამაც შეიძლება ისინი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ გადაანაცვლოს. მეოთხე კვარტილი აღნიშნავს უმაღლეს საშემოსავლო ჯგუფს და შედგება შედარებით უფრო შეძლებული ოჯახებისგან, თუმცა ამ კვარტილში ოჯახების ძალიან ფართო სპექტრია მოქცეული.

ოჯახების გადანაწილება საშემოსავლო ჯგუფებში (ცხრილი 3.3.5.) გვიჩვენებს, რომ ქალების მიერ მართული დაზარალებული ოჯახების 51% და მამაკაცების მიერ მართული დაზარალებული ოჯახების 49% პირველ და მეორე კვარტილში არიან მოქცეული (ორი ყველაზე დაბალი საშემოსავლო ჯგუფი). ოჯახების მეოთხედი მოქცეულია მეოთხე კვარტილში (ყველაზე მაღალი საშემოსავლო ჯგუფი).

ცხრილი 3.3.5. – დაზარალებული ოჯახების გადანაწილება კვარტილებში

ოჯახის უფროსის სქესი & ეროვნება	საშემოსავლო ჯგუფი (%)			
	I	II	III	IV
მამრობითი	34.9	15.9	23.8	25.4
მდედრობითი	22.4	26.9	25.7	24.9
მთლიანი	25.0	24.7	25.3	25.0

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის დანაკარგის ინვენტარიზაცია (დეკემბერი 2010 – იანვარი 2011)

სიღარიბე არის უუნარობა დაიკმაყოფილო ძირითადი მოთხოვნები, როგორცაა: საკმარისი საკვები (2,100 კალორიაზე ნაკლები დღეში ერთ სულ მოსახლეზე), არასაკმარისი ტანსაცმელი და თავშესაფარი, განათლებისა და ჯანდაცვის ხარჯების გაღების უუნარობა და ტრანსპორტის არახელმისაწვდომობა. არსებობს სიღარიბის აღმნიშვნელი ინდიკატორები საოჯახო, სასოფლო და საოლქო დონეზე. სოფლები შეიძლება ითვლებოდეს ღარიბად ღარიბი ოჯახების პროპორციების გათვალისწინებით და იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სასკოლო განათლება, ჯანდაცვა, სუფთა სასმელი წყალი და ტრანსპორტი. ოჯახი ღარიბად ითვლება თუ მისი წლიური შემოსავალი არ შეესაბამება სიღარიბის ზღვარს.

საქართველოში სიღარიბის ზღვარი მინიმალური საარსებო შემოსავლის ექვივალენტურია (ეყრდობა ხარჯებს, რომელიც უნდა გაიღოს ადამიანი რათა

მიიღოს არსებობისთვის საჭირო მინიმალური კალორაჟი 2,100 კილოკალორიის სახით დღეში, აგრეთვე სხვა ძირითადი ხარჯები, გარდა საკვებისა). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრისგან 2011 წლის იანვარში მიღებული უკანასკნელი ინფორმაციით ეს შეადგენს 304 ლარს თითო ოჯახზე (რომელიც შედგება ხუთი სულისგან).

სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება უფრო თანამედროვე, დახვეწილი დაანგარიშების და ქულებით შეფასების შედეგად, რომელშიც შედის წარმოების, მოხმარების, ფულადი შემოსავლებისა და აქტივების შეფასება. ოჯახები, რომელთა რეიტინგიც 57000-ზე ნაკლებია, უკიდურესად ღარიბად ითვლებიან და იღებენ საარსებო შემწეობას, ხოლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები, რომელთა რეიტინგიც 57000-სა და 70000-ს შორის მერყეობს, ითვლებიან ღარიბად და იღებენ სოციალურ სუბსიდიას “პოლისის” სახით. შეფასებებს (რეიტინგის დაანგარიშებას) ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ახდენს მიღებული მონაცემების რეგისტრაციას.

სიღარიბის, როგორც სოციალური უმწეობის სტატუსის დამდგენი კრიტერიუმის განხილვისას, ფულადი შემოსავლების მონაცემების ნაცვლად გამოყენებული იქნა სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული ოფისების მიერ დადასტურებული ოფიციალური მონაცემები, რადგან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების უმეტესი ნაწილი, რომელთა ფულადი შემოსავლები 304 ლარზე ნაკლებია, იღებს საკუთარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე მოყვანილ საკვებ პროდუქციას და ამგვარად აკმაყოფილებს დღეში მინიმუმ 2,100 კილოკალორიის მიღებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რასაც ემატება არასაკვებ პროდუქციაზე გაწეული სხვა ძირითადი ხარჯებიც. მეორეს მხრივ, სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემთხვევაში, დაზარალებული ოჯახები მიიღებენ შესაბამის, ანუ მწვავე ზემოქმედების შემწეობას. სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 25 ოჯახი კლასიფიცირებულია როგორც უკიდურესად ღარიბი და იღებს სოციალურ შემწეობას, ხოლო 14 ოჯახი ითვლება ღარიბად და იღებს შემწეობის პოლისს.

ცხრილი 3.3.6. გვიჩვენებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ღარიბი ოჯახების რაოდენობასა და პროპორციას.

ცხრილი 3.3.6. – ოჯახების სიღარბე სოფლის და რაიონის მიხედვით

მაჩვენებელი		ოჯახების რაოდენობა	ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი
რაიონი	წყალტუბო	11	14.6
	თერჯოლა	28	10.8
სოფელი	ჭოგნარი	12	10.2
	გებუთი + უკანეთი	11	14,6
	კვახჭირი	7	10.7
	სიმონეთი + ნახშირდელე	9	12.0

მთლიანად	39	11.7
----------	----	------

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის დანაკარგთა ინვენტარიზაცია (დეკემბერი 2010 – იანვარი 2011)

მთლიანად დაზარალებული ოჯახების 11.7% სიღარიბეში ცხოვრობს. ცხრილი გვიჩვენებს, რომ სოფლების მიხედვით სიღარიბის დონე შემდეგნაირად ნაწილდება: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების დიდი ნაწილი მოქცეულია გეგუთი/უკანეთში (14,6%), ხოლო რაიონის დონეზე – წყალტუბოში (14,6%). ქალებისა და მამაკაცების მიერ მართული ოჯახების მსგავსი პროპორციები (46%) ხვდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

3.3.3. სოციალურად დაუცველი ოჯახები

სოციალურად დაუცველი ოჯახები ისეთი ოჯახებია, რომლებმაც შეიძლება არაპროპორციულად იზარალონ უძრავი ან მოძრავი ქონების, სხვა სახის ქონების, პროდუქციის წარმოების შესაძლებლობის და შემოსავლის წყაროს დაკარგვის შედეგად, ან დგანან მარგინალიზების რისკის წინაშე განსახლების გამო, უფრო სპეციფიკურად კი შეიძლება ასე დაიყონ:

- ოჯახები, რომლის წევრებიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კლასიფიკაციით უკიდურესად დატაკი ან ღარიბი ოჯახების კატეგორიას განეკუთვნებიან (სარეიტინგო ქულა ნაკლები 70000-ზე)
- შინამეურნეობები, რომლებსაც უძღვებიან მარტოხელა (შრომისუნარიანი მარჩენალის გარეშე დარჩენილი) ქალები
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელსაც არ ჰყავთ შრომისუნარიანი მარჩენალი;
- მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა ოჯახები, რომელთაც არ ჰყავთ ოჯახში შრომისუნარიანი მარჩენალი
- ღტოლვილები ან ადგილობრივად გადაადგილებული პირები.

53 ოჯახი არის მიჩნეული სოციალურად დაუცველად (ყველა დაზარალებული ოჯახის 16,1%), მოცემული განსაზღვრების მიხედვით.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოხვედრილი ოჯახები ზემოთ იქნა განხილული.

სულ იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც მარტოხელა ქალები ხელმძღვანელობენ შეადგენს 10-ს, აქედან 5 სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა და უკვე შესულია სოციალურად დაუცველი ოჯახების სიაში. 5 ოჯახი მესამე კვარტილშია მოქცეული, ჰყავთ დამოკიდებული წევრები და ასევე ითვლებიან სოციალურად დაუცველებად.

2 ოჯახში არიან ოჯახის უფროსები გარკვეული სახის უნარშეზღუდვებით ან ავადმყოფობებით. ამ ოჯახთაგან ორივე სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა და ორივე ოჯახის უფროსი ინვალიდ – ქალია.

19 ოჯახს საპენსიო ასაკის ხანშიშესული უძღვება, აქედან 9 სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. კიდევ 9 ოჯახი მესამე კვარტილშია მოქცეული და დგას სიღარიბის რისკის წინაშე. სოციალურად დაუცველობის კრიტერიუმების მიხედვით, ხანშიშესული ადამიანების მიერ მართული ყველა ოჯახი სოციალურად დაუცველად ითვლება.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახებს შორის არ არის დაფიქსირებული ლტოლვილთა ოჯახები.

ცხრილი 3.3.7 გვიჩვენებს დაზარალებული ოჯახების რიცხვს სოციალურად დაუცველობის თითოეულ კლასიფიკაციაში

ცხრილი 3.3.7. – დაზარალებული ოჯახების სოციალურად დაუცველობა

სოციალურად დაუცველობის კატეგორია	ოჯახების რაოდენობა
უკიდურესად დატაკი ოჯახები (სარეიტინგო ქულა ნაკლებია 57000; დებულობენ საარსებო შემწეობას)	25
ღარიბი ოჯახები (სარეიტინგო ქულით 57000 და 70000 შორის; დებულობენ სოციალურ სუბსიდიას პოლისის სახით)	14
შინამეურნეობები, რომლებსაც უძღვებიან მარტოხელა (შრომისუნარიანი მარჩენალის გარეშე დარჩენილი) ქალები	10 ¹
მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა ოჯახები, რომელთაც არ ჰყავთ ოჯახში შრომისუნარიანი მარჩენალი	19 ²
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელსაც არ ჰყავთ შრომისუნარიანი მარჩენალი;	2 ³
ლტოლვილები (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების გამოკლებით)	0
სულ სოციალურად დაუცველი ოჯახები	53

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის დანაკარგთა ინვენტარიზაცია (დეკემბერი 2010 – იანვარი 2011)

¹ მარტოხელა ქალების ამ 10 ოჯახიდან 5 ღარიბი ოჯახების კატეგორიაში გადის და უკვე დათვლილია, როგორც სოციალურად დაუცველი

² ამ 19 ოჯახიდან 9 განეკუთვნება დატაკთა ან უკიდურესად დატაკთა კატეგორიას და ერთი მარტოხელ ქალების მიერ მართული ოჯახია. ყველა მათგანი უკვე გათვალისწინებულია, როგორც სოციალურად დაუცველი და, შესაბამისად, მხოლოდ 9 ოჯახი დაემატება სოციალურად დაუცველთა ჯამს.

³ ორივე ეს ოჯახი არის დატაკი და ორივეს უძღვება მარტოხელა ქალი. შესაბამისად, ეს ოჯახები უკვე გათვალისწინებულია, როგორც სოციალურად დაუცველი და დაჯამებისას აღარ ემატება.

3.4 გენდერული საკითხები

3.4.1. გენდერული საკითხების მნიშვნელობა

გენდერი მნიშვნელოვან როლს თამაშობს განსახლების პროცესში. ქალების შედარებით დაბალი განათლების დონე, ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, დამატებითი სამუშაო დატვირთვა და შეზღუდული წარმომადგენლობითი წილი საზოგადოებაში შედეგად იწვევს ქალების არაპროპორციულ დაზარალებას, როდესაც განსახლების დაგეგმვა ადეკვატურად არ ითვალისწინებს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ საჭიროებებს. იმისათვის, რომ ადგილობრივი გენდერული ნორმებისა და როლების პრაქტიკული ზეგავლენა დაკმაყოფილებულ იქნას, განსახლების გეგმამ უნდა უზრუნველყოს როგორც მამაკაცების ასევე ქალების ძირითადი საჭიროებები.

მიმდინარე შეფასებები აღნიშნავენ, რომ მთელ რიგ ეკონომიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით (როგორცაა სიღარიბე) ქალების მიერ მართული ოჯახები უფრო უარეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე მამაკაცების მიერ მართული ოჯახები. ამასთან ქალების მიერ მართული ოჯახები რაოდენობრივად აღემატებიან მამაკაცების მიერ მართულ ოჯახებს. ასეთი ოჯახები, როგორც წესი, ხვდებიან ორ ყველაზე დაბალ საშემოსავლო ჯგუფში, ცხოვრობენ პატარა სახლებში, აქვთ შეზღუდული სამუშაო, ნაკლები საშემოსავლო წყაროები და ძირითადად ეყრდნობიან არასახელფასო შემოსავალს. აგრეთვე რაოდენობრივად მარტოხელა ან დაქვრივებული ქალების მიერ მართულ ოჯახთა რაოდენობა აღემატება მარტოხელა ან დაქვრივებული მამაკაცების მიერ მართულ ოჯახთა რიცხვი.

რაც შეეხება სოციალურ მახასიათებლებს, აშკარაა გენდერული უთანასწორობა განათლების მიღების თვალსაზრისით, რადგან მამაკაცების უფრო მეტი რაოდენობა იღებს განათლებას მაღალ საფეხურებზე.

3.4.2 გენდერული საკითხები განსახლების სფეროში

ცხადია, რომ ქალები უფრო სოციალურად დაუცველები არიან მიწის ათვისებისა და განსახლების გადახდის პროცესის მიმართ და მთელი რიგი ფაქტორები ზრდიან მათ სოციალურად დაუცველობას განსახლების დროს. პროექტისათვის დადგენილ იქნა შემდეგი საკითხები, რომლებიც ეხება მიწის ათვისებისა და განსახლების ზემოქმედების ქვეშ მყოფ ოჯახებს პროექტის ზონაში (ცხრილი 3.4.1).

ცხრილი 3.4.1 – გენდერ-სპეციფიკური განსახლების საკითხთა რეზიუმე

დადგენილი გენდერული საკითხები	კავშირი დაზარალებულ ოჯახებთან
მფლობელობისა და საკუთრების უფლებების უკმარისობა ზღუდავს ქალებში კომპენსაციის თანასწორუფლებიან ხელმისაწვდომობას. კომპენსაცია, განსახლება და რეაბილიტაცია ხშირად ეფუძნება მიწისა და საკუთრების	უფლებამოსილების მატრიცა უზრუნველყოფს, რომ ყველა, ვინც მიწასა და რესურსებს კარგავს, უფლებამოსილი იყოს მიიღოს კომპენსაცია განურჩევლად სქესისა და იმის მიუხედავად, ფლობენ თუ არა კანონიერ

<p>კანონიერ მფლობელობას. ქალებს შეიძლება არ გააჩნდეთ კანონიერი უფლება მიწასა და საკუთრებაზე, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სარგებლობდნენ უზუფურუქტული უფლებით ან იყვნენ დამოკიდებული მასზე. შესაბამისად, მათ არ ეკითხნით კომპენსაცია და სხვა სახის სარგებელი.</p>	<p>უფლებას იმ მიწაზე, რომელსაც მოიხმარენ. სოციალურ-ეკონომიკური მონაცემები დახარალებულ ოჯახებსა და პიროვნებებზე დეტალურად იქნა განხილული გენდერის მიხედვით, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო განსხვავებები ქალებისა და მამაკაცების მიერ განძღობილ ოჯახებს შორის, რათა დადგენილიყო სპეციფიკური საზომი განყოფილებები ქალთა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის.</p>
<p>შემოსავლის წყაროების აღდგენა თანაბრად მნიშვნელოვანია ქალებისთვის და მამაკაცებისთვის. ქალები მეტწილად არაფორმალურ სექტორში არიან ჩაბმულნი – NTFP-ების შეგროვება, ველზე, მცირე მაღაზიებში მუშაობა ან პროდუქტების გაყიდვა. ქალთა ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა ოჯახებისათვის. გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს საშემოსავლო წყაროების კარგვა, თუ ეს წყაროები არ არის აღიარებული, მან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ეკონომიკური სიძნელეები ქალებისათვის</p>	<p>ქალების მიერ მართული ოჯახებისათვის სასოფლო მეურნეობის/მეტყვევობის გარდა შემოსავლის პირველადი წყარო ასევე მოიცავს კერძო სექტორსა და ტურიზმს/მასპინძლობას. ზოგი ოჯახი მცირე ბიზნესს და მაღაზიებს აწარმოებს და ვაჭრობა ქალების მიერ მართული ოჯახების პირველადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.</p>
<p>განათლების და წვრთნის დაბალი დონე ქალებში ზღუდავს მათ ალტერნატივებს. რეაბილიტაციის პაკეტი შეიძლება მოიცავდეს საკომპენსაციო შესაძლებლობებს ალტერნატიული საქმიანობების სახით. ალტერნატივების აღმოჩენისა და სხვა საშემოსავლო წყაროების ძიების არჩევანი ქალებისათვის შეზღუდულია მათი დაბალი განათლების, უნარებისა და დაუცველობის გამო. ქალებისათვის დასაქმების და შემოსავლის წყაროების ძიების ალტერნატივების დაგეგმვა არსებითი მნიშვნელობისაა.</p>	<p>კვლევამ და განსახლების აღრიცხვამ ერთად გვიჩვენეს განათლების დაბალი დონე ქალებში (მამაკაცებზე დაბალი).</p>
<p>არანებაყოფლობითმა განსახლებამ შეიძლება გაზარდოს ქალებზე ზეწოლა. როგორც წესი, ქალები არიან პასუხისმგებელი საკვებზე, საწვავსა და ფურაჟზე ოჯახში. ხშირად, საწვავი და ფურაჟი შეიძლება გამოიღოს ისეთ ბუნებრივ რესურსებზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგად, როგორცაა ტყეები, წყალი და მიწა. ამან შეიძლება პირდაპირ ზემოქმედება მოახდინოს ქალებზე, რადგან ისინი არიან პასუხისმგებელი ფურაჟისა და საწვავის მოგროვებაზე. იმ შემთხვევაში თუ ეს საკითხი არ იქნება გათვალისწინებული</p>	<p>სასოფლო სამეურნეო მიწა დაიკარგება მიწის ათვისების პროცესში. კონსულტაციისას წამოიჭრა მიწის ნაკლებობის საკითხი, განსაკუთრებით - კულტივაციისთვის ვარგისი მიწის. აგრეთვე ხაზი გაესვა იმას, რომ შეიძლება გართულდეს ალტერნატიული საკულტივაციო მიწის მოძიება, რადგან ძალიან მცირე ოდენობის “თავისუფალი” მიწა მოიპოვება. გადაადგილებისათვის შერჩეულ საიტებს უნდა ჰქონდეთ კულტივაციის და განგრძობითი წარმოების პოტენციალი. ამასთან, საარსებო წყაროების აღდგენის</p>

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი:
 ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

<p>განსახლების დაგეგმვისა და განხორციელებისას, მან შეიძლება გამოიწვიოს ქალების უმეტესი დროის და რესურსების ხარჯვა ამ ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეზე. ასევე საძოვრების კარვამ შეიძლება გამოიწვიოს საქონლის კარგვაც.</p>	<p>ზომები მიმართული უნდა იყოს დაზარალებული ოჯახებიდან ხალხის გადამზადებაზე. ეკონომიკური რეაბილიტაციის შემოთავაზებული პაკეტი და საშემოსავლო წყაროების აღდგენის ზომები უნდა ითვალისწინებდნენ ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ მოთხოვნილებებსა და განსხვავებულ უნარებს და უზრუნველყოფდნენ შესაბამის შესაძლებლობებს. ეს ხელს შეუწყობს ქალების მიერ მართული ოჯახების შემოსავლების წყაროთა დივერსიფიცირებას/გამრავალფეროვნებას</p>
<p>განსახლებით გამოწვეული სოციალური ზემოქმედება უფრო მეტია ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე. საზოგადოების და სხვა სოციალური ქსელებსი დაშლა, როგორც განსახლების პირდაპირ შედეგი, უფრო მეტად იმოქმედებს ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე, ვინაიდან ქალები ეყრდნობიან და დამოკიდებულნი არიან საზოგადოებაზე და სხვა სოციალურ ქსელებზე ემოციური და პრაქტიკული მხარდაჭერის თვალსაზრისით, როგორცაა მაგალითად ბავშვების მოვლა. განსახლება შეიძლება ტრავმული აღმოჩნდეს, თუ ამგვარი ქსელები დაირღვევა.</p>	<p>განსახლება ან ფიზიკური გადაადგილება არ ხდება პროექტის ამ ეპატზე. ზოგადად, განხილული ოჯახები კმაყოფილდებიან ადეკვატური მხარდაჭერით რათა დამოუკიდებლად მონახონ ალტერნატიული მიწა.</p>

4. ზემოქმედება და დანაკარგები

ქვემოთ განსაზღვრულია ის ზემოქმედება და დანაკარგი, რომელიც გამოვლინდა ზარალის/დანაკარგების ინვენტარიზაციისას და დეტალურად არის მოცემული შექენისა და კომპენსირების სქემაში (დანართი 1). მოცემული აღწერა იყოფა 4 ნაწილად - სოფლების მიხედვით - რომელიც წარმოდგენილია მერვე თავში ფაზირებული შესრულებისთვის.

4.1 მიწის დანაკარგი

4.1.1 მიწის დამკარგავი ოჯახები სახეობების მიხედვით

340 დაზარალებული ოჯახი კარგავს მიწის სამ ტიპს ან კატეგორიას. უმეტესობა დაზარალებული ოჯახებისა (328) განიცდიან სასოფლო – სამეურნეო მიწის დანაკარგს, რომელიც შეადგენს 393 სხვადასხვა მიწის ნაკვეთს და ფართობით უტოლდება 55.5 ჰექტარს (ჰა). შვიდი დაზარალებული ოჯახი კარგავს საცხოვრებელ მიწას, რომელიც შეადგენს 5,084 მ² და 23 დაზარალებული ოჯახი (კომპანიების ჩათვლით) კარგავს 52,162 მ² კომერციულ მიწას. მთლიანობაში აღრიცხულია 423 მიწის ნაკვეთი ფართობით 61.2 ჰექტარი, რომელიც ყვება ქუთაისის შემოსავლელი გზის მშენებლობის ზემოქმედებაში.

ცხრილი 4.1.1 – დაზარალებული ოჯახები, რომლებმაც დაკარგეს მიწები, სახეობების და ფართობების მიხედვით

სოფელი	დაზარალებული ოჯახების რაოდენობა მიწის დანაკარგის ტიპების მიხედვით			მიწის დანაკარგის ფართობი ტიპობრივად			სულ ფართობი (ჰა)
	საცხოვრებელი	კომერციული	სასოფლო-სამეურნეო	საცხოვრებელი (მ ²)	კომერციული (მ ²)	სასოფლო-სამეურნეო (ჰა)	
სიმონეთი ნახშირღელე	2	5	70	2,850	44,233	7.8	12.5
ჭოგნარი			125			12.8	12.8
კვახჭირი		2	64		180	6.6	6.6
გეგუთი უკანეთი	5	16	69	2,234	7,749	28.34	29.34
სულ	7	23	328	5,084	52,162	55.54	61.24

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი)

სოფლების მიხედვით, გეგუთი+უკანეთი განიცდიან ყველაზე მეტ მიწის დანაკარგს (29.3 ჰა მთლიანობაში). სოფელ ჭოგნარში ზემოქმედებას განიცდის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწა.

4.1.2. დანაკარგების სიმწვავე

განსახლების ჩარჩო დოკუმენტი (და მსოფლიო ბანკის კურსი) ადგენს ზღურბლს მნიშვნელოვანი დანაკარგისთვის, რადგანაც დაზარალებული ოჯახები კარგავენ 20% ან მეტს მათი შემოსავლის მომტანი ქონებიდან, ეს მოიცავს პროდუქტიულ მიწას (კომერციული და სასოფლო-სამეურნეო).

როგორც ნაჩვენებია ცხრილში 4.1.2, - 227 (67%) დაზარალებული ოჯახი პროექტის გამო კარგავს მათი სასოფლო-სამეურნეო მიწის 20%-ზე მეტს. ამ ოჯახებიდან 82 კარგავს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნახევარზე მეტს და 20 ოჯახი - მათი სასოფლო-სამეურნეო მიწის მთლიან ნაწილს. თუმცა ჭოგნარი რჩება სოფლად, რომელსაც ყავს დაზარალებული ოჯახების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რომლებიც განიცდიან მნიშვნელოვან ზემოქმედებას, ოჯახების დიდი ნაწილი სოფლებში გეგუთი და უკანეთი (19%) ასევე კარგავს მათ საკუთრებაში არსებული პროდუქტიული მიწის მთლიან ნაწილს.

ცხრილი 4.1.2 – სასოფლო სამეურნეო მიწის დანაკარგის სერიოზულობა

სოფელი	დაზარ.ოჯახ.რაოდ.სასოფლო სამეურნეო მიწის დანაკარგების მიხედვით			
	10%-ზე ნაკლები	> 20%	50% -ზე მეტი	100%
სიმონეთი/ ნახშირღელე	7	57	26	8
ჭოგნარი	18	87	18	1
კვახჭირი	15	38	14	
გეგუთი + უკანეთი	11	45	24	11
სულ	51	227	82	20

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

4.1.3. სადავო მიწის ნაკვეთები

სოფელ ჭოგნარში, (თერჯოლის რაიონი) პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი რამოდენიმე მიწის ნაკვეთი დავის საგანს წარმოადგენდა და 13 დაზარალებულმა ოჯახმა სარჩელიც აღძრა. დავა წარმოიქმნა იმის თაობაზე, რომ საკადასტრო

ინფორმაცია ზუსტად არ დაემთხვა ნაკვეთის საზღვრების კოორდინატებს, რამაც გამოიწვია დაბნეულობა არსებულ ზომებთან და ნაკვეთების კონფიგურაციებთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე, ნაკვეთების მფლობელობა თავდაპირველად ვერ დადგინდა. გარდა ამისა, იმის გამო რომ მიწა დაუმუშავებელია, კვლევების შედეგად შეუძლებელი იყო ნაკვეთების საზღვრების გამოვლენა.

კონსულტანტის განსახლების სპეციალისტებმა და კვლევის სააგენტოებმა განახორციელეს დეტალური აზომვითი აღწერა, მონახულეს დაზარალებული ოჯახების სადავო საკუთრებები და შეხვდნენ სოფლის გამგებელს, რათა მაქსიმალურად მოეპოვებინათ საჭირო ინფორმაცია აღძრული სარჩელის შესახებ. რაიონის გამგებელს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რაიონულ წარმომადგენლობას ასევე ეცნობათ საკითხის შესახებ და მათ მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე განხილვაში.

2011 წლის 1 მარტს ჩატარებულ შეხვედრაზე საწყისი შეთანხმება და დასკვნა იქნა მიღწეული მოდავე მხარეებს შორის და ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიგრანტებს, რომლებიც ჩამოსახლდნენ მთიანი აჭარის სოფლებიდან და იყვნენ მოწინააღმდეგე მხარეებს შორის, გადაეცათ მიწის ნაკვეთები სოფელ ჭოგნარის ეგრეთწოდებულ კოპიტნარის ზონაში, ასეთი მიწის ნაკვეთები გაუნაწილდათ თორმეტ მოდავე მხარეს.

ამ ეტაპზე შეთავაზებულია შესრულების ეტაპობრივი მიდგომა, რათა საკმარისი დრო დაეთმოს სადავო საკითხის მთლიანად და საბოლოოდ გადაწყვეტას, დავების დაკმაყოფილების მექანიზმის მეშვეობით, რომელიც დადგინდა განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მიერ და შესულია მოცემულ განსახლების სამოქმედო გეგმაში (თავი 7).

საკომპენსაციო ჯილდო, საწყის ეტაპზე სადავო მიწის ნაკვეთებისათვის, შენარჩუნდება პირობითად, იმ დრომდე, ვიდრე საკითხი საბოლოოდ და მთლიანად არ გადაწყდება და კომპენსაცია გადაეხდება დავაში გამართლებულ მფლობელებს. სადავო მიწის ნაკვეთები მოცემულია დანაკარგების ინვენტარიზაციაში და შემუშავებულია შეფასებაში, კომპენსაციის გამოთვლისთვის შეჯამებულია მერვე თავში და შესულია დანართში 1, შექმენსა და კომპენსირების სქემა. შექმენსა და კომპენსირების სქემა მოიცავს ფასების დეტალურ ჩაშლას, რომელიც დაკავშირებულია მიწის კონფიგურაციასთან და დაფუძნებულია შეთანხმებაზე, რომელიც დადებულ იქნა 2011 წლის 1 მარტს.

დანართი 2 მოიცავს რუკებს, დოკუმენტაციას, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა დაზარალებული ოჯახების მიერ მათ ხელმოწერილ დასტურთან ერთად, თუ რომელ ნაწილზე აცხადებენ პრეტენზიას მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით. დანართი 2 ასევე მოიცავს საწყის შეთანხმებას, რომელიც აგვარებს საკამათო საკითხს.

4.14 ზემოქმედება ბიზნესზე (შპს “ჭიათურმანგანუმი” და შპს “Tini-7”)

ზოგადად პროექტი შეზღუდულ ზემოქმედებას ახდენს ბიზნესზე, რადგან რამდენიმე საწარმოს მიერ გამოყენებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებზეც პროექტი ზემოქმედებას ახდენს, წარმოადგენენ მხოლოდ უმოქმედო აქტივებს (სარეზერვო მიწებს), რომლებიც არ გამოიყენება კომერციული ან სამრეწველო მიზნებისთვის. ამ ტიპის მიწის დანაკარგები კომპენსირდება როგორც

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

უძრავი ქონების დანაკარგი. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შპს “ჭიათურმანგანუმი” და შპს “Tini-7”.

შპს “ჭიათურმანგანუმი” საკუთრებაში არის მიწის ნაკვეთი თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირდელეში, რომლის საერთო ფართობია 92225,42 კვ. მ. კომპანიას გააჩნია მანგანუმის მადნის და ნედლეული მასალების დასამუშავებელი მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მანგანუმის და სხვა კომერციული დანიშნულების პროდუქციის მისაღებად. საწარმოს ტერიტორიაზე მდებარეობს მანგანუმის ტექნოგენურ საბადოზე – აქ განთავსებულია ნედლეულის დამარხული მარაგები, რომლებიც ადრე გამოუსადეგარ ნარჩენებად ითვლებოდა და ხდებოდა მათი შესავსებ მასალებად, კერძოდ დაჭაობებული ფართობების დასაფარავად გამოყენება. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევიან იმის საშუალებას, რომ ამ ნედლეულიდან მოხდეს მზა სამრეწველო პროდუქციის კომერციულად მიზანშეწონილი ოდენობის მიღება. ნედლეულის ეს მარაგები სახელმწიფოს მიერ განიხილება, როგორც მინერალური რესურსები. შპს “ჭიათურმანგანუმს” მიღებული აქვს შესაბამისი ლიცენზია სოფელ ნახშირდელეში განლაგებული საბადოების დამუშავებაზე და ამ ადგილზე აგებული აქვს კიდევ საჭირო საწარმოო კონსტრუქციები. მაგისტრალის მშენებლობა არ ახდენს გავლენას კომპანიის საწარმოო დანადგარებზე და მოწყობილობებზე, მაგრამ ჭრის ზუსტად საბადოს თავზე არსებულ 11819,33 კვ. მ მიწის ფართობს, რითიც ზღუდავს მისი გამოყენების შესაძლებლობას.

კომპანიისთვის შემუშავდა სპეციალური საკომპენსაციო სქემა – მიწა მიწის და ლიცენზია ლიცენზიის სანაცვლოდ. ლიცენზიის სანაცვლოდ კომპანია მიიღებს ასეთივე ლიცენზიას სხვა ანალოგიური საბადოს დამუშავებაზე, რაც საშუალებას მისცემს დაამუშაოს მანგანუმის ნარჩენების მარაგები სამტრედიაში. კომპანია ასევე მიიღებს იგივე მოცულობის (11819,33 კვ.მ.) მიწის ფართობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებიდან, რომელიც მდებარეობს კომპანიის კუთვნილი მიწის ფართობების ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში.

შპს. “Tini-7”-ს აქვს ინერტული მასალების კარიერი (49923 კვ.მ.) სოფელ გეგუთთან, რომელიც ესაზღვრება პროექტის დერეფანს, კონკრეტულად კი იმ ადგილს, სადაც პროექტით გათვალისწინებულია ხიდის მშენებლობა. დერეფანი კვეთს კარიერის ტერიტორიის მხოლოდ ნაწილს (6323 კვ.მ). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური სტანდარტების თანახმად იკრძალება ინერტული მასალის მოპოვება ტერიტორიაზე, რომელიც 300 მეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული ხიდიდან. კომპანია ამზადებს დოკუმენტაციას, რათა მიიღოს ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია სხვა ადგილას, რომელიც იგივე ფართობზე, მაგრამ პროექტისგან მოშორებით იქნება განლაგებული. განსახლების სამოქმედო გეგმა განიხილავს კომპანიისთვის ლიცენზიის ღირებულების (30,000 ლარის) ოდენობის ფულადი კომპენსაციის გადახდას და კომპანიას სთავაზობს დამატებით უფლებამოსილებას, რომ განაგრძოს არსებული კარიერის დამუშავება გზის ამ მონაკვეთზე მიწის შექენის პროცესის პროცედურების დასრულებამდე.

4.2 ხეების და მარცვლეული კულტურების დანაკარგი

4.2.1 ხეების დანაკარგი

დათვლილია 24 დაზარალებული ოჯახი, რომლებიც დაკარგავენ 135 ნერგს და/ან 159 ასაკოვანი ხეხილის ან კაკლის ხეებს, მთლიანობაში დათვლილია 294 ნერგი და ასაკოვანი ხე, რომელიც ხვდება ზემოქმედების ქვეშ, როგორც ნახვენებია ცხრილში 4.2.2.

ამ მხრივ დანაკარგის უმეტესი ნაწილი მოდის სოფლებზე გეგუთი და უკანეთი, სადაც 239 ძირი ნერგი და ხე საჭიროებს გატანას.

პროექტის ზემოქმედებაში მყოფი ნერგებისა და ხეების ტიპების დეტალური ცხრილი მოცემულია დანართში 3.

ცხრილი 4.2.2 – ინვენტარიზაციის დროს დადგენილი ხეების დანაკარგი

სოფელი	დაზარალებული ოჯახები, რომელთა ნერგები ან ხეები მოხვდა პროექტის ზონაში	ნერგების საერთო რაოდენობა	ასაკოვანი ხეების (ხეხილის) საერთო რაოდენობა	ნერგებისა და ხეების საერთო რაოდენობა
სიმონეთი/ნახშირდელე	1	1	1	2
ჭოგნარი	3	3	0	3
კვახჭირი	9	25	25	50
გეგუთი+უკანეთი	11	106	133	239
სულ	24	135	159	294

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

4.2.2 მარცვლეულის დანაკარგი

170 დაზარალებული ოჯახი დაკარგავს მოსავალს და დანაკარგების ინვენტარიზაციის ჯგუფმა დათვალია 22 ჰექტარი სიმინდის ყანა, რომელიც ხვდება ზემოქმედებაში. (ცხრილი 4.2.1).

ცხრილი 4.2.3 – ინვენტარიზაციის დროს დადგენილი მარცვლეულის დანაკარგები

სოფელი	პროექტით დაზარალებული ოჯახების ყანები	დაზარალებული ყანების ფართობი (ჰა)

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

სიმონეთი/ნახშირდელე	6	0.43
ჭოგნარი	63	6.59
კვახჭირი	56	6.46
გეგუთი+უკანეთი	45	8.53
სულ	170	22.01

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

4.3 შენობა-ნაგებობების დანაკარგი

დანაკარგების აღნუსხვის ჯგუფმა გამოავლინა 49 დაზარალებული ოჯახი, რომლებიც კარგავენ სამოცამდე ნაგებობას ქუთაისის შემოსავლელი გზის მშენებლობის გამო. საცხოვრებელი სახლები არ გამოვლენილა. ზონაში ყველა მხოლოდ კომერციული შენობები ან პატარა ჯიხურები, მაღაზიები და აქედან გამომდინარე, ამ ნაგებობების ზემოქმედება არ გამოიწვევს გავლენას საარსებო წყაროზე ან ოჯახის კეთილდღეობაზე.

ყველაზე მეტი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნაგებობა წარმოადგენს ღობეებს ან გასამიჯნ კედლებს. ასეთი გავლენა ეხება თითოეულ სოფელს. მთლიანობაში, 4,822 მ კედელი ან ღობე მოიშლება. დამხმარე შენობები და პატარა ქოხები/ფარდულები ასევე ყველა ზემოქმედების ზონაში სოფელ კვახჭირში. (ცხრილი 4.3.1).

ცხრილი 4.3.1 – ინვენტარიზაციით დადგენილი შენობა-ნაგებობების დანაკარგი

სოფელი	გავლენაში მყოფი ნაგებობების მფლობელი დაზარალებული ოჯახები	გავლენაში მყოფი ნაგებობების რაოდენობა	დამხმარე შენობა (მ ²)	პატარა ქოხები ან ფარდულები (მ ²)	კედელი ან ღობე (მ)
სიმონეთი/ნახშირდელე	3	8	0	0	310.0
ჭოგნარი	5	5	0	0	548.0
კვახჭირი	9	10	8.5	9.0	251.1
გეგუთი+უკანეთი	32	37	0	0	3713.0
სულ	49	60	8.5	9	4822.1

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის ზარალის ინვენტარიზაცია (2010 წლის დეკემბერი – 2011 წლის იანვარი).

5. სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლები

5.1 საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკა მიწის შეძენის შესახებ

ქვემოთ მოყვანილი საკანონმდებლო აქტები არეგულირებენ საქართველოში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვებას, რაც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების საფუძველზე და გზის საამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე კეთდება:

- საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი;
- საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, 2007 წელი;
- საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ 2009 წ. 4 დეკემბერი
- საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების შესახებ, 2005 წლის 8 ივლისი;
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ, 1996 წლის 22 მარტი;
- საქართველოს კანონი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთების, ქონების საკუთრების უფლების აღიარების შესახებ; 2007 წელი
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (№820 – III; 2008 წლის 19 დეკემბერი)
- აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999 წლის 23 ივლისი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი.

მოქმედი კანონები ითვალისწინებენ, რომ დაკარგული აქტივების, მიწის, ნაგებობების, ხეებისა და ნათესების ჩათვლით, კომპენსაცია უნდა ეფუძნებოდეს არსებულ საბაზრო ღირებულებას, ამორტიზაციის გარეშე. საერთო ჯამში, ზემოხსენებული კანონების/ნორმების მიხედვით ჩანაცვლების ღირებულების კომპენსაცია საბაზრო ღირებულების საფუძველზე რაციონალური და სამართლებრივად მისაღებია.

კანონით ასევე განსაზღვრულია კომპენსაციაზე უფლებამოსილი ზარალის ტიპები და მითითებულია, რომ კომპენსაციის გაცემა ხდება როგორც ფიზიკური აქტივების, ისე შემოსავლის დაკარგვისას. საბოლოოდ, ეს კანონები ძლიერ ამახვილებენ ყურადღებას კონსულტაციაზე და შეტყობინებაზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში. წმინდა დანაკარგის დასაფარად კომპენსირებული იქნება შემოსავლის დაკარგვა მარცვლული კულტურების დანაკარგის გამო და ბიზნესის დახურვა. ზემოთმოყვანილი კანონები და ნორმები საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას საკუთრების უფლების იურიდიული გამოყენების შემდეგი მექანიზმები:

- მშენებლობისათვის მიხენილი განთვისების ზოლის მოპოვება მიწის ჩამორთმევის გარეშე, სათანადო კომპენსაციის გადახდის მეშვეობით (მოლაპარაკებების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) საქმიანობის დაწყებამდე.
- ჩამორთმევა/ექსპროპრიაცია, რომელიც მიწაზე და/ან სხვა უძრავ ქონებაზე პერმანენტული უფლების მოპოვების საშუალებას იძლევა “საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების შესახებ კანონის” ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო კომპენსაციის გადახდის მეშვეობით.

უპირველეს ყოვლისა, ზემოქმედების ქვეშ მყოფ ინდივიდუალურ პირებთან მოლაპარაკებების გზით უნდა განხორციელდეს მცდელობები კერძო მიწების შესასყიდად. მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი საკუთრების ჩამორთმევის წესი და დაიწყოს ექსპროპრიაციის პროცესი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პრეზიდენტი გასცემს ექსპროპრიაციის განკარგულებას შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისი რეგიონული სასამართლო შეაფასებს პრეზიდენტის განკარგულებას, განსაზღვრავს საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევას და მისცემს ექსპროპრიაციის სათანადო ორგანოს მიწის მოპოვების უფლებას. სასამართლო ასევე დანიშნავს მესამე მხარეს დაკარგული აქტივების საბაზრო ფასის დასადგენად და იმის განსაზღვრად, თუ რა კომპენსაცია უნდა გაიცეს შესაბამის მიწის მესაკუთრეებზე იქ მდებარე აქტივების ღირებულების გათვალისწინებით.

საგზაო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ დაზარალებულ პირებთან მოლაპარაკებების პროცესში ღიად იყოს განხილული ასეთ ტრანზაქციებში მონაწილე მხარეების წინაშე მდგარი რისკი, საინფორმაციო და საბაზრო გარიგებების დადების არათანაბარ უფლებებთან დაკავშირებით. მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში, სახელმწიფო გამოიყენებს თავის სუვერენულ უფლებას, რომელიც გულისხმობს ქონების რაიონული სასამართლოების საშუალებით ჩამორთმევას.

RAP-ის დამტკიცებისა და ნებართვების მიღების შემდეგ (რომელშიც განსაზღვრული იქნება კომპენსაციის რაოდენობა და ACS-ზე დაფუძნებული უფლებამოსილებანი), საგზაო დეპარტამენტს მოეთხოვება ACS-ის, როგორც RAP-ის დეტალური პროგრამის განხორციელება RPF-ის საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება და JICA-სა და მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ პოლიტიკასთან.

ACS-ის თანახმად, LAR-ის სამუშაო ჯგუფი, LAR-ის რაიონული დონის გუნდის დახმარებით, აწარმოებს მოლაპარაკებებს თითოეულ დაზარალებულ პირთან კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სადაც სათანადო მნიშვნელობა მიენიჭება თავად დაზარალებულის მოსაზრებას. წარმატებული მოლაპარაკებების შემდეგ დაიდება მიწის შესყიდვის ხელშეკრულებები კანონიერ მიწის მესაკუთრეებთან, ხოლო უფლებამოსილების მინიჭების ხელშეკრულებები – არაფორმალურ მესაკუთრეებთან. დაზარალებული პირების ნებისმიერი სახის

უკმაყოფილება გადაწყდება პრეტენზიების დაკმაყოფილების მექანიზმის მეშვეობით, რომელიც სპეციალურად შეიქმნა პროექტისათვის (უფრო ვრცლად იხილეთ მე-7 თავი).

5.2 JICA-ს მოთხოვნები განსახლებასთან დაკავშირები

დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას JICA ატარებს გარემოსდაცვითი და სოციალური პირობების სკრინინგსა და განხილვებს, რათა დარწმუნდეს, რომ მისი მოთხოვნები სრულად იქნა დაკმაყოფილებული. გზის გაცემის პროცესის პრინციპები და პროცედურები, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა დეტალები მოცემულია შესაბამის გზამკვლევებში (JICA გზამკვლევი გარემოსდაცვითი და სოციალური განხილვისათვის (2010)). JICA ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ ყველა პროექტში, რომელსაც ის აფინანსებს სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, გათვალისწინებული იყოს შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური განხილვა, როგორც ეს გზამკვლევაშია მოცემული.

პროექტის მომხრეები პასუხისმგებელი არიან გარემოსდაცვით და სოციალურ განხილვაზე. გზამკვლევის პრინციპების გათვალისწინებით, JICA ამტკიცებს შესაბამის გარემოსდაცვით უსაფრთხოების ზომებს პროექტში. JICA სკრინინგსა და გარემოსდაცვით მიმოხილვას ატარებს ძირითადად მსესხებლებისა და მათთან დაკავშირებული პირების (ექსპორტის ფინანსირების შემთხვევაში, ექსპორტიორების ჩათვლით) მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გზამკვლევი, რომელსაც JICA იყენებს, ეყრდნობა მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების ზომათა პოლიტიკას და საბანკო პროცედურებს, ისევე როგორც პროექტების მსოფლიო ბანკისეულ კატეგორიზებას.

JICA-ს ინსტრუქცია გვაწვდის შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს, როდესაც პროექტი საჭიროებს მიწის ათვისებასა და განსახლებას:

- არანებაყოფლობითი განსახლება და შემოსავლის საშუალებების კარგვა თავიდან უნდა იქნას აცილებული, სადაც შესაძლებელია, ყველა შესაძლო ალტერნატივის განხილვის გზით. თუ ეს შეუძლებელია, აუცილებელია ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან შეთანხმდეს ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის ეფექტური ზომები და დანაკარგის ანაზღაურების საშუალებები.
- არანებაყოფლობით განსახლების რისკის ან შემოსავლის საშუალებების შეზღუდვის ან კარგვის წინაშე მდგარი პირებს დროულად უნდა გადაეცეთ შესაბამისი კომპენსაცია და დახმარება პროექტის განმახორციელებლების მიერ.
- არანებაყოფლობითი განსახლების გეგმაში დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის ფაზებში გათვალისწინებული უნდა იყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის და მათი მხანაგობის მონაწილეობა, ისევე როგორც

გათვალისწინებული უნდა იქნას მათი შემოსავლის საშუალებების კარგვის წინააღმდეგ მისაღები ზომები; აგრეთვე

- პროექტის განმახორციელებლებმა (და ა.შ.) არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა იმისათვის, რომ დაეხმარონ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებს გაიუმჯობესონ საცხოვრებელი სტანდარტები, შემოსავლის შესაძლებლობები და წარმოების დონეები, ან სულ მცირე აღადგინონ პროექტამდელი მდგომარეობა. ამის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები მოიცავენ: დანაკარგის ასანაზღაურებლად მიწის და ფულადი კომპენსაციის მიწოდებას (მიწისა და საკუთრების დანაკარგების დასაფარად), ალტერნატიული საარსებო საშუალებების ძიებისა და მოპოვების ხელშეწყობას, განსახლებისათვის საჭირო თანხების გაღებას და განსახლების ადგილზე საზოგადოების ხელახალ მოწყობას.

მოცემული პრინციპების ზუსტი გათვალისწინებისათვის JICA საჭიროებს დაემორჩილოს მსოფლიო ბანკის OP 4.12 არანებაყოფლობით განსახლებას (დეტალურად განხილულია ქვემოთ).

5.3 მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების ზომები და არანებაყოფლობითი განსახლება

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მსოფლიო ბანკის სოციალურ და გარემოსდაცვით უსაფრთხოების ზომებთან.⁴

იმ შემთხვევაში თუ პროექტს ახორციელებს კერძო პირი ან ფინანსდება საქართველოს ბიუჯეტით მიწის ათვისება და განსახლების პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მიერ, როგორც ეს ზევით არის აღწერილი. WB OP 4.12 არანებაყოფლობით განსახლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უსაფრთხოების ზომაა, რომელიც ეხება მიწის ათვისებისა და განსახლების/კომპენსაციის საკითხებს პროექტის განხორციელების განმავლობაში.

მასპინძელი ქვეყნის – საქართველოს პრინციპების გათვალისწინების პარალელურად საქართველო თანახმაა დანერგოს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები OP 4.12 მოთხოვნების შესაბამისად.

ყველა პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია განსახლება, საჭიროებს RAP-ს. “განსახლების გეგმის მასშტაბი და დეტალები იცვლება განსახლების სიდიდესა და კომპლექსურობასთან ერთად” (OP 4.12, დანართი 2, პარაგრაფი 2). RAP არის ამომწურავი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მდებარეობის სპეციფიკას და მოიცავს

⁴ მსოფლიო ბანკს აქვს 10+1 უსაფრთხოების ზომა რომელთაგან სამი პირდაპირ უკავშირდება პროექტს; OP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება; OP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება და OP 4.10 – ადგილობრივი/აბორიგენული მოსახლეობა.

წინასწარ კვლევებს (სოციალურ-ეკონომიკურ შეფასებას, სოციოლოგიურ კვლევას, აღწერას, ზეგავლენების შეფასებას და კონსულტაციას ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანებთან), რიგ საკომპენსაციო/შემარბილებელ ღონისძიებებს ზეგავლენის ქვეშ მყოფი თითოეული პიროვნებისათვის/მეურნეობისათვის და ასევე განხორციელების დეტალურ გეგმას პასუხისმგებელი პირებისა და ზუსტი განრიგის აღნიშვნით.

მსოფლიო ბაკის პოლიტიკა არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებით, როგორც ეს განსაზღვრულია OP/BP 4.12-ის მიხედვით, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- არანებაყოფლობითი განსახლება უნდა იქნას თავიდან აცილებული, ან ყოველ შემთხვევაში მინიმუმამდე დაყვანილი;
- საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო დახმარებამ უნდა უზრუნველყოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების პროექტამდელი საცხოვრებელი სტანდარტები;
- ზეგავლენების ქვეშ მოქცეული ადამიანები სრულად ინფორმირებულნი უნდა იყვნენ LAR-ის საკომპენსაციო ალტერნატივების შესახებ და უნდა ხდებოდეს მათთან მუდმივი კონსულტაცია;
- უნდა მოხდეს ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების სოციო-კულტურული ინსტიტუტების შენარჩუნება და მაქსიმალურად გამოყენება;
- კომპენსაცია უნდა განხორციელდეს ქალებისა და მამაკაცების ინტერესების თანაბრად გათვალისწინებით;
- კანონიერი საკუთრების უფლების არქონა არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას კომპენსაციისათვის და/ან რეაბილიტაციისათვის;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ მეურნეობებს, რომლებსაც ქალები უძღვებიან და აგრეთვე სხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებს, როგორცაა აბორიგენული მოსახლეობა. შესაბამისი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ამგვარ ადამიანებს მათი სტატუსის გასაუმჯობესებლად;
- LAR საქმიანობა უნდა განხორციელდეს პროექტის ფარგლებში და კომპენსაციის ხარჯები სრულად უნდა იქნას მოქცეული პროექტის ხარჯებსა და მოგებაში; აგრეთვე
- კომპენსაცია და განსახლების სუბსიდიები მთლიანად უნდა მიეწოდოს მოსახლეობას გასხვისების დერეფნის გასუფთავებამდე/მიწის მოსწორების და დეკონსტრუქციის სამუშაოების დაწყებამდე.

5.4 LAR-ის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შედარება JICA/მსოფლიო ბაკის განსახლების პოლიტიკასთან

როგორც წესი LAR-ის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოდის მსოფლიო ბაკის OP 4.12-ის დებულებებთან, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს JBIC-მა. თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით აქცენტი

კეთდება საკუთრების ფორმალური უფლებების განსაზღვრაზე, იმაზე თუ როგორ უნდა განხორციელდეს საკუთრების ათვისება საჯარო ინტერესებისათვის და მოხდეს ჩამორთმეული აქტივების კომპენსაცია. მსოფლიო ბანკი კი ყურადღებას ამახვილებს საკუთრებაში და/ან მოხმარებაში მყოფი აქტივების კომპენსაციაზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისა და ოჯახების შემოსავლის საშუალებების რეაბილიტაცია-აღდგენაზე, მინიმუმ პროექტამდე არსებულ დონეზე.

მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკა მიმართულია შემოსავლებისა და საცხოვრებელი სახდარტების გაუმჯობესებისკენ (ან ყოველ შემთხვევაში პირვანდელი სახით აღდგენისკენ). ამ მოთხოვნის თანახმად ნებისმიერი LAR უნდა მოიცავდეს შემოსავლის წყაროების აღდგენას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ადამიანს აღარ შეუძლია დაუბრუნდეს პირვანდელ საქმიანობას განსახლების შემდეგ – მის გადამზადებას. აქცენტი შემოსავლებსა და საცხოვრობელ სტანდარტებზე, განსხვავებით აქცენტისგან ჩამორთმეულ საკუთრებაზე, აფართოებს უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების რაოდენობასა და ტიპებს. უარყოფითი ზეგავლენის ამ უფრო ფართო აღქმის აღიარება შესაბამისად ზრდის განსახლებისას გასათვალისწინებელი საკითხების ნუსხას და მოითხოვს პასუხისმგებლობის ზუსტ განსაზღვრას, რისკის მენეჯმენტს და LAR-თან დაკავშირებული საქმიანობების გულდასმით დაგეგმვას.

საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს დაგეგმვის ან განხორციელების რაიმე სპეციფიკურ ინსტრუმენტებს, როგორცაა RPF (განსახლების პოლიტიკის ჩარჩო) ან RAP, მაშინ როდესაც მსოფლიო ბანკის პოლიტიკა მოითხოვს შესაბამისი დაგეგმვისა და განხორციელების ინსტრუმენტების მომზადებას პროექტის ექსპერტიზის დაწყებამდე. ეს ინსტრუმენტები უნდა ეფუძნებოდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებთან და სხვა მონაწილე პირებთან კონსულტაციებს.

განსხვავებები საქართველოს კანონმდებლობასა და JBIC/მსოფლიო ბანკის პოლიტიკას შორის განხილულია ცხრილში 5.4.1.

ცხრილი 5.4.1 – LAR-ის შესახებ საქართველოს კანონებისა და JBIC/მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შედარება

საქართველოს კანონები და ნორმები	JBIC/მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა
მიწის კომპენსაცია მხოლოდ კანონიერი მიწათმფლობელებისათვის	კანონიერი უფლების არქონა არ უნდა წარმოადგენდეს სრულ შეზღუდვას კომპენსაციის/რეაბილიტაციის მიღებისათვის. მიწის არაკანონიერი მომხმარებლებიც იღებენ გარკვეული სახის რეაბილიტაციას
მოხდება მხოლოდ რეგისტრირებული/დაკანონებული სახლების/შენობების რეაბილიტაცია	პროექტით გამოწვეული ზიანი/ნგრევა იქნება კომპენსირებული ყველა სახლისათვის/შენობისათვის, რომელიც

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

	ზემოქმედების ქვეშ ხვდება
მოსავლის კარგვის კომპენსაცია აღმოუჩნდებათ მხოლოდ მიწის კანონიერ მესაკუთრეებს	მოსავლის კარგვის კომპენსაცია მხდება როგორც მოსავლის მფლობელისათვის, ისე მოსავალზე მომუშავე დაქირავებული პირისათვის კანონიერი უფლების ქონის განურჩევლად
მიწის შეფასება ემყარება ჩანაცვლების ხარჯებს: (ი) მიმდინარე საბაზრო ფასს, სადაც არსებობს აქტიური მიწის ბაზარი; (იი) იდენტური ადგილის რეპროდუქციული ხარჯები, სადაც ამგვარი ბაზარი არ არსებობს	მიწის ფასი ეფუძნება ჩანაცვლების ხარჯებს მიმდინარე საბაზრო ფასის მიხედვით
როგორც წესი, უკმაყოფილო დაზარალებულმა ადამიანმა საჩივრით უნდა მიმართოს სასამართლოს. მიწის შესყიდვის კომიტეტი (საკუთრების აღიარების კომიტეტი) არის ერთადერთი წინა-სასამართლო უმაღლესი ინსტანცია, უფლებამოსილი გაარჩიოს დავა და განიხილოს საჩივარი დაკარგული აქტივების კომპენსაციის რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით	უნდა შემუშავდეს უკმაყოფილების გამოსწორების ადეკვატური მექანიზმი, რომელიც შედგება როგორც ფორმალური ისე არაფორმალური გარჩევის ადგილებისგან და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაზარალებული პირისათვის
არ არსებობს ფორმალური მოთხოვნები ჩატარდეს საჯარო კონსულტაციები იმისათვის, რომ მოხდეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების ინფორმირება განსახლების საკითხებზე (პროექტის ზემოქმედების ბუნებისა და მოსალოდნელი მასშტაბების შესახებ)	ინფორმაცია კვანტიფიკაციის შესახებ, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების ფასი, უფლებები და კომენსაცია/ფინანსური დახმარების ოდენობა წინასწარ უნდა გაეცნოს მოსახლეობას
არ არსებობს რეგულაციები შემოსავლის საშუალებების რეაბილიტაციისათვის, დახმარება სოციალურად დაუცველი დაზარალებული პირებისთვის, ან განსახლების ხარჯების დაფარვის შესახებ	შემოსავლის კარგვა, ფულადი დახმარების შეფერხება და დაზარალებული ადამიანების განსახლებასთან დაკავშირებულ ხარჯები უნდა იქნას კომპენსირებული
არ განიხილავს განსახლების დაგეგმვის პროცესს, მათ შორის არც დ-თან დაკავშირებულ რაიმე გეგმის მომზადებას. საჭიროებს მხოლოდ ჩშ-ის (შესყიდვისა და კომენსაციის სქემა) მომზადებას	დრში გაწერილი დ უნდა მომზადდეს კომპენსაციების გაცემამდე

5.5 პროექტის განხორციელებისათვის მიღებული პრინციპები

იმისათვის, რომ საქართველოს კანონებს/ნორმებს და JBIC/მსოფლიო ბანკის პოლიტიკას შორის განსხვავებები დაიძლიოს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეიმუშავა რიგი პრინციპების და პოლიტიკა პროექტისათვის, რომელიც განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) სახით იქნა დამტკიცებული. ეს პრინციპები უზრუნველყოფენ სრულ კომპენსაციას, შემოსავლის საშუალებების რეაბილიტაციას და/ან აღდგენას, დახმარებას მიწის თვითნებურად დამკავებლებისათვის და დახმარებას სუბსიდების სახით ისეთი დაზარალებული პირებისთვის, რომლებსაც მოუწვეთ ფიზიკური განსახლება, ბიზნესის კარგვა, ან რომლებზეც ზემოქმედება მოახდენს განსაკუთრებულად მწვავე ეფექტს.

ზემოთხსენებული განსხვავებების გათვალისწინებით JBIC-ის მიერ დაფინანსებული ნებისმიერი ინტერვენცია შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქართველოს კანონმდებლობასთან დამატებით რეგულიაციებთან ერთად, რათა ეთახნმებოდეს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებულ მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს: (i) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ადამიანის რეაბილიტაცია (მათ შორის ისეთი პირებისაც, რომლებსაც არ აქვთ კანონიერი მესაკუთრის სტატუსი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ აქტივებზე); (ii) კომპენსაციის გარანტია ბიზნესის და შემოსავლის კარგვის შემთხვევაში; (iii) სპეციალური დახმარების აღმოჩენა, რომელიც დაფარავს განსახლების პროცესის დროს საჭირო ხარჯებს, ისევე როგორც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის განსაკუთრებულ საჭიროებებს. განსახლების პოლიტიკის უპირველესი მიზანია ზეგავლენის/დანაკარგის მინიმიზაცია და დაზარალებული ადამიანების დახმარება, რათა მათ აღადგინონ შემოსავლის საშუალებები სულ მცირე პროექტამდელ დონემდე მაინც.

ამ მიზნით შეიმუშავდა RPF (განსახლების პოლიტიკის ჩარჩო), რათა გათვალისწინებული ყოფილიყო (ა) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ადამიანი საკუთრების უფლების განურჩევლად; (ბ) კომპენსაცია ქონებისა და/ან შემოსავლის საშუალებების დანაკარგების ასანაზღაურებლად; (გ) შემოსავლის წყაროების აღდგენა და განვითარება. ოჯახები/ადამიანები, რომლებიც პროექტის ფარგლებში დაექვემდებარნენ განსახლებას მიიღებენ ფულად კომპენსაციას მიწისა და სხვა ქონებისათვის იმ დროისათვის ჩანაცვლების საბაზრო ღირებულების მიხედვით. მიღებული იქნება დამატებითი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნას მინიმალური შეწუხება პროექტის მშენებლობის პერიოდში. ამრიგად, ოჯახები, რომლებიც დაექვემდებარებიან ფიზიკურ განსახლებას და/ან მოხვებიან ეკონომიკური ზემოქმედების ქვეშ, მიიღებენ კომპენსაციას, დახმარებას განსახლებისათვის და ფულად ანაზღაურებას შემდეგი ნორმების მიხედვით, რომლებიც ასევე წარმოადგენენ პროექტის RPF-ის ნაწილს.

შესაბამისად, პროექტის განხორციელების პერიოდში საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

- სადაც შესაძლებელია, შეირჩევა გზის განახლების და მშენებლობის ისეთი ალტერნატივები, რომლებიც გვერდს უვლიან დასახლებულ ადგილებს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ფიზიკური განსახლება და კერძო ან საჯარო საკუთრების შესყიდვა.
- მინიმუმამდე იქნება დაყვანილი აქტივების დაზიანება, როგრიცაა მოსავალი, ხეები, ღობეები და კიოსკები და ასევე შემოსავლის კარგვა, მათ შორის მოსავლის განადგურება. ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენა იქნება კომპენსირებული RPF-ის დებულებების თანახმად;
- მაგისტრალის თითოეული ისეთი სექციის ადდგენა/მშენებლობისათვის, რომელიც კერძო მიწის შესყიდვას, ოჯახების ან კომერციული ობიექტების ფიზიკურ გადაადგილებას, მუდმივი შემოსავლის კარგვას ან სხვა ნეგატიურ ზეგავლენას იწვევს, შემუშავდება RAP/ RPF-ში გაწერილი პროცედურებისა და დებულებების შესაბამისად (ეს უკანასკნელი კი უშეტესწილად ეფუძნება მსოფლიო ბანკის OP4.12-ს, JBIC სახელმძღვანელო მითითებებს და საქართველოს კანონმდებლობას).
- განსახლების გამომწვევი სამშენებლო სამუშაოები არ დაიწყება მაგისტრალის არც ერთ ნაწილზე სანამ არ დასრულდება RAP და არ დამტკიცდება JBIC-ის მიერ, შესაბამის ქართულ უწყებებთან შეთანხმებით;
- შემუშავდება სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურები, იმისათვის რომ განისაზღვროს კომპენსაცია (i) მშენებლობის დროს მიწის/აქტივების დროებითი კარგვისათვის; (ii) მიწისა და აქტივების სამუდამო შესყიდვისათვის და (iii) მიწის გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვებისათვის, რაც შეიძლება ეხებოდეს კორიდორის მიმდებარე ტერიტორიებს;
- ყველა დაზარალებული პირი, საკუთრებაზე კანონიერი უფლების ქონის განურჩევლად, მიიღებს სხვადასხვა სახის დახმარებას, იმისათვის რომ შენარჩუნებულ იქნას პროექტამდელი შემოსავლის საშუალებები და საცხოვრებელი სტანდარტები;
- ისინი, ვინც მიწას არაღებულად მოიხმარენ, არ მიიღებენ კომპენსაციას მიწის კარგვისათვის, სამაგიეროდ მათ აუნაზღაურდებათ ნებისმიერი სხვა სახის ქონების კარგვა, რომელიც მათ მფლობელობაშია ამავე მიწაზე. აგრეთვე აუნაზღაურდებათ შემოსავლის კარგვა და მათ გაეწევათ დახმარება იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ან გააუმჯობესონ საცხოვრებელი სტანდარტები;
- ჩატარდება საბაზრო კვლევა, რათა შეფასდეს მიწის, სამშენებლო მასალის, მოსავლისა და სხვა შესაბამისი ობიექტების არსებული საბაზრო ფასები, რომლებიც გამოიყენება ობიექტების ღირებულების მანვენებლებად საკომპენსაციო ფასის განსაზღვრისას. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ დაზარალებულმა ადამიანებმა მიღებული კომპენსაციით შეძლონ სანაცვლო მიწის შეძენა;
- დაზარალებულ პირებს მიეცემათ საკმარისი კომპენსაცია დაკარგული ქონების სრული ჩანაცვლების ფასის გათვალისწინებით. შემოსავლის და აქტივების

კარგვის ანაზღაურდება მოხდება ყოველგვარი გადასახადის, ამორტიზაციის და სხვა სახის შემცირებების დაქვითვის გარეშე.

- ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადამიანებს მიეწოდებათ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ. ასევე მოხდება მათთან კონსულტაციები, მათთან შეთანხმდება განსახლების ტექნიკურად და ეკონომიკურად ხელსაყრელი ალტერნატივები.
- როცა შესაძლებელი იქნება, საავტომობილო გზების დეპარტამენტი გააკონტროლებს, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ დაზარებული ადამიანები საცხოვრებელი სახლებით, ან საცხოვრებელი ადგილებით, ან საჭიროების შემთხვევაში, სასოფლო სამეურნეო ტერიტორიებით ფულადი კომპენსაციის ალტერნატივის სახით. ამგვარ შემთხვევაში მიწის ნაყოფიერების, ხელსაყრელი ადგილმდებარეობისა და სხვა ფაქტორების კომბინაცია, სულ მცირე, ექვივალენტური უნდა იყოს ძველი ტერიტორიის მახასიათებლებისა;
- განსახლებისას დაზარალებულ პირებს აღმოუჩენენ დახმარებას, იმ შემთხვევაში თუ განსახლება გარდაუვალია;
- მიწა (ან მიწის მოხმარების უფლება) მოპოვებულ იქნება მოლაპარაკებების შედეგად და კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის უფლება გამოყენებულ იქნება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსახლეობის ყველაზე სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებებს – ბავშვები, ქალები, კულტურული ან ეთნიკური უმცირესობები, ხანდაზმულები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფნი, უნარშეზღუდულები და ლტოლვილები.
- შემუშავდება სამართლიანი და ხელმისაწვდომი მექანიზმი დავების გარჩევისათვის;
- საკომპენსაციო ღონისძიებები და RAP-ის დანრგვა დასრუდება საამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

5.6 კომპენსაციის მიღების და სხვა უფლებამოსილების მოპოვების უფლება

5.6.1 უფლებამოსილება

პროექტით კომპენსაცია და/ან სარეაბილიტაციო დახმარება ეკუთვნით:

- ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ყველა ადამიანს ვინც დაკარგავს მიწას, ამ მიწაზე საკუთრების კანონიერი უფლების ან დაკანონების იურიდიული საფუძვლის ქონის მიუხედავად
- არენდატორებს და მოიჯარე-მეწილეებს რეგისტრაციის განურჩევლად;
- შენობების, მოსავლის, ხეების და მიწაზე განთავსებული სხვა ობიექტების მფლობელებს;

- ყველა დაზარალებულ ადამიანს, რომელიც პროექტის განხორციელების შედეგად დაკარგავს ბიზნესს, შემოსავალს და ხელფასს

RPF-ს მიხედვით კომპენსაციაზე უფლებამოსილება შეზღუდულ იქნება ზღვრული თარიღით (ათვლის თარიღი), რომელიც განისაზღვრება მაგისტრალის თითოეული სექციისათვის, როგორც ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღწერის დასრულების ვადა.

დაზარალებული პირები, რომლებიც დაიკავებენ მიწას ან განათავსებენ მასზე ქონებას ათვლის თარიღის შემდეგ, არ მიიღებენ კომპენსაციის უფლებას. თუმცა ისინი მიიღებენ წინასწარ გაფრთხილებას რათა დაცალონ მათ მიერ ათვლის თარიღის შემდეგ განთავსებული შენობები და დაშალონ კონსტრუქციები პროექტის განხორციელების დაწყებამდე. დაშლილი შენობების მასალების კონფისკაცია არ მოხდება და მათ არ მოეთხოვებათ არავითარი ჯარიმის გადახდა და არ დაენიშნებათ სანქციები.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, კომპენსაციაზე უფლებამოსილება განისაზღვრება შემდეგი ათვლის თარიღით: კომპენსაციაზე უფლებასილნი არიან პირები და ოჯახები, რომლებიც 2010 წლის დეკემბერიდან 2011 წლის იანვრამდე გასხვისების კორიდორის ტერიტორიაზე ჩატარებული აღწერის და დანაკარგის ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლენილ იყვნენ, როგორც პროექტის ზემოქმედების არეში არსებული მიწის ნაკვეთის და სხვა ქონების მესაკუთრენი ან მოსარგებლეები. ნებისმიერი ასეთი ოჯახი ან ადამიანი პროექტის გასხვისების კორიდორში 2011 წლის 31 იანვრისათვის გამოვლენილი, როგორც მიწის მოსარგებლე, უფლებამოსილი იქნება მიიღოს კომპენსაცია და პროექტის დახმარება.

5.6.2 ძირითადი უფლებები

მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების შემდეგი კატეგორიები მიიღებენ კომპენსაციას და/ან დახმარებას:

- მიწის კერძო მესაკუთრეები (მიწაზე კანონიერი უფლებით), რომელთა მიწის შესყიდვა ან ექსპროპრიაცია მოხდება ქვეპროექტების განხორციელების მიზნით, მათ შორის მუშების საცხოვრებელი ბანაკების მშენებლობისთვის ან რეაბილიტაციისათვის;
- კერძო მესაკუთრეები, რომელთა არასაცხოვრებელი დანიშნულების ქონება, როგორცაა კიოსკები, რესტორნები, მაღაზიები, თავლები, სახელოსნოები, ღობეები, ბელლები, საწყობები, ხეები, სხვა ფასეული უძრავი ქონება და მოსავალი, პროექტი განხორციელებასთან დაკავშირებით განადგურებას ექვემდებარება;
- არენდატორები (ფიზიკური ან იურიდიული პირები), რომლებსაც დადებული აქვთ საარენდო ხელშეკრულება მუნიციპალიტეტებთან ან სხვა

მესაკუთრეებთან გზის საპროექტო დერეფნისთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მოხმარებაზე;

- მიწის თვითნებურად მოსარგებლეები საპროექტო გზის გასხვისების კორიდორის ფარგლებში.

5.6.3 ზემოქმედებისა და დანაკარგების კომპენსაციაზე უფლებამოსილება

მიწის კანონიერი მესაკუთრე, ისევე როგორც მოსარგებლე, რომელსაც აქვს იურიდიული საფუძველი მიწაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად (ლეგალიზებადი მესაკუთრე), მიიღებს კომპენსაციას იმ მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ, რომლებიც გათვალისწინებულია პროექტით მუდმივი ნაგებობებისათვის. დაზარალებული პირები (მიწის მფლობელები, არაკანონიერი მოსარგებლეები და მეიჯარეები) ასევე მიიღებენ კომპენსაციას შენობა-ნაგებობების, მოსავლის, ხეების და სხვა ეკონომიკური აქტივების დაზიანების ან დაკარგვისათვის. ფიზიკური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში და როდესაც ეს მისაღებია საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის, მუნიციპალიტეტებისა და დაზარალებული პირებისათვის, შესაძლებელია დაკარგული მიწის ჩანაცვლება მსგავსი მიწის ნაკვეთით.

სამშენებლო სამუშაოების დროებითი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები მიიღებენ კომპენსაციას ნებისმერი დაკარგული შემოსავლისათვის, აქტივისა და ზიანისათვის.

ძირითადი უფლებები მოიცავენ:

- კანონიერი მესაკუთრეებისათვის მოხდება სასოფლო სამეურნეო მიწების კომპენსაცია ჩანაცვლების მთლიანი ღირებულებით. როდესაც ხდება დაზარალებული შინამეურნეობის მიერ გამოყენებული სასოფლო სამეურნეო მიწის სრული ფართის 20%-ზე მეტის შესყიდვა, დაზარალებული პირები (მესაკუთრეები, მეიჯარეები და დამქირავებლები) მიიღებენ დამატებით ანაზღაურებას მწვავე ზემოქმედებისათვის, რაც უტოლდება პროექტის შედეგად დაკარგული მიწაზე მოწეული წლიური მოსავლის საბაზრო ფასს. იმ შემთხვევაში თუ მწვავე ზემოქმედება (შემოსავლის 20%-ზე მეტის კარგვა) სხვა სახის შემოსავლის წყაროზე ვრცელდება, დაზარალებულ პირს გადაეცემა დამატებითი კომპენსაცია სამი თვის შემოსავლის ოდენობით. დაზარალებულ პირებს, რომლებსაც აქვთ მიწის დაკანონების იურიდიული საფუძველი (ლეგალიზებადი მესაკუთრეები), დაუკანონდებათ ეს უკანასკნელი და კომპენსაციასაც კანონიერი მესაკუთრეების სახით მიიღებენ.
- დაზარალებული პირები, რომლებსაც არა აქვთ მიწის დაკანონებისათვის იურიდიული საფუძველი, არ მიიღებენ კომპენსაციას სასოფლო-სამეურნეო მიწისათვის. შესაძლებლობის შემთხვევაში მათ მიეცემათ მიწის არენდაში აღების საშუალება.
- არასასოფლო სამეურნეო მიწა (საკარმიდამო/კომერციული მიწა). კანონიერი და ლეგალიზებადი მოსახლეები მიიღებენ სრულ კომპენსაციას მიწის

ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით ყოველგვარი დისკონტირებისა და ამორტიზაციის გარეშე. დაზარალებული პირები, რომლებსაც არა აქვთ მიწის დაკანონებისათვის იურიდიული საფუძველი, არ მიიღებენ კომპენსაციას სასოფლო-სამეურნეო მიწისათვის. შესაძლებლობის შემთხვევაში მათ მიეცემათ მიწის არენდაში აღების საშუალება.

- დაზარალებული პიროვნების მიწაზე კანონიერი უფლების განურჩევლად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სახლები, შენობები და კონსტრუქციები იქნება კომპენსირებული ფულადი სახით ჩანაცვლების ღირებულების ოდენობით გაუფასურებისა და ამორტიზაციის გაუთვალისწინებლად. ნაწილობრივი ზემოქმედების შემთხვევაში, თუ მფლობელს არ აქვს განსახლების სურვილი, კომპენსაცია დაფარავს მხოლოდ ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი შენობის ნაწილის რეაბილიტაციის ხარჯებს პირვანდელ მდგომარეობამდე. მთლიანი კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაში თუ ზეგავალენა გამოყენებისათვის უვარგისად ხდის შენობას.
- შენობა-ნაგებობების დანგრევის შემდგომ დარჩენილი მასალები ითვლება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების საკუთრებად. დაზარალებული ოჯახები პასუხისმგებელი არიან გაიტანონ დარჩენილი მასალები მშენებლობის დაწყებამდე.
- მოსავალი: ბოლო წლების გამავლობაში სასოფლო-სამეურნეო მიზნით რეგულარულად გამოყენებული მიწის პროექტის მიერ დაკავების შემთხვევაში, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე გადახდილ იქნება ფულადი კომპენსაცია მოსავლის მიმდინარე საბაზრო ფასის წლიური მთლიანი ღირებულების ოდენობით. არენდის შემთხვევაში, მოსავლის კომპენსაციის განაწილება მიწის მფლობელსა და არენდატორს შორის მოხდება მათი სპეციფიკური ხელშეკრულების საფუძველზე.
- ხეები: ფულადი კომპენსაცია საბაზრო ღირებულებით ხეების სახეობის, ასაკის და ნაყოფიერების გათვალისწინებით.
- ბიზნესები: თუ ხდება ბიზნესის სამუდამო კარგვა, ფულადი კომპენსაცია გაიცემა საგადასახადო დეკლარაციის მიხედვით წლიური შემოსავლის ოდენობით ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მინიმალური წლიური ხელფასის საფუძველზე. ბიზნესის დროებითი დანაკარგი ანაზღაურდება ფულადი სახით ბიზნესის შეჩერების პერიოდში შემოსავალზე საგადასახადო დეკლარაციის მონაცემების საფუძველზე, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მინიმალური ხელფასის საფუძველზე ბიზნესის შეწყვეტის ვადის შესაბამისად.
- სასოფლო სამეურნეო მიწის არენდატორები: თუ ზეგავალენის ქვეშ სასოფლო სამეურნეო მიწის არენდატორები ექცევიან, მათი კომპენსაცია შეადგენს ერთი წლის ფულად შემოსავალს არენდაში აღებული მიწიდან შესაბამისი დამამტკიცებელი დოკუმენტაციის (საგადასახადო დეკლარაცია) საფუძველზე, ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, წლიური მინიმალური ხელფასის ოდენობით

- ხელფასების/დასაქმების კარგვა: იმ შემთხვევაში თუ დაქირავებული მუშაკები დაკარგავენ ხელფასს პროექტის გამო, ისინი მიიღებენ კომპენსაციას სამი თვის ხელფასის ოდენობით.
- გადაადგილება: დაზარალებული პირები, რომლებიც იძულებული არიან დაექვემდებარონ განსახლებას მიიღებენ განსახლების სუბსიდიას, რათა დაფარონ ტრანსპორტირების საფასური და სამი თვის საცხოვრებელი ხარჯები.
- ერთობლივ (თემის) მფლობელობაში არსებული ქონება და კომუნალური ნაგებობები: პროექტის ფარგლებში მოხდება მათი მთლიანად აღდგენა ან რეაბილიტაცია, ისე რომ შეესაბამებოდეს მათ პროექტამდელ ფუნქციებს.
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობა: სოციალურად დაუცველი დაზარალებული პირები (როგორც ეს ზემოთ იქნა განმარტებული) მიიღებენ ფულად შემწეობას, რაც შეადგენს სამი თვის მინიმალურ ხელფასს.

5.6.4 მხარდაჭერა, დახმარება და ფულადი შემწეობები

გათვალისწინებულია შემდეგი სახის დახმარება, სარეაბილიტაციო ზომები და ფულადი შემწეობები:

- ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ განსახლებას მიიღებენ ფულად შემწეობას ტრანსპორტირებასათვის 200 ლარის ოდენობით თითო ოჯახზე (სატრანსპორტო საშუალების დასაქირავებლად საოჯახო ნივთების გადაზიდვისათვის) და შემოსავლის წყაროების აღდგენის ფულად შემწეობას სამი თვის განმავლობაში, ახალ ადგილზე დამკვიდრებაში დახმარების სახით. ეს თანხმა შეადგენს 3 მინიმალურ ხელფასს, რაც ჯამში იქნება 1.112 ლარი თითო ოჯახზე.
- მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები, ანუ ისეთი ოჯახები, რომლებიც დაკარგავენ შემოსავლის მომტანი აქტივების 20%-ზე მეტს, მიიღებენ (i) დამატებით კომპენსაციას ერთი წლის მოსავლისათვის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მიწაზე; ან (ii) შემთხვევისათვის, როდესაც მოსავალით შეფასება არარელევანტურია, სამი თვის მინიმალური ხელფასის ექვივალენტურ თანხას შემწეობის სახით⁵;
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ანუ ოჯახები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მარჩენალის არ მყოფი უნარშეზღუდული ან ხანდაზმული (საპენსიო ასაკის) ადამიანების მიერ მართული ოჯახები, ქალების მიერ მართული ოჯახები და არანებაყოფლობით გადაადგილებული პირები ან ლტოვილები მიიღებენ ფულად შემწეობას სამი

⁵ როგორც მესამე თავში განვმარტეთ, საქართველოში მინიმალური ხელფასის არარსებობის პირობებში, ეს შემწეობა ეფუძნება ბოლო დროინდელ დახმარების ღონისძიებებს, რომლებიც დართულია დამტკიცებულ პროექტებში და ეყრდნობიან მინიმალურ საარსებო შემოსავალს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2011 წლის აინვარს მიღებული უკანასკნელი ინფორმაციის საფუძველზე ეს თანხმა შეადგენს 304 ლარს ოჯახში (სუთი სული), რაც უტოლდება 3 თვის 912 ლარს.

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი:
ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

თვის მინიმალური ხელფასის ოდენობით (როგორც ეს ზევით იქნა
აღნიშნული).
უფლებამოსილების მატრიცა მოცემულია ცხრილში 5.6.1.

ცხრილი 5.6.1 – პროექტის უფლებამოსილების მატრიცა

ზემოქმედების ან დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	დაზარალებული პირების კატეგორია	უფლებამოსილება	შესრულება/ კომენტარები
მიწის დაკარგვა	ოჯახები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო/საძოვრების მიწიდან მათი საერთო საკუთრების 20%-ზე ნაკლებს	უფლებამოსილი მფლობელები (სრულყოფილად დარეგისტრირებულები და/ან არარეგისტრირებულები მაგრამ კანონიერად ფლობენ მიწის ნაკვეთებს ან გააჩნიათ ლეგალიზაცია)	(i) ფულადი ანაზღაურება კომპენსაციის მიზნით, შეცვლის ღირებულებით; ან (ii) თუ არსებობს რეალური შესაძლებლობა, და დაზარალებული ოჯახის სურვილი, დასაშვებია ჩანაცვლება მსგავსი პროდუქტიულობის და მახასიათებლების მიწის ნაკვეთით	მოსახლეობის აღწერისას ყველა იმ პირებს, რომელნიც კანონიერად ფლობენ მიწას, (რომელთაც მიწა შეიძინეს, მემკვიდრეობით მიიღეს ან გადაეცათ სხვა პირების მიერ, ან მიიღეს სახელმწიფოსგან პრივატიზაციის პერიოდში), ან აქვთ დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების იურიდიული საფუძველი, ექნებათ კომპენსირების უფლება.
	მწვავე ზემოქმედება (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 20% ან მეტი დაკარგვა)		მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები, ანუ ისეთი ოჯახები, რომლებიც დაკარგავენ შემოსავლის მომტანი აქტივების 20%-ზე მეტს, მიიღებენ (ი) დამატებით კომპენსაციას ერთი წლის მოსავლისათვის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მიწაზე; ან (იი) შემთხვევისათვის, როდესაც მოსავალით შეფასება არარელევანტურია, სამი თვის მინიმალური ხელფასის ექვივალენტურ თანხას შემწეობის სახით;	
	უკანონო მფლობელები (მიწის თვითნებურად		დაზარალებული პიროვნება არ არის უფლებამოსილი მიწის კომპენსირებისთვის. თუ	

		დამკვეთი პირები, რომელთაც არა აქვთ იურიდიული საფუძველი მიწასე საკუთრების უფლების აღიარებისათვის)	არსების ფიზიკური შესაძლებელია, უნდა მიეცეს სახელმწიფო რეზერვიდან ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის არენდაში აღების საშუალება.	მთხოვნას. საავტომობილო გზების დეპარტამენტი გაუწევს შუამდგომლობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ადგილობრივი ხელისუფლება განსაზღვრავს არენდაში მიწის გაცემის შესაძლებლობას.
ქონების დანაკარგი/ზიანი	საცხოვრებელი/არასაცხოვრებელი ნაგებობების დაზიანება	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობების მფლობელები მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა	ფულადი ანაზღაურებით კომპენსირება ჩანაცვლების ღირებულებით, დისკონტირების და ამორტიზაციაზე დაქვითვის გარეშე	
	ნაწილობრივი (ნაგებობა შესაძლოა შეკეთდეს) ან სრული დანაკარგი (ზარალი მნიშვნელოვანია და ნაგებობა ვერ შეკეთდება)	იურიდიული სტატუსისა	აშენდება ალტერნატიული ნაგებობა ან ანაზღაურდება შეკეთება/აღდგენა ნაწილობრივი ზიანის შემთხვევაში; ჩანაცვლების ღირებულება მიმდინარე საბაზრო ფასის მიხედვით, თუ ზარალი მნიშვნელოვანია და შენობა ვერ შეკეთდება	
	გზის პირას არსებული კომერციული ნაგებობების დაკარგვა (მაგალითად ჯიხური, ბენზინგასამართი სადგური, რესტორანი)	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობების მფლობელები მიუხედავად მათი	ფულადი ანაზღაურებით კომპენსირება ჩანაცვლების ღირებულებით გაუფასურების გარეშე. ნაგებობის გადატანა ახლომდებარე უსაფრთხო	

ზემოქმედების ან დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	დაზარალებული პიროვნების კატეგორია	უფლებამოსილება	შესრულება/კომენტარები
შემოსავლის/პროდუქტიული ქონების დანაკარგი	მოსავლის და ხეების დანაკარგი	<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ბოლო წლების განმავლობაში პერმანენტულად დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელები, მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა</p> <p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხეების მფლობელები მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა</p>	<p>ადგილას იმისათვის, რომ განაგრძოს მსგავსი სახის ბიზნესის წარმოება. (თუ ახლომდებარე ადგილი შესაძლებელია)</p> <p>ფულადი ანაზღაურება რომელიც უთანაბრდება მოსალოდნელი მოსავლის ღირებულებას, რომელიც შესაძლოა დაიკარგოს მშენებლობის გამო</p> <p>ფულადი ანაზღაურება საბაზრო ფასების მიხედვით რომელიც დამოკიდებულია ხეების სახეობაზე, ასაკზე, ნაყოფიერებაზე და პროდუქტის საბაზრო ღირებულებაზე.</p>	-
შემოსავლის/პროდუქტიული ქონების დანაკარგი...გაგრძელება	მშენებლობის პერიოდში შემოსავლის დანაკარგი, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლის დაკარგვასთან	<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ბოლო წლების განმავლობაში პერმანენტულად დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელები, მიუხედავად მათი იურიდიული</p>	<p>ფულადი ანაზღაურება რომელიც უთანაბრდება მოსალოდნელი მოსავლის ღირებულებას, რომელიც შესაძლოა დაიკარგოს მშენებლობის გამო</p>	

		სტატუსისა		
	გზისპირას არსებული ბიზნეს საქმიანობებით მოპოვებული შემოსავლის დანაკარგი	ბიზნეს საქმიანობის მფლობელები მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა	სარეაბილიტაციო ზომები ფულადი ანაზღაურების ჩათვლით რომელიც, სულ მცირე, გაუთანაბრდება მშენებლობით დაკარგულ შემოსავალს	სპეციფიური სარეაბილიტაციო ზომები იქნება მითითებული განსახლების სამოქმედო გეგმაში
დროებითი ზემოქმედება	სადოვრებთან მისასვლელის დაკარგვა	შინაური ცხოველების მფლობელები, მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა	უზრუნველყოფილი იქნება დროებითი მისასვლელი	შესაბამისი კომპენსაცია უნდა შეფასდეს და ანაზღაურდეს, როდესაც ზემოქმედება გამოვლინდება ზემოთ მოცემული დებულებების საფუძველზე
	მშენებლობის პერიოდში მოშლილი ნაგებობანი	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქონების მფლობელები მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა	ქონება, ფერმერული მიწის ჩათვლით მშენებლობის შემდეგ აღდგება იმავე ადგილას და მიყვანილი იქნება მინიმუმ საწყის მდგომარეობამდე	
	ბიზნეს საქმიანობის ადგილმდებარეობასთან მისასვლელის დროებითი დაკარგვით გამოწვეული შემოსავლის დანაკარგი	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქონების მფლობელები მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა	უზრუნველყოფილი იქნება დროებითი მისასვლელი	
მძიმე/მნიშვნელოვანი ზემოქმედება	შემოსავლის მომტანი აქტივების 20% ან მეტი დანაკარგი	ყველა მძიმედ დაზარალებული ოჯახი მიუხედავად მათი იურიდიული სტატუსისა	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები, ანუ ისეთი ოჯახები, რომლებიც დაკარგავენ შემოსავლის მომტანი აქტივების 20%-ზე მეტს, მიიღებენ (ი) დამატებით კომპენსაციას ერთი წლის მოსავლისათვის ზემოქმედების	

ადმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

			ქვეშ მყოფ მიწაზე; ან (იი) შემთხვევისათვის, როდესაც მოსავალით შეფასება არარელევანტურია, სამი თვის მინიმალური ხელფასის ექვივალენტურ თანხას შემწეობის სახით;	
ფიზიკური გადაადგილება	ტრანსპორტირების / გადაადგილების ღირებულება	ყველა დაზარალებული ოჯახი, რომელთაც უნდა შეიცვალოს საცხოვრებელი ან კომერციული ობიექტის ადგილმდებარეობა	დახმარება რომელიც დაფარავს ტრანსპორტის ხარჯებს -200 ლარი, დამატებით შემწეობა რომელიც საჭირო იქნება გარდამავალ პერიოდში შემოსავლის წყაროს აღდგენისათვის 304 ლარი x 3 თვეზე = დახმარება საერთო თანხით 1,112 ლარი თითოეულ დაზარალებულ ოჯახზე	
მიწის შეძენისა და განსახლებით ზემოქმედებით გამოწვეული სოციალური მდგომარეობის გაუარესება	ზემოქმედება სოციალურად დაუცველ ოჯახებზე	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დატაკი ოჯახები, ოჯახები, რომელთაც უძღვებიან მარტოხელა ქალები, მარჩენალის გარეშე მყოფი უნარშეზღუდული ან ხანშიშესული პირები, ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული პირები	დახმარება, რომელიც ეკვივალენტი იქნება 3 თვის მინიმალური ხელფასისა, (304 ლარი როგორც მინიმალური თვიური ხელფასი სამი თვის განმავლობაში = 912 ლარი თითოეულ დაზარალებულ ოჯახზე) და დასაქმების პრიორიტეტულობა მოცემულ პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებში	
სხვა ნებისმიერი სახის	სხვა ნებისმიერი სახის	ნებისმიერი	კომპენსაცია, რეაბილიტაცია ან	განსახლების

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა


ზემოქმედება	ზემოქმედება ან დანაკარგი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული განსახლების პოლიტიკის სტრუქტურის მიერ	დაზარალებული პირი	საცხოვრებელი პირობების აღდგენა, განსახლების პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად	პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტიში უნდა შევიდეს ცვლილებები იმ შემთხვევაში, თუკი გამოვლინდა დამატებითი გარემოებები.
-------------	--	-------------------	--	--

6. ინსტიტუციონალური მოწყობა და პასუხისმგებლობები

6.1 შესავალი

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არის პროექტის აღმასრულებელი სააგენტო (EA) საქართველოს მთავრობის სახელით და საავტომობილო გზების დეპარტამენტი კი განმარხორციელებელი სააგენტო (IA). JICA აფინანსებს დეტალურ პროექტის საამშენებლო სამუშაოებს და მშენებლობის ზედამხედველებას. საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელია გზების მშენებლობაზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებული LAR-ის ზემოქმედებათა მენეჯმენტსა და შერბილებაზე. ზოგადი საოგანიზაციო სქემა მოცემულია ნახატში 6.1 ქვემოთ.

გამოსახულება 6.1 – LAR-ის ორგანიზაციული სტრუქტურა



საგზაო დეპარტამენტს დახმარებას გაუწევს რამდენიმე სხვა სამთავრობო დეპარტამენტი და კერძო სააგენტო დეტალური პროექტის შედგენაში, მშენებლობასა და დანერგვაში. მიმდინარე კანონდებლობის თანახმად საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტო (NAPR) იუსტიციის სამმართველოს ფარგლებში პასუხისმგებელია საკუთრების უფლებების აღიარებაზე კანონიერი მესაკუთრებისათვის, მიწის მფლობელობის რეგისტრაციაზე, ამასთან პეროცესის ამოწმებენ და ადასტურებენ სოფლის მხანაგობები, სანოტარო ბიუროები, საკუთრების უფლების აღიარების კომისია (PRRC) და საკრებულო. რაიონულ დონეზე საჯარო რეესტრის სააგენტო ასევე პასუხისმგებელია მიწათმფლობელებისგან შესყიდული მიწის გადაცემაზე საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის. ადგილობრივი მთავრობები რაიონულ (წყალტუბო და თერჯოლა) და სასოფლო დონეზე ჩართულნი არიან დაკანონებადი მიწის ნაკვეთების დაკანონებასა და მათ მომდევნო შეყიდვაზე, აგრეთვე ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების განსახლებაზე. გარემოს დაცვის სამინისტრო (MoE) პასუხისმგებელია გარემოსდაცვით საკითხებზე.

პროექტი მოიცავს იმერეთის რეგიონის წყალტუბოსა და თერჯოლას რაიონებს. საკრებულო, ექვსი სოფლის გამგეობა, რეესტრის სააგენტო და საკუთრების უფლების აღიარების კომისია ჩართულები იქნებიან დ -ის განხორციელებაში.

6.2 მიწის სარეგისტრაციო ორგანიზაციები

სამთავრობო სააგენტოები აქტიურები არიან სხვადასხვა დონეზე კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის პრივატიზების პროცესში, როგორც ამას ქვემოთ იხილავთ.

6.2.1 სოფლის დონის გამგეობა

სოფლის დონეზე გამგეობა არის თვითმმართველობის აღამსრულებელი შტო, რომლის სათავეშიც სოფლის რწმუნებული დგას. რწმუნებულის მონაწილეობა მნიშვნელოვანია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაკვეთების მესაკუთრეთა იდენტიფიკაციის, ნაკვეთების ლეგალიზებისა და რეგისტრაციის პროცესში. გამგებელი ადასტურებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ფართობების მფლობელობას, მიწის ფართობის პარამეტრებს და ამოწმებს საკადასტრო გეგმებსა და სხვა საჭირო მონაცემებს მომზადებულს მიწის ლეგალიზებისათვის.⁶ გამგებელი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაკანონიერი მფლობელების ლეგალიზების საქმეში (მიწის განმკარგავი პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ წინასწარი ნებართვა სახელმწიფოსგან პრივატიზაციის შესახებ საქართველოს მიმდინარე კანონის ძალაში შესვლამდე). გამგეობა უფლებამოსილია მოახდინოს დაკავებული მიწის ნაკვეთის დეტალების ავტორიზება⁷. ლეგალიზაციის აპლიკანტების მეზობლები ასევე

⁶ მფლობელები თავიანთი არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ლეგალიზების მიზნით ნორმალურ პროცედურებში იყენებენ კერძო კარტოგრაფიულ სააგენტოებს და ექსპერტებს მიწის დეტალების მომზადებაში საფასურის სანაცვლოდ (რუქები და ფართობის პარამეტრები). ამ პროექტის შემთხვევაში კონსულტანტები ესმარებიან ძირითადი დოკუმენტების შედგენაში, როგორცაა რუქები და ფართობის დეტალები

⁷ ეს არ არის სავალდებულო, მაგრამ წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლო პროცედურას არაკანონიერი მფლობელებისათვის მიწის ლეგალიზებისათვის. ნოტარიულად დამოწმებული

მონაწილეობენ ავტორიზაციის პროცესში. ექვსი სოფლის გამგებელი ჩართული იქნება RAP-ის ჩასწორების და დანერგვის პროცესში.

6.2.2 საკრებულო

საკრებულო არის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო რაიონულ და სასოფლო დონეზე.

სასოფლო/რაიონულ დონეზე საკრებულო ნაკლებ ჩართულია “დაკანონებადი” მიწის ნაკვეთების ლეგალიზაციის პროცესში. თუმცა რაიონის საკრებულოს წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში მიწის საკუთრების უფლების დასამტკიცებლად შემოტანილი დოკუმენტაციის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

6.2.3 საკუთრების უფლების აღიარების კომისია

ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში (მოხმარებაში) მყოფი მიწებზე საკუთრების უფლების აღიარების კანონის (2007) მიხედვით მთავრობამ ჩამოაყალიბა საკუთრების უფლების აღიარების კომისია რაიონულ დონეზე არაკანონური მიწის მფლობელებისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისათვის.

ამ კომისიის ძირითადი მისია არის მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება და სათანადო დასკვნის გაცემა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის.

6.2.4 რაიონის სარეგისტრაციო სამსახური

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია მიწის მფლობელობის რეგისტრაციაზე და მის გადაცემაზე შესყვიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მიწათმფლობელისგან საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის. რაიონის არქივები ახლა გადაეცა მფლობელობაში რაიონულ რეესტრის ოფისებს. რაიონის არქივები გამოიყენება საკუთრების დოკუმენტების გადამოწმებისათვის და ასევე იმ პირების მიერ მიწის ფიზიკური მფლობელობის დასამოწმებლად, რომლებიც იღვწიან დარეგისტრირდნენ მიწის მესაკუთრებად, იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს არ გააჩნია მიწის ნაკვეთის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან იმ შემთხვევაში თუ არსებობს ეჭვი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეობასთან დაკავშირებით.

რაიონული სარეგისტრაციო სამსახურები წარმოადგენენ პასუხისმგებელ ორგანოებს რაიონულ დონეზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის აპლიკანტებისათვის კანონიერი მფლობელების ან არაკანონიერი მფლობელების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე. მფლობელებმა უნდა წარადგინონ მიწის ფართობის რუქების როგორც ელექტრონული ისე ამობეჭდილი ვერსიები

მოწმეების ხელმოწერა ასევე ითვლება მისაღებად არაკანონიერი მფლობელობის დამტკიცებისათვის.

გეომეტრიული დეტალებით რაიონულ და ცენტრალურ რეესტრის სააგენტოებში. თავდაპირველად განსახორციელებელი პროექტი – ქუთაისის შემოვლითი გზა – კვეთს წყალტუბოსა და თერჯოლის საჯარო რეესტრის ოფისების იურისდიქციას, რომელთაგან ორივე იქნება ჩართული RAP-ის მომზადებაში.

6.3 მიწის შესყიდვისა და განსახლების ორგანიზაციები

6.3.1 საავტომობილო გზების დეპარტამენტი

საგზაო დეპარტამენტი პასუხისმგებელია დეტალურ პროექტის გაკეთებაზე, LAR-ის ზემოქმედების მენეჯმენტსა და შერბილებაზე, მშენებლობაზე, მშენებლობის მონიტორინგზე და პროექტის ზედამხედველობაზე. ეს მოიცავს მიწის შესყიდვისა და განსახლების დაფინანსებასა და ძალაში მოყვანას და სააგენტოთა შორის კოორდინაციას.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებს ფუნქციებს არსებული განსახლების ერთეულის, რაც თავის მხრივ წარმოადგენს გზების განვითარებისა და განსახლების განყოფილების ქვეგანყოფილებას, და LAR-ის კომისიის და სამუშაო ჯგუფის საშუალებით.⁸

განსახლების ერთეულსა და გზების განვითარების და განსახლების განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების უფროსი და დაკომპლექტებულია LAR-ის მომზადებისათვის საჭირო სპეციფიკური გამოცდილებისა და უნარების მქონე პერსონალით. განსახლების განყოფილები წარმოადგენს სამუშაო ჯგუფის ბირთვს. განსახლების განყოფილები პასუხისმგებელია ტექნიკურ სამუშაოზე LAR-ის მომზადებისა და დანერგვის მისაღწევად და საავტომობილო გზების დეპარტამენტთან კონსულტაციების საწარმოებლად.

LAR-ის კომისია (LARC) რომელიც მოქმედებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ფარგლებში უფლებამოსილი იქნება საბოლოოდ დაამოწმოს LAR-თან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ქმედებები. კომისია იკრიბება საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროებისამებრ. კომისია მიმოიხილავს და დააკვირდება RAP-ის დანერგვას, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა დაზარალებული პირი სრულად კომპენსირებულია და რომ შემარბილებელი ღონისძიებები გატარებულია სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორის მიერ დროებითი ზემოქმედების შედეგად. ის ასევე წარმოადგენს საბოლოო წინა-სასამართლო დაკვების გამრჩევ ორგანოს ისეთი საკითხების განსახილველად, რომლებიც ვერ მოგვარდა რეგიონულ დონეზე. კომისია უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისობაში. პრეტენზიების დაკმაყოფილების

⁸ LAR-ის კომისია და სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პირველად 03.05.2007 №40 ბრძანების მიხედვით დამ ას შემდეგ ეს მექანიზმი გამოიყენება და საქმიანობათა დანერგვისათვის

კომიტეტი (GRC) გამგეობის დონეზე იმუშავებს რაღა გადაჭრას დაზარალებული პირების უთანხმოება მათი უმკაცროფილების შემცირების და ექსპროპრიაციის თავიდან აცილების გზით.

LARC-ისა და სამუშაო ჯგუფის სტრუქტურაში არიან გამოცდილი და გაწვრთნილი ექსპერტები ეკონომიკისა და კანონმდებლობის სფეროში, რომლებსაც ამავედროულად უკავიათ საპასუხისმგებლო თანამდებობა საავტომობილო გზების დეპარტამენტში. საჭიროებისამებრ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მენეჯმენტისა და LARC-ის შეთანხმების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის სტრუქტურა შეიძლება გაფართოვდეს და მოიწვიოს პროფესიონალები სხვადასხვა სექტორებიდან LAR-ის სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე. ძირითადი გუნდი სამუშაო ჯგუფისა წარმოდგენილია განსახლების განყოფილების მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია სასამართლო ექსპერტების, ფინანსური ექსპერტების, ინჟინრების და ა.შ. ექსპერტებისგან საავტომობილო გზების დეპარტამენტი სხვა დეპარტამენტებისგან.

სამუშაო ჯგუფისა და განსახლების განყოფილების სპეციფიკური დანიშნულებაა (i) RAP-ის განახლება შესაბამისი პროცედურების მიხედვით RPF-სა მიხედვით და JICA-ს დასტურით, (ii) საამშენებლო კონტრაქტებისათვის RAP-ის მომზადება და განხორციელება მისი კონსტრუქციის შეთანხმების შემდეგ; (iii) LAR-ის სიმძლავრის დადგენა საავტომობილო გზების დეპარტამენტის რეგიონული ოფისების დონეზე; (iv) სწორი შიდა მონიტორინგის უზრუნველყოფა; (v) JICA-ს რეკომენდაციის მიხედვით გარეშე მონიტორინგის სააგენტოს (EMA) დაქირავება.

განსახლების განყოფილება უზრუნველყოს ყველა საჭირო დოკუმენტაციას მიწის შესყიდვისა და განსახლების ბიუჯეტის დროულად დადგენისათვის და შეინარჩუნებს თითოეული შესყიდული მიწისა და განსახლებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას.

6.3.2 რაიონის LAR გუნდი

რაიონულ დონეზე LAR გუნდები ჩამოყალიბდება, რათა დაეხმაროს ცენტრალურ LAR კომისიას და აღმოუჩინოს დახმარება დაზარალებულ პირებს დაკანონებადი მფლობელების ლეგალიზების პროცესში. საავტომობილო გზების დეპარტამენტის LAR კომისიის გადაწყვეტილებით და RAP კომპენსაციების საფასურის გათვალისწინებით განხილული იქნება მიწის ნაკვეთების შესყიდვის ვარიანტი. იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული პირი დათანხმდება მიწის შესყიდვაზე, იგი დაადასტურებს ამგვარ შეთანხმებას ყიდვა-გაყიდვის შეთანხმებაზე ხელის მოწერით, რომელიც დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში. ეს შეთანხმება იქნება საფუძველი საკომპენსაციო თანხის დამუშავებისა და გაცემის. თუ შეუძლებელი გახდება შეთანხმების მიღწევა დაზარალებულ პირსა და LAR გუნდს შორის, ეს უკანასკნელი შეატყობინებს LAR კომისიას, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ექსპროპრიაციის დაწყების თაობაზე.

6.3.3. ადგილობრივი მმართველობა

ადგილობრივ მმართველობას, განსაკუთრებით რაიონის დონეზე, აქვს მიწის ადმინისტრირების, შეფასების, კონტროლის და ათვისების პირდაპირი იურისდიქცია. იმისათვის რომ დაადასტუროს მრჩეველი კონსულტანტების მიერ ჩატარებული გამოკითხვები და შეფასებები, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჩამოაყალიბებს რაიონული დონის LAR ჯგუფებს, რომელთაც მიემაგრებათ რწმუნებულები აღნიშნული რაიონული მმართველობიდან (რაიონული საკრებულო: გამგებელი) და ასევე თითოეული დაზარალებული სოფლის/ამხანაგობის მმართველობის წარმომადგენელი. (საკრებულოს და გამგებელის წარმომადგენლები თითოეული დაზარალებული ამხანაგობის/სოფლის დონეზე).

რაიონული დონის LAR ჯგუფები ჩამოაყალიბდება და იმუშავენს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და კონსულტანტებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში. რაიონული დონის LAR ჯგუფები ასევე მონაწილეობას მიიღებს RAP-ის განხორციელებაში.

6.4. სხვა ორგანიზაციები და სააგენტოები

6.4.1. საამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დანიშნული საამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი უზრუნველყოფს მშენებლობას და შესაბამისად პასუხისმგებელია მიმდინარე მშენებლობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შერბილების შედეგებზე.

RAP-ისა და EMP-ის დებულებების შესაბამისად, მიწის ნებისმიერი მონაკვეთი, რომელიც განსაზღვრული და ათვისებულია, როგორც გასხვისების კორიდორის გზის შემადგენელი ნაწილი, იქნება დემარკირებული, რათა ნათლად გამოიკვეთოს დარჩენილი ათვისებული ნაწილისაგან. საამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი ჩატარდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რათა აღნიშნული სამუშაოები ჩატარდეს RAP და EMP-ის მიერ შემარბილებელი ღონისძიებებით განსაზღვრულ ზომებთან შესაბამისობაში.

6.4.2 ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები

RAP/ACS-ის განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტით საავტომობილო გზების დეპარტამენტს უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტრო მისი ოფიციალური დასტურის საფუძველზე. აღნიშნული ბიუჯეტი დაირიცხება TRRC-ის ანგარიშზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პროექტის ფინანსური მართვაზე პასუხისმგებელ სააგენტოს.

იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო NAPR იუსტიციის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფს მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ რეგისტრაციებს და შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მათ გადაცემას მიწის მფლობელიდან საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის.

6.4.3. კონსულტანტები და აუდიტორები

საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად, პროექტის კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება RAP-ისა და ACS-ის მომზადებაზე, ხოლო მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტი კი უზრუნველყოფს საამშენებლო სამუშაოების დაწყებას.

- პროექტის კონსულტანტი - პროექტის კონსულტანტს ჰყავს სოციალური განვითარების და განსახლების საერთაშორისო სპეციალისტი და განსახლების/სოციალური ადგილობრივი სპეციალისტი RAP-ის სრულყოფისათვის თითოეულ საამშენებლო ეტაპზე. პროექტის კონსულტანტს დაქირავებული ჰყავს დამოუკიდებელი კვლევისა და აუდიტის სააგენტო მიწის ათვისების, განსახლების კვლევის და ასევე დოკუმენტაციისათვის, რომელიც მოიცავს აღწერას, სოციოეკონომიკურ გამოკითხვას, დანაკარგის ინვენტარიზაციას და ასევე მიწის შეფასებისა და განსახლების შეფასების ექვივალენტს. RAP მომზადებულ იქნა ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, მას შემდეგ რაც აღნიშნული კვლევები შესწორდა თითოეულ საინჟინრო პროექტთან მიმართებაში.
- მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტი – CSC –ს ეყოლება მიწის ათვისებისა და გადაადგილების სპეციალისტები, რათა უზრუნველყოს RAP-ის განხორციელება სამოქალაქო სამუშაოების დაწყებამდე და ასევე პასუხისმგებელი იქნება მშენებლობის დროს მოულოდნელად წამოჭრილ განსახლებასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგზე.

6.4.4. საქართველოს სასამართლოები

საქართველოს სასამართლო არის RAP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული დავებისა და საკითხების გადაჭრის საბოლოო ინსტანცია. თუ საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და დაზარალებულ პირს შორის ვერ შედგება შეთანხმება კერძო საკუთრების შექენის თაობაზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, არსებული კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლების საფუძველზე, რომელიც მიწის ჩამორთმევას ეხება, მიმართავს სასამართლს მიწის ჩამორთმევის მოთხოვნით. ასეთი თანხმობის მოპოვებისთანავე და საჭირო პროცედურის გავლის შემდეგ, საავტომობილო გზების დეპარტამენტი თავის ხელში აიღებს სადავო ქონების მართვას, მას შემდეგ, რაც სასამართლო მიანიჭებს მისი ჩამორთმევის უფლებას.

გარდა ამისა, იმ შემთხვევებში როცა RAP-ის განხორციელებასა და კომპენსაციასთან დაკავშირებული პრეტენზიები და დავები ვერ გადაწყდებიან სხვადასხვა დონეზე, პრეტენზიების დაკმაყოფილების დადგენილი მექანიზმის შესაბამისად, დაზარალებულ პირებს უფლება აქვთ ამ საქმესთან დაკავშირებით მიმართონ სასამართლოს - როგორც საბოლოო ინსტანციას, რომლის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და აუცილებლად შესასრულებელი.

6.4.5. JICA

JICA-ს სპეციალისტები, პროექტის ხელმძღვანელობის გარდა, პერიოდულად მიმოიხილავენ RAP-ს და ახორციელებენ ტერიტორიის მოსუფთავებას, რათა ხელი შეუწყონ სატენდერო პროცესის, კონტრაქტის დადების და საამშენებლო სამუშაოების დაწყებას.

6.4.6. გარე მონიტორინგის სააგენტო

საავტომობილო გზების დეპარტამენტი EMA-ს სახით ნიშნავს მონიტორინგის დამოუკიდებელ სააგენტოს საგარეო მონიტორინგისა და RAP-ის განხორციელების და შესაბამისობის წინა და მომდევნო შეფასებისათვის. საგარეო მონიტორინგი მოიცავს RAP-ის განხორციელების ყველა ასპექტს, ლეგალიზაციით დაწყებული ყველა კომპენსაციისა და რეაბილიტაციების ნებართვების დაფარვით დამთავრებული სამოქალაქო სამუშაოების დაწყებამდე (იხილეთ მე-10 თავი).

6.5. LAR-ის ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება

შესაბამის უწყებებში და ორგანიზაციებში LAR-ის სამუშაოებისათვის ორგანიზაციული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოები დაიწყო სხვა პროექტების ფარგლებში (აზიის განვითარების ბანკის და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები). საავტომობილო გზების დეპარტამენტს უკვე აქვს ჩამოყალიბებული განსახლების განყოფილება, რომელიც აგვარებს გზების განვითარების, მიწის ათვისებისა და განსახლების საქმეებს. სხვა პროექტების მზადებისა და განხორციელების დროს სხვადასხვა არაფორმალური ტრენინგები უკვე იქნა ჩატარებული. ორგანიზაციულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები იქნა განხორციელებული ასევე სხვადასხვა კონსულტაციებისა და არაფორმალური სესიების საფუძველზე ადგილობრივი მმართველობის დონეზეც. საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობდნენ რეგიონულ დონეზე LAR-ის აქტივობების დაგეგმარებასა და რაიონული მმართველობასთან შეთანხმებულ მუშაობაზე. პროექტის განხორციელების პერიოდისათვის, თითოეულ რაიონში შეიქმნა რაიონული დონის LAR ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან LAR-ის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე. LAR ჯგუფი არის ფუნქციონალური ჯგუფი, რომლის მიზანის არის

განსახლების გეგმის განხორციელების პროცესში საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამსახურისაგან დახმარების აღმოჩენა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტთან არსებული განსახლების სამსახურის საკადრო რესურსებისა და მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით ინიცირებულ იქნა გზების განვითარებისა და განსახლების განყოფილებასთან (RDRD) არსებული განსახლების სამსახურის (RU) შესაძლებლობის გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იყოს LAR-თან დაკავშირებული პროექტის ყველა დავალების ეფექტური განხორციელება. RDRD-ში არსებული განსახლების სამსახური იმყოფება გაფართოების პროცესში და RAP-ის განხორციელების დაწყებამდე იგეგმება ახალი პერსონალის დაქირავება. RU, LARC, რაიონულ და საველე დონეზე მომუშავე ყველა პერსონალი, რომელიც ჩართულნი არიან LARC-ის აქტივობებში, გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს ADB-ის განსახლების პოლიტიკასა და მართვასთან დაკავშირებით. დამატებითი ტრენინგები ჩატარდება მიმდინარე შრომისუნარიანობის ზრდასთან დაკავშირებული პროექტის ფარგლებში, რომელიც ფინანსდება ADB-ის მიერ, რომლის მიზანია უნიარიანობის გაძლიერება და ზრდა მიწის ათვისებისა და არანებაყოფლობით გადაადგილების აღმასრულებელ სააგენტოებში. ტრენინგი დაფარავს შემდეგ საკითხებს:

- მიწის ათვისების საფუძვლები და პროცედურები (სამთავრობო და განვითარების პარტნიორები როგორცაა მსოფლიო ბანკი, JICA and ADB)
- პროექტის დაინტერესებული მხარეები
- მიწის ათვისებასა და განსახლების პროცესში ჩართული ორგანიზაციები და მათი როლი;
- საჯარო კონსულტაციები და მონაწილეობის პროცესი;
- უფლებამოსილებისა და კომპენსაციის, ასევე დახმარების გამოყოფის მექანიზმი;
- პრეტენზიის დაკმაყოფილება; და
- განსახლების პროცედურების მონიტორინგ.

7. კონსულტაციები გაწევა ოჯახებისთვის და პრეტენზიების დაკმაყოფილება

7.1 კონსულტაციების გაწევა

საჯარო განხილვების და შეხვედრების სერიები ჩატარდა ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრი რაიონებსა და სოფლებში. ამ კონსულტაციების მიზანი იყო ადგილობრივი უწყებებისათვის ინფორმაციის მიწოდება, დაინტერესებული პირების და პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწის მფლობელებისა და მომხმარებლების ინფორმირება დ პროცესების შესახებ და ფარავს: (i) RPF-ს, ზოგად განსახლების პოლიტიკასა და პრინციპებს და RPF-ის ხელმისაწვდომობას; (ii) კომპენსაციის უფლების მოპოვების ხელმისაწვდომობა და უფლებამოსილება; (iii) პრეტენზიებისა და უკმაყოფილების გადაჭრის მექანიზმი; (iv) მიმდინარე საკონსულტაციო პროცესი RAP-ის მომზადების და დანერგვის განმავლობაში; (v) როგორ განხორციელდება მონიტორინგ და რისი მონიტორინგი განხორციელდება (ანუ დაკმაყოფილდნენ თუ არა დაზარალებული პირები კონსულტაციის პროცესით, მიღებული კომპენსაციით და ა.შ.).

როგორც წესი შეხვედრებს აქვს პრეზენტაციის ფორმა, ხოლო დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ბუკლეტების დარიგებით, რომელსაც კითხვა-პასუხის რეჟიმში ინფორმაციის გაცვლა მოჰყვება. მოხდება შეხვედრების ჩაწერა/ოქმის შედგენა, რათა დამსწრეთა შენიშვნები, წინადადებები და წამოჭრილი საკითხები ჩანიშნული იქნას RAP-ის მიერ.

საინფორმაციო ბუკლეტებში რეზიუმირებული იქნება შემდეგი:

- განსახლების პოლიტიკა და პრინციპები;
- კომპენსაციის მიღების უფლებამოსილება;
- საკუთრების უფლებების აღიარებისა და რეგისტრაციის პროცესი და არაკანონიერად მისაკუთრებული მიწის დასაკუთრების პროცესი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

RAP-ის მომზადების პერიოდის განმავლობაში განხორციელდა 9 შეხვედრა 178 მონაწილის დასწრებით, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 7.11.

ცხრილი 7.1.1 – ჩატარებული შეხვედრების ადგიმდებარეობა და მონაწილეები

თარიღი	რაიონი	სოფელი	მონაწილეების რიცხვი
03.12.10	თერჯოლა	ჭოგნარი	22
06.12.10	თერჯოლა	ნახშირდელე + სიმონეთი	23

08.12.10	წყალტუბო	გეგუთი	22
10.12.10	თერჯოლა	კვახჭირი	21
19.01.11	თერჯოლა	კვახჭირი	13
19.01.11	თსკა .ღტუბო	უკანეთი	14
20.01.11	თსკალტუბო	გეგუთი	16
21.01.11	თერჯოლა	ნახშირდელე	24
17.02.11	თერჯოლა	ჭოგნარი	23
ჯამი			178

წყარო: ქუთაისის შემოვლითი გზის კონსულტაციები (დეკემბერი – იანვარი 2011)

7.2 განსახლებასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები

მსგავსი შეკითხვები და საკითხები წამოიჭრა შეხვედრებზე. ეს საკითხები და საჯარო განხილვების დამსწრე ექსპერტების გამოსმაურება რეზიუმირებულია ცხრილში ქვემოთ.

საჯარო კონსულტაციების სრული პროტოკოლები და ჩანაწერები დართულია დოკუმენტზე დამატება 4-ში.

ცხრილი 7.2.1 – წამოჭრილი კითხვებისა და საკითხების და პასუხების რეზიუმე

კითხვა/კომენტარი	პასუხი
რა არის მიწის საკომპენსაციო ფასი?	შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს საბაზრო ღირებულების დადგენას ნამდვილი მოლაპარაკებების საფუძველზე, რომლებიც უკავშირდება მესაკუთრეობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს დამ იწის ნაკვეთების შესყიდვას.
როგორ მოხდება ხეების/მცენარეების კომპენსაცია?	საკომპენსაციო ღირებულება ხეებისა და მცენარეების განისაზღვრება ხეების ტიპის, ასაკის და ნაყოფიერების ფასეულობის საბაზრო ღირებულების ფულიანი ანაზღაურების სახით.
ამ წელს ჩვენ უკვე დავამუშავეთ მიწა, როგორ განხორციელდება კომპენსაცია?	მოსავლის კომპენსაცია 1 წლისათვის გადაეცემათ დაზარალებულ პირებს მოსალოდნელი მოსავლის საბაზრო ღირებულების ფულიანი ანაზღაურების სახით, მიუხედავად იმისა უკვე დამუშავებულია მიწა შესყიდვის პროცესის დაწყებამდე თუ არა.

<p>გათვალისწინებულია თუ არა სოფლის შემოვლითი გზების რეკონსტრუქცია პროექტით?</p>	<p>მაგისტრალი ხელს არ უნდა უშლიდეს შიდა დამაკავშირებელ გზებს. ეს საკითხები გათვალისწინებულია საპროექტო დონეზე. კერძოდ, მაგისტრალი შედგება რამდენიმე ესტაკადისგან და მიწისქვეშა გასასვლელისგან, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის შემოვლითი გზების ნორმალურ ფუნქციონირებას და ხალხის, ავტო ტრანსპორტის და საქონლის თავისუფალ/დაუბრკოლებელ გადაადგილებას. სოფლის შემოვლითი გზების რეკონსტრუქცია არ წარმოადგენს ღ -ის ნაწილს.</p>
<p>რა მოხდება მაშინ, თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირს არ სურს მიწის ნაკვეთი დატოვება?</p>	<p>არსებობს კანონი სახელმწიფოს უფლების შესახებ მოახდინოს ქონების არანებაყოფლობითი მითვისება. ამ კანონის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიწის მესაკუთრე მიიღებს სამართლიან კომპენსაციას და მიწა გადავა სახელმწიფო საკუთრებაში კანონში განსაზღვრული საექსპროპრიაციო წესების თანახმად. დაზარალებულმა პირებმა შეიძლება მოითხოვონ მსგავსი მიწის ნაკვეთი ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ (შეძლებისამებრ).</p>
<p>იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები საფასურის შესახებ ვერ შედგება, რა იქნება შემდეგი საფეხური?</p>	<p>იმ შემთხვევაში თუ დარჩება გადაუწყვეტი დავა მესაკუთრეობასთან დაკავშირებით, საქმე შეიძლება განსახილველად გადაეცეს რაიონის სასამართლოს და საბოლოო გადაწყვეტილებასაც სასამართლო მიიღებს. თუმცა სასამართლო გარჩევამდე, შესაძლებელია დავის გადაჭრა მოლაპარაკებებით, ასევე პრეტენზიების განხილვის პროცესი გათვალისწინებულია პროექტით. საინფორმაციო ბუკლეტებში თქვენ ნახვით კომენტარებისა და მოსაზრების გამოსახატად გამოყოფილ შესავსებ გრაფებს.</p>
<p>იმ შემთხვევაში თუ მიწის მესაკუთრე გარდაიცვლება, როგორ მოხდება კომპენსაციის გაცემა?</p>	<p>არ წარმოიქმნება არავითარი პრობლემა კომპენსაციის გაცემასთან და მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გარდაცვლილის მემკვიდრისათვის ღ-ში შესაბამისი დოკუმენტების ჩაბარების შემდეგ.</p>

<p>როგორ განისაზღვრება თითოეული მიწის ნაკვეთის ღირებულება?</p>	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები მივლენ თითოეულ დაზარალებულ პირთან და მოამზადებენ ნაკვეთის ზუსტ და აკურატულ რუკებს დეტალური ზომებითა და გეომეტრიული აღწერილობით, ასევე სპეციალური მატრიცით, სადაც ყველაფერი იქნება განსაზღვრული. საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის შემდეგ მომზადდება და ხელმოწერილ იქნება კონტრაქტი საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მიწის მესაკუთრეს შორის. შემოქმედების ქვეშ მოქცეული თითოეული ნაკვეთისათვის შედგება დანაკარგთა ინვენტარიზაცია მიწის მესაკუთრის მონაწილეობით, რომელსაც ხელი მოეწერება მესაკუთრის მიერ მისი განხილვის და მოწონების შემთხვევაში.</p>
<p>რამდენი ადამიანი დასაქმდება გზის მშენებლობის პროცესში?</p>	<p>მშენებლობის პერიოდში სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნება აბორიგენული მოსახლეობის დასაქმება (ითვალისწინებს როგორც კვალიფიცირებულ, ისე არაკვალიფიცირებულ მოსახლეობის დასაქმებას). მაგრამ პირველ რიგში უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველ პირებს, რაც ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.</p>
<p>იმ შემთხვევაში თუ ადამიანი იგირავებს მიწას, რომელსაც ამუშავებს სხვადასხვა სახის მოსავლის მისაღებად, როგორ განხორციელდება კომპენსაცია?</p>	<p>მიწის კომპენსაცია არ მოხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მისი დაქირავება ან დაგირავება. ამ შემთხვევაში გამოინახება ალტერნატიული მიწა დაგირავებისათვის. ანაზღაურებული იქნება კომპენსაცია მოსალოდნელი წლიური მოსავლის მთლიანი საბაზრო ღირებულების ოდენობით. გრძელვადიანი დაგირავების შემთხვევაში (როდესაც ადამიანები მიწას 10-40 წლით გირაობენ) სოფლის გამგეობა განიხილავს საკითხებს და წამოჭრის მიწის ნაკვეთის ლეგალიზების საკითხს ცენტრალურ და რაიონულ სამთავრობო დონეზე. როდესაც ხსენებული მიწის ნაკვეთების დაკანონება მოხდება, მიწის კომპენსაციის პოლიტიკა გატარდება შესაბამისი პროცედურების გავლის და ეროვნული საჯარო რეესტრის მიერ მიწის რეგისტრაციის შემდეგ.</p>

<p>როდესაც მიწის ნაკვეთის მხოლოდ გარკვეული ნაწილი ხვდება ზემოქმედების ქვეშ, მოხდება თუ არა საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის კომპენსაცია?</p>	<p>საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის ვარგისიანობა განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. თუ საცხოვრებელი მიწის ნაკვეთი ღირებულად მიიჩნევა, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაწილის კომპენსაციასთან ერთად მფლობელს შესთავაზებენ ორ ალტერნატივას: (ი) ფულადი კომპენსაცია საცხოვრებელი მიწისათვის ანუ მიწის მთლიანი ნაკვეთისათვის. ან (იი) შეინარჩუნონ მესაკუთრის უფლება საცხოვრებელ მიწაზე</p>
<p>მოხდება თუ არა მიწის ნაყოფიერების გათვალისწინება საკომპენსაციო ფასების/ღირებულების განსაზღვრისას?</p>	<p>დიახ, მიწის ღირებულების შეფასება მოიცავს მიწის ნაყოფიერებას ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის ადგიმდებარეობას, ზომას და ნიადაგის ხარისხს, ა.შ.</p>

წყარო: კონსულტაციის პროტოკოლი და ჩანაწერები (დეკემბერი 2010 – თებერვალი 2011)

7.3 ინფორმაციის გამოქვეყნება

უფლებამოსილების მატრიცა წარდგენილ იქნა საჯარო შეხვედრაზე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის 2010 წლის დეკემბრიდან.

საბოლოო RAP-ის ელექტრონული ვერსია განთავსდება საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვებ-გვერდზე. RAP-ის რეზიუმე გადაითარგმნება ქართულად და ასევე ნებისიერ საჭირო ენაზე და ხელმისაწვდომი იქნება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთათვის ადგილობრივ დონეზე. RAP-ის (ქართული ვერსია) ასლი ხელმისაწვდომი იქნება ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაინტერესებული ოფისებისათვის, წყალტუბოსა და თერჯოლას რაიონის ოფისებისათვის, ისევე როგორც ხელმისაწვდომი იქნება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ექვსი სოფლის გამგების საშუალებით.

საბოლოო RAP გადაეცემა JICA-ს დამტკიცებისათვის, რასაც მოყვება კონრაქტის გაფორმება დაკანონებადი მფლობელებისათვის მიწის ნაკვეთების ლეგალიზების შემდეგ.

7.4 პრეტენზიების დაკმაყოფილების მექანიზმები

7.4.1 მიზნები

პრეტენზიების დაკმაყოფილების მექანიზმი ჩამოყალიბდება იმისათვის, რომ საშუალება მისცეს დაზარალებულ პირებს მოახდინონ ნებისმიერი მიიღებელი გადაწყვეტილების, საქმიანობის ან ქმედების გასაჩივრება წარმოშობილი მიწის ან სხვა რომელიმე აქტივის კომპენსაციის საკითხზე. დაზარალებული პირები სრულად იქნებიან ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების შესახებ და ამავდროულად იმ

პროცედურების თაობაზეც, რომლებიც განიხილავენ ზეპირი ან წერილობითი კონსულტაციების, კვლევების ან კომპენსაციის დროს წარმოშობილ უკმაყოფილებას.

ყოველთვის მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პრეტენზიების პრევენციას და არა თავად პრეტენზიის განხილვის პროცესს. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას LAR-ის გულდასმით შედგენით და განხორციელებით, დაზარალებული პირების სრული მონაწილეობის და კონსულტაციის უზრუნველყოფით და ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ამხანაგობებს, საავტომობილო გზების დეპარტამენტს და ზოგადად ადგილობრივ მთავრობას შორის მჭიდრო კავშირებისა და კოორდინირების შექმნით.

7.4.2 პრეტენზიების დაკმაყოფილების კომისიის შექმნა

პრეტენზიების დაკმაყოფილების კომიტეტი (GRC) ჩამოყალიბდება ამხანაგობათა დონეზე თითოეულ გამგეობაში, რათა არაფორმალური გზით გადაჭრას დავები ამხანაგობის მონაწილეობის გზით. კომიტეტი დაკომპლექტდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ადგილობრივი გამგეობის, დაზარალებული პირების, მდებარეობითი სქესის დაზარალებული პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებისგან, რათა შესაძლებელი გახდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხალხის მოსაზრების გახმაურება და უზრუნველყოფილ იქნას მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კომიტეტი გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობის საფუძველზე და გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ადგილობრივ ამხანაგობებში.

თუ მოდავეებს ვერ დააკმაყოფილებს კომიტეტის გადაწყვეტილება, მათ ყოველთვის შეეძლებათ მიმართონ სასამართლოს.

კომიტეტი ჩამოყალიბდება გამგეობის ამხანაგობის დონეზე, რომლის წევრებიც იქნებიან:

- საავტომობილო გზების დეპარტამენტის დ-ის : კრების მომწვევი
- კომისიის წარმომადგენელი
- რაიონის დ-ის გუნდის წარმომადგენელი : წევრი მდივანი
- გამგებელი – დაინტერესებული გამგეობა (სასოფლო : წევრი
- დონე)
- დაზარალებული პირების წარმომადგენელი : წევრი
- ქალი დაზარალებული პირების წარმომადგენელი : წევრი
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის : წევრი
- წარმომადგენელი
- კონსულტანტების ზედამხედველის დ სპეციალისტ : წევრი

7.5 პრეტენზიების დაკმაყოფილების პროცესი

პრეტენზიების დაკმაყოფილების კომიტეტის წევრი მდივანი და რაიონის LAR გუნდი მუდმივად მზად იქნება დაზარალებული პირების მისაღებად. LAR გუნდი დაეხმარება მომჩივან პირს კომისიაში და საჭიროებისამებრ თბილისში საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების ერთეულის სამუშაო ჯგუფში საჩივრის ფორმალურად შეტანაში. დაზარალებული პირების პრეტენზიები განიხილება ქვემოთ ცხრილ 7.4.1-ში აღწერილი პროცესის მიხედვით. პრეტენზიების დაკმაყოფილება და შესყიდვის პროცესები ასევე წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნახატში 7.4.1.

ცხრილი 7.5 – პრეტენზიების დაკმაყოფილების პროცესი


საფეხური	მოქმედების დონე	პროცესი
საფეხური 1	საკონტრაქტო შეთანხმება	როდესაც კონტრაქტის განხილვისას წარმოიშვება რაიმე სახის უთანხმოება, საჭიროა მოიძებნოს როგორც რაიონის LAR გუნდისათვის, ისე დაზარალებული პირისათვის მისაღები გამოსავალი. თუ ნებისმიერი სერიოზულად დაზარალებული პირი არ იქნება კმაყოფილი გამოსავლით, შემდეგი ალტერნატივა იქნება პრეტენზიების წარდგენა კომიტეტში.
საფეხური 2	კომისიის რეზოლუცია	თუ უთანხმოება ვერ აღმოიფხვრა წინა დონეზე, LAR გუნდი დაეხმარება დაზარალებულ პირს კომიტეტისთვის პრეტენზიის წარდგენაში. სერიოზულად დაზარალებულმა პირმა პრეტენზია უნდა წარადგინოს სასოფლო დონეზე მოლაპარაკებების ჩაშლიდან ერთი კვირის განმავლობაში და უნდა წარადგინოს თავისი მხარდასაჭერი დოკუმენტაცია. კომისიის წევრი მდივანი განიხილავს პრეტენზიას და მოამზადებს სასამართლო არქივს კომისიის მოსამენისათვის და რეზოლუციისათვის. გაიმართება ფორმალური საქმის ფორმალური მოსამენა დადგენილ თარიღზე და დაზარალებული წარსდგება კომისიის წინაშე გამგეობის ოფისში და წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს თავისი გაცხადების სასარგებლოდ. მდივანი წევრი ჩაინიშნავს მომჩივნების განცხადებებს და აღრიცხავს ყველა სამხილს. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული იქნება წევრების უმრავლესობის აზრი და დამტკიცდება კრების მომწვევის მიერ და ასევე ხელმოწერილი იქნება კომისიის წევრების მიერ. გადაწყვეტილების შესახებ დაზარალებულს აუწყებს LAR გუნდი.

საფეხური 3	გადაწყვეტილება ცენტრალური საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან	<p>თუ სერიოზულად დაზარალებული პირი უკმაყოფილო იქნება კომისიის გადაწყვეტილებით, შემდეგი გამოსავალია საჩივრის შეტანა საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების ერთეულის სამუშაო ჯგუფში კომისიის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ 2 კვირის განმავლობაში.</p> <p>მომხივანმა უნდა წარადგინოს დოკუმენტაცია თავის სასარგებლოდ.</p> <p>სამუშაო ჯგუფი განიხილავს კომისიის მოსმენის ჩანაწერებს და გააცნობს გადაწყვეტილებას დაზარალებულ პირს საჩივრის მიღებიდან 2 კვირაში.</p>
საფეხური 4	სასმართლო გადაწყვეტილება	<p>იმ შემთხვევაში თუ არც ახლა დაკმაყოფილდება სერიოზულად დაზარალებული პირი, საქმის განხილვა გადაეცემა რაიონულ სასამართლოს. თუ სასამართლო გადაწყვეტილება დაბალია წინამდებარე საბაზრო კვლევით დადგენილ ფასზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი წარმოადგენს დამატებით თანხას, რათა კომპენსაციამ მოიცვას ჩანაცვლების მთლიანი საფასური.</p>

7.5.1 პროტენზიების დაკმაყოფილების კომისიის ოქმები და დოკუმენტები

საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების ერთეულის ცენტრი აწარმოებს ჩანაწერებს მიღებული პროტენზიების შესახებ, როგორც თავისთვის, ისე გარეშე მონიტორინგის განხილვისათვის.

გამოსახულება 7.4.1 – პროექტების დაკმაყოფილების და შესყიდვის პროცესი



8. ხარჯების შეფასება და ბიუჯეტი

8.1. საკომპენსაციო განაკვეთების დადგენა

ქვევით გთავაზობთ საკომპენსაციო ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ მიდგომებს:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულის მიწა შეფასდება ჩანაცვლებითი ღირებულების მიხედვით, ორი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რომელთა შერჩევა დამოკიდებული იქნება იმაზე, არსებობს თუ არა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ რაიონებში მიწის მომქმედი ბაზარი.
- თუ არსებობს მიწის აქტიური ბაზარი, მაშინ მიწის დანაკარგის ანაზღაურება მოხდება ჩანაცვლების საბაზრო ღირებულების მიხედვით, განსახლების გეგმის მომზადების წინა წელს გაყიდული მიწების ფასების შესწავლის საფუძველზე. თუ აქტიური მიწის ბაზარი არ არსებობს, მაშინ დაკარგული მიწის კომპენსირება მოხდება იგივე მახასიათებლების, მსგავსი განლაგებისა და პროდუქტიულობის მიწის ნაკვეთის რეპროდუცირების ღირებულების საფუძველზე.
- სახლები/შენობები შეფასება ჩანაცვლების ღირებულებით, კერძოდ მასალების, კონსტრუქციული თავისებურების, მუშახელის ღირებულების, ტრანსპორტის და სხვა სამშენებლო ხარჯების საფუძველზე. არ დაიქვითება არანაირი ცვეთის, ამორტიზების, დარჩენილი მასალების და საბანკო ტრანზაქციების/საოპერაციო ხარჯები. შენობა ნაგებობების დანგრევის შემდგომ დარჩენილი მასალები ითვლება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების საკუთრებად. დაზარალებული ოჯახები ვალდებული არიან გაიტანონ დარჩენილი მასალები საამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
- ერთწლიანი კულტურების დანაკარგი შეფასდება საბაზრო ღირებულებით, პირველი წლის მოსავლის საშუალო ფასით მეურნეობის ტერიტორიაზე (“ფრანკო-ფერმა” ფასით). თუ დაზარალებული ადამიანისთვის გადასახდელი იქნება ერთ-წელზე მეტის მოსავლის კომპენსაცია, პირველი წლის შემდგომ მოწვეული მოსავლის კომპენსაცია მოხდება დაკარგული წმინდა მოგების შესაბამისად და არა მთლიანი საბაზრო ღირებულებით.
- ხეები შეფასდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, დიფერენცირებულად სამერქნე სახეობებისა და, მსხმოიარე ხეხილისათვის; (1) ხე/მერქანი შეფასდება ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით: (ა) ახალგაზრდა ნერგები (ბ) საშუალო ზრდასრულობის და (გ) ზრდასრული, აგრეთვე ხის მასალის ღირებულების და მოცულობის მიხედვით. აგრეთვე, (2) ხეხილის/ნაყოფის მომტანი ხეები შეფასდება ასაკის მიხედვით: (ა) ნერგები (ბ) არამსხმოიარე ასაკის და (გ) მსხმოიარე ზრდასრული ხეები. (ა) და (ბ) კატეგორიის ხეების კომპენსირება მოხდება სტანდარტული ინვესტიციების, მათში ჩადებული თანხების მიხედვით (ნერგების ფასი + საკულტივაციო სამუშაოები), ხოლო (გ) კატეგორიის ხეების კომპენსირება მოხდება 1 წლის შემოსავლის წმინდა საბაზრო ღირებულებით, რომელიც გამრავლდება იმ წლების რაოდენობაზე,

რომელიც ახალი ნერგებიდან ხეების მსხმოიარე ასაკამდე გაზრდას ესაჭიროება.

ერთი ერთეულის საკომპენსაციო განაკვეთი შეფასდება პროექტის კონსულტანტების მიერ, JICA/მსოფლიო ბანკისთვის მისაღები მკაფიო და გამჭვირვალე მეთოდის გამოყენებით. შემდეგ ეტაპზე, შეფასებულ საკომპენსაციო განაკვეთებს შეამოწმებს და დაადასტურებს ადგილობრივი მუნიციპალური განსახლების ოფისი და საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ერთეულის ფასის დაანგარიშება განხორციელდება მიმდინარე საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით, რათა დაკმაყოფილებული იქნას მიწისა და დაკარგული აქტივების ჩანაცვლების ღირებულება. მიწის, შენობა-ნაგებობების, ხეების, ერთწლიანი კულტურების მოსავლის და სხვათა შესაფასებლად დაქირავებული იქნა გამოცდილი და რეგისტრირებული ადგილობრივი აუდიტორული კომპანია ან კონსულტანტი. შემფასებლის მოვალეობაში შედის თითოეული სახეობის მიწისა და აქტივის შეფასება ადგილმდებარეობების მიხედვით.

შეფასება განხორციელდა მას შემდეგ, რაც იმავე კომპანიამ დაასრულა დეტალური აზომვითი აღწერა. მან მოამზადა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების ზუსტი რუკა, მოჭრილი ფართობების დემარკაციის განხორციელების გზით. შემფასებელმა კომპანიამ ჩართო თავისი ექსპერტები მათი კომპეტენციის ფარგლებში და განხორციელდა დანაკარგების კატეგორიების შესწავლა და შეფასება ადგილზე. შეფასებისას, ექსპერტებმა გაითვალისწინეს რაიონში მსგავსი ქონების შეფასებების შესახებ არსებული მასალები და ასევე გამოიყენეს მათ მიერ იყო რეკომენდებულ პერიოდულ გამოცემებში მოყვანილი ბაზრის კვლევის შედეგები. ასეთი მეთოდის გამოყენებით დადგინდა ერთეულის საბაზრო ფასი.

განსახლების სამოქმედო გეგმაში გამოყენებული ერთეულის განაკვეთები ეფუძნებიან აუდიტორული კომპანიის მიერ ზემოაღწერილი მიდგომებისა და სტანდარტული გათვლის მეთოდოლოგიით მიღებულ შეფასებებს.

შემფასებელი კომპანიის მიერ ერთეულის განაკვეთის დასადგენად გამოყენებული მეთოდოლოგიის დეტალები შეგიძლიათ იხილოთ დანართში 5, რომელიც თან ერთვის ამ დოკუმენტს.

8.2 ხარჯების შეფასება RAP-თვის

შეძენისა და კომპენსირების სქემა წარმოდგენილია ტერქნიკურ დანართში. ხარჯების შეფასებები შეჯამებულია ამ სქემაში წარმოდგენილი ცხრილების საფუძველზე. კომპენსირების სქემაში ასახულია მიწის შეფასების გამოყენებული უფრო დეტალური დაყოფა რამდენიმე კატეგორიად და არა მხოლოდ ისეთი ზოგადი კლასიფიკაცია, როგორცაა მოცემული მე-4 თავში (სადაც მიწა წარმოდგენილია,

როგორც საცხოვრებელი, სასოფლო სამეურნეო და კომერციული კატეგორიების სახით).

კომპენსაციის მიზნით ხარჯების შეფასება მოიცავს 425 მიწის ნაკვეთს და გულისხმობს კომპენსაციას თავიდანვე სადავო მიწის ნაკვეთების კომპენსაციას (რაც განმარტებულია ნაწილში 4.3). უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მოცემული ცხრილები არ მოიცავენ ზემოქმედების კომპენსირებას ერთი ბიზნეს ობიექტისთვის, რომელიც ამუშავებს მანგანუმის ნარჩენების ხელოვნურ საბადოებს. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს კომპენსაციის სახით შესაფერისი ალტერნატიული მიწის ნაკვეთის და ანალოგიური საბადოებით სარგებლობაზე ლიცენზიის საფასური.

8.2.1 მიწის ხარჯები

დარჩენილი ან გამოუსადეგარი მიწის ღირებულების ჩათვლით, ფასის გამოთვლა პროექტის ზემოქმედების ქვეშ არსებული მიწის კომპენსაციისთვის შეადგენს 1.28 მილიონ ლარს (ცხრილი 2.8.1).

ცხრილი 8.2.1 – ღირებულების გამოთვლა მიწისთვის

სოფელი	მიწის ტიპი	დაკარგული მიწის კომპენსაცია (ლარი)	გამოუსადეგარი ნარჩენი მიწის ღირებულება (ლარი)	მიწის საერთო ღირებულება (ლარი)
სიმონეთი+ნახშირღელე	საცხოვრებელი	11,399		11,399
	სადოვარი	73,601	1,744	75,346
	არასასოფლო-სამეურნეო	-	1,778	28698
	სასოფლო-სამეურნეო	13,303	749	14,052
	მოსავლის/სახნავი მიწა	135,897	-	135,897
ქვეჯამი		261120	4,271	265391
ჭოგნარი	სადოვარი	57,628	1,968	59,596
	სასოფლო-სამეურნეო	206,226	7,991	214,217
ქვეჯამი		263,854	9,960	273,814
კვახჭირი	სასოფლო-სამეურნეო	193,674	3,383	197,058
	მოსავლის/სახნავი მიწა	416	-	416
	არასასოფლო-სამეურნეო	902	-	902
ქვეჯამი			3,383	

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტი: ქუთაისის ახალი შემოვლითი გზა

		194,993		198,376
გეგუთი+უკანეთი	მოსავლის/სახნავი მიწა	26,798	34	26,832
	არასასოფლოსამეურნეო	7,130	-	7,130
	სასოფლო-სამეურნეო	285,516	4,112	289,628
	საძოვარი	155,859	0	155,860
	ბაღი	6,158	-	6,158
	საცხოვრებელი	8,937	-	8,937
ქვეჯამი		490,397	4,146	494,543
ჯამი		1,210,364	21,760	1,232,124

წყარო: შეძენისა და კომპენსაციის სქემა (თებერვალი/მარტი 2011)

8.2.2. ერთწლიანი კულტურის, ხეებისა და ნაგებობების ღირებულება

შეფასებული ღირებულება, 333,368 (ლარი), მარცვლეული კულტურის, ხეებისა და ნაგებობების კომპენსაციისთვის მოცემულია ცხრილში 8.2.2.

ცხრილი 8.2.2 – ნაგებობების, მარცვლეული კულტურისა და ხეების კომპენსაციის ღირებულების გამოთვლა

